www.24saati.ge

24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 30 იანვარი, 2009 წელი. №19 (2057) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიჭქიანი ნომერი
*2424

მოქალაქეობასა და მიგრაციის საკითხებს სამოქალაქო რეესტრი განიხილავს
A5



ახალი ეკონომიკური დოკუმენტი
A8



ჩვენ, ტელე-ცხოველები!
A10



24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# მოსკოვისა და თბილისის განსხვავებული რეაქცია

## ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაზე

გიორგი ასანიშვილი

*ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შესახებ მიღებულ რეზოლუციას მოსკოვსა და თბილისში რადიკალურად განსხვავებულად შეხვდნენ. სტრასბურგში მიღებულ გადაწყვეტილებებს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებში ერთსულოვნად იწონებენ, რუსი პოლიტიკოსები კი ევროპარლამენტარების მიერ მხარდაჭერილ დოკუმენტს ფარატინა ქაღალდად მიიჩნევენ და ღიად აცხადებენ, რომ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას არ აპირებენ.*

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს, პარტია "ედინნაია როსიას" ლიდერ ბორის გრიზლოვს ყველაზე მეტად რეზოლუციის ის ნაწილი აღიზიანებს, რომლითაც ევროპარლამენტარები მოსკოვს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გაუქმებისკენ მოუწოდებენ. რუსი პარლამენტარების ლიდერი პირდაპირ ამბობს, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ტყუილად გაისარჯა.

**"უსარგებლოა იმაზე ლაპარაკი, რომ უკან დაბრუნება შესაძლებელია. რუსეთმა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი აღიარა და ეს სამუდამოა,"** - აღნიშნავს გრიზლოვი, რომელიც დასავლელ კოლეგებს "ურჩევს", აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების გადაწყვეტილების გაუქმების საკითხს მომავალში ნუღარ დააყენებენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ოპოზიცია სააკაშვილის გადადგომას ითხოვს

ვერიკო თევზაძე

*"სააკაშვილი უნდა გადადგეს! თუ მას ამ გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდება, ჩვენ დავეხმარებით!" - აცხადებს ოპოზიცია.*

**"სააკაშვილის გუნდის ხელისუფლებაში ყოფნით ყოველი მომდევნო დღე ახალ პრობლემებს უქადის ქართულ სახელმწიფოსა და საქართველოს მოქალაქეებს. შექმნილ ვითარებაში საქართველოს თითოეული მოქალაქის პატრიოტული ვალია, ყველაფერი გააკეთოს უმოკლეს ვადაში ხელისუფლების კონსტიტუციური გზით შესაცვლელად, ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ: გადადგეს მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის თანამდებობიდან, ჩატარდეს ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, შეიქმნას სათანადო პირობები თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად,"** - ნათქვამია დეკლარაციაში, რომელსაც გუშინ არასაპარლამენტო ოპოზიციის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი.

გაგრძელება A2 გვერდზე



# რუსეთის ახალი სამხედრო ბაზები საქართველოში

გუდაუთაში, შესაძლოა, რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალების ბაზა განთავსდეს, - ეს გათვალისწინებულია ოკუპირებულ აფხაზეთში დაგეგმილი რუსული ბაზების მშენებლობის გეგმებში. აღნიშნული ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც სოხუმის მარიონეტულმა რეჟიმმა ოჩამჩირეში რუსული სამხედრო ბაზის შექმნის შესახებ რუსეთთან მოლაპარაკებების გამართვა დაადასტურა.

"ინტერფაქსის" ინფორმაციით, გუდაუთის რაიონში არსებულ ბომბორას აეროდრომზე რუსული საჰაერო დაჯგუფების განთავსების საკითხი აფხაზურ მხარესთან მიმდინარე კონსულტაციებში განიხილება. ამავე ცნობით, რუსეთის ფედერაციის სურს, აფხაზეთში განალაგოს 20 თვითმფრინავი, მათ შორის - სუ-25 ტიპის მოიერიშე, სუ-27-ის გამანადგურებლები და ასევე სამხედრო-სატრანსპორტო დანიშნულების თვითმფრინავები.

ამავდროულად, 28 იანვარს ნატო-ს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა განიხილეს ინფორმაცია რუსეთის გეგმების შესახებ, კერძოდ - ოკუპირებულ რეგიონში სამხედრო ბაზის განთავსება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პატრიარქი თავს უკეთ გრძნობს

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რომელიც ვირუსული ინფექციის ფონზე განვითარებული მაღალი სიცხით სტაციონარში გადაიყვანეს, თავს უკეთ გრძნობს. "პატრიარქის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მდგომარეობა გაუმჯობესებულია," - განუცხადა "ჯი-ეიჩ-ენს" კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დამფუძნებელმა ფრიდონ თოდუამ.

მედიკოსების კონსილიუმის გადაწყვეტილებით, უმჯობესია, უწმინდესი რუსეთის ახალი პატრიარქის კურთხევის ცერემონიალზე არ გაემგზავროს. ამდენად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მოსკოვში რუსეთის ახლად არჩეული პატრიარქის კურთხევის ცერემონიალზე დასწრებას ვერ შეძლებს. "სამწუხაროდ, ჩემი ჯანმრთელობის გაუარესების გამო რუსეთის საპატრიარქო ტახტზე ახალი პატრიარქის კირილის ინტრონიზაციაზე დასწრებას ვერ შევძლებ. ვაგზავნი დელეგაციას, რომელიც ჩემი და საქართველოს ეკლესიის სახელით მიულოცავს ახალ პატრიარქს. მინდა, მადლობა ვუთხრა ჩვენს სამღვდელოებას, ჩვენს მრევლს, რომლებიც ასე გულმოდგინედ ლოცულობდნენ ჩემთვის," - ბრძანა უწმინდესმა.

საქართველოს საპატრიარქოს ცნობით, მიტროპოლიტ კირილის პატრიარქად არჩევის გამო გუშინ მოსკოვში უწმინდესის სახელით მისალოცი წერილი გაიგზავნა. ილია მეორემ რუსეთის ახლად არჩეულ პატრიარქ კირილს ჯანმრთელობა, სულიერი სიმტკიცე და ღვთის შეწევნა უსურვა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## მთავრობის პრესსამსახური პრემიერის მიერ თანამდებობის დატოვებას უარყოფს

საქართველოს მთავრობის პრესსამსახურში გრიგოლ მგალობლიშვილის მიერ თანამდებობის დატოვების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფენ.

როგორც პრესსამსახური იუწყება, პრემიერ-მინისტრის პოსტიდან მგალობლიშვილის წასვლის ან მისი გათავისუფლების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია მცდარია.

*მედიანიუსი*

# ოპოზიცია სააკაშვილის გადადგომას ითხოვს

პირველი გვერდიდან

დოკუმენტს, ზურაბ ნოღაიდელის "მოძრაობა სამართლიანი საქართველოსათვის", "ეროვნული ფორუმის" და "ლეიბორისტების" გარდა, ყველა მოქმედი არასაპარლამენტო ოპოზიციური ძალა შეუერთდა.

ხელმოწერის ცერემონიას არ ესწრებოდა დავოსში ეკონომიკურ ფორუმზე მყოფი ნინო ბურჯანაძე, სამაგიეროდ მემორანდუმს "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" სახელით დავით პატარაიამ მოაწერა ხელი.

წინასწარვე ცნობილი ხელმომწერების - "საქართველოს გზის", "რესპუბლიკელების" და "მემარჯვენეების" ალიანსის, "ხალხის პარტიის", "კონსერვატორების" გარდა, მემორანდუმს შეუერთდნენ მოძრაობა "თავისუფლება", გია მაისაშვილის "მომავლის პარტია", "ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი", "ქალთა პარტია", "მწვანეთა პარტია", ასევე არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის - თანასწორობის ინსტიტუტი და ქართული აკადემია. დოკუმენტს ხელი მოაწერეს "გაერთიანებული ოპოზიციის" ყოფილმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ, ბადრი პატარკაციშვილის დებმა, საქართველოს რიგითმა მოქალაქემ კოტე ჯანდიერმა.

როგორც მემორანდუმის ინიციატორმა, "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ დოკუმენტის გაფორმების ცერემონიაზე განაცხადა, ამ დეკლარაციით შესაძლებელი გახდება, ქვეყანა გათავისუფლდეს მიხეილ სააკაშვილის მმართველობისაგან, რომელიც მას სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

**"ქვეყანა რთულ მდგომარეობაში რომ არის, ეს ერთი ადამიანის დამსახურებაა და ის უნდა გადადგეს. უნდა გადადგეს იმიტომ, რომ ქვეყნის გადარჩენის სხვა შანსი აღარ არსებობს. დღეიდან ჩვენ ყველას გვაერთიანებს ერთი მოთხოვნა – რაც შეიძლება სწრაფად ჩამოვაშოროთ ძალაუფლებას მიხეილ სააკაშვილი. ვინ რა ტაქტიკით იმოქმედებს, არა აქვს მნიშვნელობა,"** - ეს განცხადება "მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ დეკლარაციაზე ხელმოწერის წინ გააკეთა.

როგორც მოსალოდნელი იყო, "ეროვნული ფორუმი" და ექსპრემიერ ნოღაიდელის პარტია მემორანდუმს არ შეერთებიან. ხელმომწერ პოლიტიკოსთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ყველა ადამიანი თავისუფალია თავის არჩევანში, თუმცა მათ კომენტარებში იგრძნობოდა მინიშნება, რომ დეკლარაციამ პოლიტიკური ძალების ერთგვარი ლუსტრირება მოახდინა.

დავით გამყრელიძის განმარტებით, **"ის, ვინც რაღაც მიზეზის გამო ამ მოთხოვნას არ გაიზიარებს, ხელისუფლების გუნდში ჩაეწერება."** "კონსერვატორი" კახა კუკავაც პირდაპირ აცხადებს, რომ **"ვინც რეალური ოპოზიციური პარტიების აღნიშნულ მოთხოვნებს მხარს არ უჭერს, ხელისუფლების სატელიტია და ძნელია, ასეთი პარტიები ოპოზიციურად ჩაითვალონ,"** - კუკავა ეჭვის თვალით უყურებს ნოღაიდელის პარტიას.

საპარლამენტო ოპოზიცია მემორანდუმს არ შეერთებია. "საქართველოს დემოკრატიული პარტიის" მესვეურები სატელევიზიო გზით მიპატიჟებას არ იღებენ. მათი განმარტება ასეთია: ვინაიდან მემორანდუმის ინიციატორებს ოფიციალურად არ მიუმართავთ, ბუნებრივია ამ საკითხზე არ უმსჯელიათ. საკმაოდ უცნაურია "ქრიტიან-დემოკრატების" პოზიცია. ისინი პირველ ორ მოთხოვნას ეთანხმებიან, მაგრამ არ იზიარებენ მესამე პუნქტს ჯანსაღი საარჩევნო გარემოს შექმნის შესახებ, ვინაიდან ისინი ამ საკითხზე პარლამენტში მუშაობენ. აქედან გამომდინარე, თარგამაძის პარტია დოკუმენტს ხელს არ აწერს.

დეკლარაციის ხელმომწერებს შორის ვერ ვიხილეთ გაერო-ში საქართველოს ყოფილი ელჩი ირაკლი ალასანია. სამაგიეროდ ცნობილი გახდა ალასანიას მომავალი გუნდის ერთ-ერთი წევრის ვინაობა - იგი გახლავთ ნატო-ში საქართველოს პირველი ელჩი ზურაბ აბაშიძე. სააგენტო "ინტერპრესნიუსისთვის" მიცემულ კომენტარში აბაშიძე აცხადებს, რომ ირაკლი ალასანია მემორანდუმის ყველა მოთხოვნას იზიარებს, მაგრამ თავის პოზიციას ოფიციალურად მაშინ გამოხატავს, როცა საზოგადოების წინაშე საკუთარი გუნდით წარდგება.

მმართველი გუნდის შეფასებით, ოპოზიციის მოთხოვნები რადიკალურია. პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე აცხადებს, რომ საზოგადოებას ხელისუფლების და ოპოზიციის თანამშრომლობა სჭირდება: **"დღეს ქვეყანაში რადიკალიზმზე მეტად, მოსახლეობას სჭირდება ჩვენი თანამშრომლობა ისეთ სასიცოცხლო საკითხებში, როგორებიცაა ეკონიმიკური კრიზისის გადალახვა, ქვეყნის უსაფრთხოება, დევნილების უფლებები და ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება."**



საქართველოს პარლამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა 1999-2004 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი ბატონი

**ირაკლი ღუდუშაური**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ კორესპონდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ირაკლი ღუდუშაური**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

**"24 საათის"** რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ცისანა, ვახტანგ, შორენა, ზვიად და ნუგზარ სალიებს დედის

**ლილი მანჯგალაძე-სალიას**

გარდაცვალების გამო.

გამოსვენება შაბათს, 31 იანვარს, 14 საათზე საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

# "ენგურჰესის გადაცემა რუსების მმართველობაში დაუშვებელია და ეს არავის ეპატიება"

ამის შესახებ განცხადება პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ პაატა დავითაიამ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან შეხვედრისას გააკეთა. შეხვედრის თემა კონფლიქტები და ოკუპირებული ტერიტორიები იყო.

დავითაია სტუდენტებთან საუბარში აგვისტოს მოვლენების წინა და შემდგომ პერიოდს შეეხო და სტუდენტებს კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით მთავრობის გეგმა გააცნო. ასევე მათ მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

დეპუტატს მიაჩნია, რომ ენგურჰესის ერთობლივი მართვის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემთხვევაში, ეს იქნება ენერგოუსაფრთხოების ბერკეტის გადაცემა სხვა სახელმწიფოსათვის, რაც დაუშვებელია და ხელისუფლებას ასეთი საქციელი არ ეპატიება.

დავითაიას აზრით, სასურველია თუ ხელისუფლებაში შეიქმნება ერთი ძლიერეი სტრუქტურა, რომლის ხელმძღვანელობაც ყველა საკითხზე თანმიმდევრულად იქნება პასუხისმგებელი, შეეხება ეს ენგურჰესს, აფხაზეთში გამოცემულ მარკებს, რომლებზეც აფხაზეთის დედაქალაქად ქუთაისია გამოცხადებული, ფულად გადარიცხვებს, სავიზო რეჟიმს თუ სეპარატისტების მხრიდან გაკეთებულ სხვადასხვა განცხადებებს.

*24 საათი*

# მთაწმინდის პარკი გაიხსნება

"სახალხო ბანკის" და ფოთის პორტის აქციების საკონტროლო პაკეტების მფლობელ არაბ ინვესტორებს მართვის უფლებით ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისთვის ჩამორთმეული მთაწმინდის პარკი გადაეცათ, რომლის მართვას 49 წლის განმავლობაში "რაკინ დეველოპმენტი" განახორციელებს. როგორც თბილისის მერის მოადგილემ ლაშა ფურცხვანიძემ განაცხადა, კონტრაქტის თანახმად "რაკინ დეველოპმენტი" ბიუჯეტში ყოველწლიურად, იჯარის გადასახადის სახით 300 ათას ლარს შეიტანს. გარდა ამისა, პარკის მმართველს აქვს ვალდებულება, დაასრულოს მშენებლობები, რომელიც წინა მმართველს უნდა დაესრულებინა. განხორციელდება პარკის საბაგირო გზისა და ატრაქციონების რეაბილიტაცია. შესაძლოა თავდაპირველ პროექტში ცვლილებები შევიდეს, თუმცა გენერალური ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1 აპრილს უნდა დასრულებულიყო, თუმცა შესაძლებელია თარიღმა გადაიწიოს. ფურცხვანიძის განცხადებით, პარკი წელს აუცილებლად გაიხსნება.

*24 საათი*

# სეპარატისტებმა ცეცხლი გახსნეს

ქართველ სამართალდამცავებს ცეცხლი სეპარატისტებმა ამჯერად ჭუბურხინჯიდან გაუხსნეს. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, შემთხვევის ადგილი ევროპელმა დამკვირვებლებმა შეისწავლეს. ინციდენტი სოფელ ნაბაკევში გვიან ღამითაც მოხდა. ნაბაკევის მკვიდრი კობა მებონია რუსი ოკუპანტების მსხვერპლი გახდა. გავრცელებული ინფორმაციით, ოკუპანტები არაფხიზელ მდგომარეობაში რეიდს ატარებდნენ და სწორედ ამ დროს მოკლეს ახალგაზრდა მაკაცი. რუსი სამხედროები მათ მიერ მოკლული მებონიას ოჯახის წევრებს ცხედართან ამ დრომდე არ უშვებდნენ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ქალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# მოსკოვისა და თბილისის განსხვავებული რეაქცია

პირველი გვერდიდან

თავისი რუსი კოლეგის მოსაზრებასა და პოზიციას კატეგორიულად ემიჯნება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე.

**“რეზოლუციის პრინციპულად მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ევროსაბჭომ საკუთარი მოთხოვნებიდან უკან არ დაიხია და რუსეთის მხარის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, კიდევ ერთხელ მკაფიოდ მოითხოვა მოსკოვისგან, უარი თქვას აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. ეს კი საკმაოდ ანგარიშგასაწევია, ვინაიდან ამ მოთხოვნის არშესრულების შემთხვევაში, დღის წესრიგში უკვე რუსეთისთვის სანქციების დაწესების საკითხი დადგება,”** - აცხადებს საქართველოს პარლამენტის სპიკერი.

დავით ბაქრაძე მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმასაც, რომ ევროსაბჭო კიდევ ერთხელ ითხოვს რუსეთისგან ეთნიკური წმენდის შეჩერებას, დევნილების დაბრუნებას და ოკუპირებული ტერიტორიებიდან შეიარაღებული ძალების გაყვანას, მათ შორის არა მხოლოდ ახალგორის რაიონიდან, სოფელ პერევიდან და კოდორის ხეობიდან, არამედ ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიებიდანაც (ანუ ლიახვის ხეობიდანაც).

სტრასბურგში მიღებულ გადაწყვეტილებებს საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყებაც იწონებს.

**"ახალი რეზოლუციით ასამბლეა კვლავ ადასტურებს წინა რეზოლუციის სრულ მხარდაჭერას და მკაფიოდ აღნიშნავს, რომ საქართველომ ასამბლეის მიერ წაყენებული უმეტესი მოთხოვნები შეასრულა, ხოლო რუსეთმა რეზოლუციის მრავალი ძირითადი მოთხოვნა უგულვებელყო. რუსეთის დელეგაციის მიერ გაწეული წინააღმდეგობის მიუხედავად, ასამბლეამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და საზღვრების დაურღვევლობის მიმართ სრული მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოხატა და რუსეთი კიდევ უფრო მკაცრად დაგმო სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის ცალმხრივი აღიარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების არგაუქმებისა და "სეპარატისტულ რეჟიმებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების" ხელმოწერის გამო,“** - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში, რომელშიც ასევე აღნიშნულია, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რუსეთს, როგორც ოკუპანტ სახელმწიფოს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების გამო სრული პასუხისმგებლობა ეკისრება.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას დადებითად აფასებს არა მარტო სახელისუფლებო გუნდი, არამედ საპარლამენტო უმცირესობაც.

ოპოზიციის კვოტით არჩეული პარლამენტის ვიცე-სპიკერ პაატა დავითაიას შეფასებით, 28 იანვრის რეზოლუცია რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ფრონტზე სერიოზული წინსვლაა და ამ რეზოლუციით რუსეთმა ევროსაბჭოსგან სერიოზული გაფრთხილება მიიღო. დავითაია იქვე დასძენს, რომ, მართალია, ევროსაბჭოს დოკუმენტი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა, მაგრამ რუსეთი იძულებული გახდება, ანგარიში გაუწიოს მას, თუ ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებთან თანაცხოვრება სურს.

სტრასბურგში მიღებულ გადაწყვეტილებებზე ქართველი პოლიტოლოგები და ექსპერტებიც დადებით აზრს გამოთქვამენ.

რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ ევროსაბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციაზე საუბრისას არჩილ გეგეშიძე აცხადებს, რომ რუსეთის მიმართ დასავლეთის კრიტიკული დამოკიდებულება საქართველოს შედეგს ადრე თუ გვიან მოუტანს.

**„რეზოლუციის მნიშვნელობის გადაფასება არ ღირს, მაგრამ არც მისი დაკნინება იქნება მართებული, ვინაიდან ევროსაბჭო ის ორგანიზაციაა, სადაც საერთო ევროპული პოლიტიკური აზრი ყალიბდება და მის შეფასებებს ევროკავშირი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ,“** - მიიჩნევს გეგეშიძე.

სტრასბურგში მიღებულ რეზოლუციას საქართველოს სერიოზულ მხარდაჭერად აფასებს ევროპული ინტეგრაციის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი ვასილ ჭყოიძე.

მისი განცხადებით, ახალი რეზოლუციის მიმართ სასაყვედურო არაფერი უნდა გვქონდეს, ვინაიდან მასში ქართული მხარის თითქმის ყველა მოთხოვნა აისახა.

ჭყოიძის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ევროსაბჭომ რუსეთისგან კვლავ მოითხოვა აფხაზეთიდან და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან სამხედრო ძალების გაყვანა, აგრეთვე ამ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების უკან გაწვევა.

**„რეზოლუცია ევროსაბჭოს მხრიდან საქართველოსთვის სერიოზული მხარდაჭერაა. ევროსაბჭოს რეკომენდაციების შეუსრულებლობას რუსეთის მიმართ სანქციები მოჰყვება,“** - ვარაუდობს ვასილ ჭყოიძე.

ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე არ მალავს, რომ პირადად მას არ ეგონა, თუ ევროსაბჭოს ტონი ასეთი მწვავე იქნებოდა.

**„ეს ნიშნავს იმას, რომ რუსეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ევროპა არ შეეგუება და ეს მოსკოვს მრავალ პრობლემას შეუქმნის,“** - მიიჩნევს შარაშენიძე.

# რუსეთის ახალი სამხედრო ბაზები საქართველოში

პირველი გვერდიდან

საინფორმაციო სააგენტო "როიტერი" ავრცელებს ნატო-ს ოფიციალურ წარმომადგენელ ჯეიმს აპატურაის განცხადებას. მისი თქმით, **"ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი გაეცნო პრესის ინფორმაციას, სადაც აღნიშნული იყო, რომ რუსეთმა შესაძლოა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზები ააშენოს.”** აპარტურაიმ განმარტა, რომ **“ნატო აღნიშნულ საკითხს შეშფოთებით ეკიდება. ალიანსის მოკავშირე ქვეყნებმა ნათლად გამოხატეს თავიანთი პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ და ეს ეხება საქართველოს აღიარებულ ყველა საზღვარს."** თებერვალში დაგეგმილ შეხვედრაზე ალიანსის გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი საქართველოს საკითხზე რუსეთის ვიცე-პრემიერ სერგეი ივანოვთან ისაუბრებს.

საქართველოს პარლამენტში დაადასტურეს რუსეთის გეგმების შესახებ მედიით გავრცელებული ინფორმაცია. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე პაატა დავითაიას თქმით, **“ეს ინფორმაცია თავდაპირველად ეხება აფხაზეთს და რუსული სამხედრო ავიაბაზა გუდაუთის რაიონში, ბომბორას აეროპორტში მოეწყობა. გარდა ამისა, იგეგმება ახალი სამხედრო-საავიაციო ბაზის შექმნა გალის რაიონში, სოფელ ფიჩორთან, ეს უკანასკნელი რუსებს ოჩამჩირის შავი ზღვის ფლოტის დასაცავად სჭირდებათ.”**

ამასთან, დავითაია გუდაუთის აეროპორტის უნიკალურობაზე საუბრობს. მისი თქმით, ის ზღვის დონის ქვევით მდებარეობს და იქიდან აფრენილ თვითმფრინავს ნატო-ს რადარი ვერ ხედავს.

საპარლამენტო უმცირესობის წევრ პაატა დავითაიას ინფორმაციით, ოკუპანტებს ანალოგიური გეგმები აქვს ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც. რუსეთის ფედერაცია ეთნიკურად ქართველებით დასახლებული სოფლების ტერიტორიაზე გამანადგურებელი და მოიერიშე სამხედრო თვითმფრინავების ბაზის მოწყობას გეგმავს.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ნატო შეშფოთებულია

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი შეშფოთებულია რუსეთის გადაწყვეტილებით, ოჩამჩირეში სამხედრო ფლოტის განათავსოს. როგორც ალიანსის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, ეს საკითხი ნატო-ს გენერალური მდივნისა და რუსეთის პირველ ვიცე-პრემიერ სერგეი ივანოვის შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა გახდება. ჯეიმს აპატურაიმ რუსეთის მიერ კალინინგრადში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსებაზეც ისაუბრა. მან პოზიტიურად შეაფასა რუსეთის გადაწყვეტილება სისტემის განთავსების შეჩერების შესახებ, თუმცა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით ნატო-ს რუსეთისგან დამამტკიცებელი ფაქტები სჭირდება.

*მედიანიუსი*

# ევროკავშირის მხარდაჭერა

ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კარელ შვარცენბერგის განცხადებით, ევროკავშირი მხარს უჭერს ეუთო-ს ძალისხმევას, მოძებნოს გზა, რათა საქართველოში თავისი "უმნიშვნელოვანესი სამუშაო" განაგრძოს. დეკემბერში კენჭისყრაში მონაწილე 56 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ერთიანი პოზიციის შემუშავება საქართველოში ეუთო-ს მისიის მანდატის აღსადგენად, მაგრამ ეუთო-ს ბერძნული თავმჯდომარეობა ამჟამადაც აწარმოებს მოლაპარაკებებს საქართველოში ეუთო-ს მისიის მანდატის ფუნქციონირების აღდგენისათვის.

"ვწუხვართ იმის გამო, რომ რუსეთის ფედერაციამ ამ შეთანხმების შესრულება ცალმხრივად შეაჩერა და ამ მიდგომას დღემდე ინარჩუნებს. არ ვიშურებთ ძალისხმევას, რომ ვიპოვოთ გამოსავალი ამ გამოუვალი სიტუაციიდან," - აცხადებს კარელ შვარცენბერგი. მისივე თქმით, ეუთო-ს განუზომლად დიდი წვლილი შეაქვს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დაცვის საქმეში.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### მიხეილ სააკაშვილი თელეთში სანაშენე ფერმის გახსნას დაესწრო

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ სოფელ თელეთში ახალი სანაშენე ფერმის გახსნას დაესწრო. პრეზიდენტმა ფერმა დაათვალიერა და იქ მომუშავე ადამიანებს გაესაუბრა. როგორც სააკაშვილმა განაცხადა, მსოფლიო კრიზისის ფონზე აუცილებელია, რომ მსგავსმა ფერმებმა აქტიურად იმუშაონ, რათა უფრო მეტი ხალხი იყოს დასაქმებული. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ენ არგოს", პროექტ "ახალი საწარმოს" ფარგლებში, ფერმისთვის საჭირო ტერიტორია შეღავათიან ფასად გადაეცა. ფერმა რძის წარმოებასა და საქონლის გამრავლებაზეა ორიენტირებული. აქ ორმოცი ადგილობრივი მცხოვრებია დასაქმებული. ფერმის ხელმძღვანელობის განცხადებით, უახლოეს მომავალში იქ კიდევ ორმოცდაათ ადგილობრივ მცხოვრებს დაასაქმებენ.

*მედიანიუსი*

### რუსეთი ახალგორიდან რუსი ჯარისკაცის გაქცევის ფაქტს ადასტურებს

მოსკოვმა აღიარა, რომ უმცროსმა სერჟანტმა ალექსეი გლუხოვმა ახალგორში დისლოცირებული რუსული საოკუპაციო შენაერთი საკუთარი სურვილით დატოვა.

როგორც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საგამოძიებო კომისიის წარმომადგენელმა განაცხადა, ამის შესახებ სამსახურებრივი გამოძიების ჩატარების შედეგად გახდა ცნობილი. კომისია არ აკონკრეტებს სერჟანტის სამხედრო ნაწილიდან გაქცევის მიზეზებს. მხოლოდ ვარაუდობს, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო როგორც სამსახურებრივი, ისე პირადი პრობლემების გამო.

*მედიანიუსი*

### ირაკლი ალასანია საკუთარ გუნდს საზოგადოებას თებერვლის შუა რიცხვებისთვის წარუდგენს

საქართველოს ყოფილი ელჩი გაერო-ში ირაკლი ალასანია საკუთარ გუნდს საზოგადოებას თებერვლის შუა რიცხვებისთვის წარუდგენს. თავად ალასანიას განცხადებით, მის გუნდში საზოგადოების ცნობილი სახეები და ყოფილი დიპლომატები იქნებიან, რომელთა ვინაობის დაკონკრეტებისგან იგი ამ ეტაპზე თავს იკავებს.

*პირველი*

### "ოპოზიცია ცდილობს, ქვეყანაში შეჩერებული პოლიტიკური პროცესი დაიძრას"

ექსპერტ გია ხუხაშვილის განცხადებით, ოპოზიცია საზოგადოების კონსოლიდაციას ცდილობს. "ესაა მცდელობა, რომ ქვეყანაში შეჩერებული პოლიტიკური პროცესი დაიძრას. ფაქტია, საზოგადოებაში პროტესტის გრძნობა მაღალია, მაგრამ ეს ყველაფერი ჯერჯერობით სამზარეულოდან არ გამოდის. ოპოზიცია ცდილობს, საზოგადოების კოსოლიდაცია მოახდინოს, ეს მოთხოვნა სავსებით ლეგიტიმურია. ვფიქრობ, რომ საზოგადოებაში განწყობა შესაბამისია. ხელისუფლებას ძალიან ბევრი რისკები აქვს - დაწყებული საგარეოთი და დასრულებული საშინაო და სოციალური რისკებით. ოპოზიცია საპროტესტო მუხტის აგორებას ცდილობს," - განაცხადა ხუხაშვილმა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### საპარლამენტო უმრავლესობა გუდაურში ტრენინგს გაივლის

საპარლამენტო უმრავლესობა ტრენინგს გუდაურში გაივლის. 1-3 თებერვალს გუდაურში NDI-ის ორგანიზებით დეპუტატებისთვის სპეციალური ტრენინგი ეწყობა, სადაც, ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებს საკონსტიტუციო და სახელმწიფოს მშენებლობის საკითხებზე ლექცია ჩაუტარდებათ. ამასთან, არაოფიციალურად საუბრობენ, რომ გუდაურში უმრავლესობა იმ სამთავრობო ცვლილებების შესახებაც იმსჯელებს, რომლებიც მინისტრთა კაბინეტში უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს. ტრეინინგი ოფიციალურად 1 თებერვალს იწყება და 3 თებერვლამდე გაგრძელდება. 3 თებერვალს, დღის მეორე ნახევარში უმრავლესობის წევრების ნაწილი თბილისში დაბრუნდება, რადგან ამ დროისთვის პარლამენტში ბიუროს სხდომა არის დანიშნული.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# რა ვაკეთოთ?

გიორგი კავკასიძე
შვეიცარიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე
ცუგი, შვეიცარია

იმისათვის, რომ სწორად დავგეგმოთ მომავალი, რეალისტურად უნდა შევაფასოთ აწმყო. აწმყოს შეფასება კი წარმოუდგენელია საქართველო-რუსეთის ომის შედეგების შეფასების გარეშე.

როგორც აგვისტოს მოვლენებმა გვაჩვენა, საქართველო არის მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით. ამიტომ მსოფლიო მოვლენები გავლენას ახდენს საქართველოს საშინაო მდგომარეობაზე, ისევე როგორც საქართველოში განვითარებული მოვლენები ახდენს გავლენას მსოფლიო ურთიერთობებზე. ამის დასტური იყო ევროკავშირისა და აშშ-ს აქტიურობა საქართველო-რუსეთის ომის პერიოდში.

აწმყოს ანალიზისთვის უნდა განვიხილოთ დადებითი და უარყოფითი ფაქტორები - როგორც ლოკალური, ასევე გლობალური

**ლოკალური დადებითი:**

საქართველომ შეინარჩუნა სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა;

საქართველო ომიდან გამოვიდა ცოცხალი სამხედრო ძალის მინიმალური დანაკარგებით (მსხვერპლი შეიძლებოდა გაცილებით მეტი ყოფილიყო);

საქართველომ შეინარჩუნა სამხედრო ტექნიკის უმეტესი ნაწილი;

ქართველმა ხალხმა (ოპოზიციის ჩათვლით) გამოავლინა უპრეცედენტო ერთიანობა აგრესორის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა მთავრობას;

რუსეთმა ვერ შეძლო მთავრობის დამხობა და საქართველოს დასავლური კურსის შეცვლა.

**ლოკალური უარყოფითი:**

დაზარალდა საქართველოს ეკონომიკა;

დაზარალდა სამხედრო ინფრასტრუქტურა;

საქართველომ სრულად დაკარგა კონტროლი სეპარატისტულ რეგიონებზე და ამ რეგიონების მიმდებარე „პრო-ქართულ„ ტერიტორიებზე (ზემო აფხაზეთი, სამაჩაბლოს ქართული სოფლები);

გაიზარდა იძულებით გადაადგილებულთა რიცხვი რუსეთის მიერ ოკუპირებული (და განადგურებული) ქართული სოფლების მაცხოვრებელთა ხარჯზე;

რუსული ჯარი დგას იმ ტერიტორიაზე, რომელიც სეპარატისტულ რეგიონებს არასდროს ეკუთვნოდათ (პერევი, ახალგორი, კოდორის ხეობა, ლიახვის ხეობის ქართული სოფლები);

ამერიკული პრესის მიხედვით, ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობა და მისი ოფიცრების მომზადების დონე დაბალია და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს (New York Times, 17.12.08). ასევე გაირკვა, რომ საქართველოს საჰაერო სივრცე სრულიად დაუცველია;

რუსეთს არ დაუკარგავს საქართველოს „დაბრუნების" იმედი;

ოპოზიცია, რომლის ავანგარდში მთავრობისა და პარლამენტის ყოფილი წევრები არიან, ეჭვქვეშ აყენებს მთავრობის მოქმედებების ადექვატურობას ომამდე, ომის დროს და ომის შემდეგ და ამით ვადამდელი არჩევნების გამოცხადებას და მმართველობის შეცვლას ცდილობს;

არსებობს პოლიტიკური დესტაბილიზაციის რისკი.

**გლობალური დადებითი:**

საქართველოს მხარი დაუჭირა დასავლეთმა და რუსული აგრესია შეაჩერა;

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ერთპიროვნული ცნობის გამო რუსეთი პოლიტიკურ იზოლაციაში აღმოჩნდა;

ნიკარაგუას გარდა, მსოფლიოს არცერთმა ქვეყანამ (დსთ ქვეყნების ჩათვლით) არ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა;

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და ნავთობის ფასის ვარდნამ რუსეთის „ეკონომიური ზრდა" შეაჩერა და შიდა-სახელმწიფოებრივი პრობლემები შეუქმნა;

დასავლეთის ქვეყნებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ეკონომიკური დახმარება აღუთქვეს საქართველოს;

აშშ-ს მომავალმა ადმინისტრაციამ სოლიდარობა გამოუცხადა საქართველოს - საქართველომ და აშშ-მ თანამშრომლობის ქარტიას მოაწერეს ხელი.

**გლობალური უარყოფითი:**

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა დასავლეთის პრიორიტეტები შეცვალა - ისინი საკუთარი ეკონომიკის გადარჩენით არიან დაკავებულები;

ევროკავშირმა და ნატომ განაახლეს დიალოგი რუსეთთან (როგორც ამბობენ „სხვა ფორმატში");

ნავთობის ფასის დაცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ტრანზიტის საფასურზე და შესაბამისად, საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლებზე;

საქართველოს ნატოში გაერთიანებას კვლავ ეწინააღმდეგება ევროპის რამდენიმე წამყვანი ქვეყანა;

რუსეთის მასირებული პიარ-კომპანიის შედეგად, საქართველოს, როგორც აგრესიის მსხვერპლის იმიჯს „წყალი შეუდგა";

ისრაელის ბრძოლა "ჰამასის" წინააღმდეგ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა და უკანა პლანზე გადაიტანა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებები.

ამ ჩამონათვლის უსასრულოდ გაგრძელება შეიძლება, მაგრამ მე შევეცადე მოკლედ მომეწოდებინა პრობლემის ჩემეული ხედვა.

ჩემი აზრით, საქართველოს (ნებისმიერი) მთავრობის მოკლევადიანი ამოცანები შემდეგი უნდა იყოს:

გაუმკლავდეს მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებულ გამოწვევებს;

დააბინაოს ლტოლვილები;

დაიცვას საქართველოს მოსახლეობა როგორც მოსალოდნელი ახალი აგრესიისაგან, ასევე სოციალური კატაკლიზმებისაგან;

გაიუმჯობესოს დემოკრატიული, სტაბილური სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯი;

გააღრმავოს კავშირები დასავლურ (განსაკუთრებით ევროპულ) ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

როგორც ხედავთ, ამ ჩამონათვალში არ არის არც „საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენა" და არც „რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა".

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სანამ რუსეთი იარსებებს იმ ფორმით და იდეოლოგიით, როგორითაც დღეს არის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ანუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თბილისის იურისდიქციის ქვეშ დაბრუნება არ მოხდება. მგონი, ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ჩვენ რუსეთს ვერ მოვერევით, დასავლეთი კი საქართველოს გამო მესამე მსოფლიო ომს არ დაიწყებს. ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად მხოლოდ ერთი - მოლაპარაკებების გზა არსებობს, რომელიც დაინტერესებული მხარეების კეთილ ნებაზე უნდა იყოს დამყარებული. ასეთი კეთილი ნება კი არც რუსეთის და არც აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის მხრიდან არ ჩანს.

რაც შეეხება რუსეთთან ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობების დამყარებას, ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ ასეთი რამ მოხდეს პუტინ-მედვედევის რეჟიმის პირობებში (ამის დასტურია პუტინის, მედვედევისა და ლავროვის განცხადებები).

ვინმემ შეიძლება იკითხოს: მაშინ რა ვქნათ, შევეგუოთ ტერიტორიების დაკარგვას? ჩემი პასუხია: არა, არ უნდა შევეგუოთ, მაგრამ უნდა დავიცადოთ და მოვუაროთ იმას, რაც გვაქვს.

გერმანია თითქმის 50 წელიწადი ელოდა სსრკ-ს დანგრევას და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. ამ ხნის განმავლობაში კი ფუნდამენტური ცვლილებები მოახდინა მისი (დასავლური ნაწილის) მოსახლეობის ცნობიერებაში - მათ დაგმეს საკუთარი წარსული, ე.ი. ნაციზმი, აღადგინეს დანგრეული ეკონომიკა და მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი დემოკრატიული ქვეყანა შექმნეს. შემდეგ კი ამ ქვეყანამ ისე „გადასანსლა" აღმოსავლეთ გერმანია, რომ წარბიც არ შეუხრია.

ლოდინის სტრატეგიას მიმართა კვიპროსმაც. 1974 წელს, თურქეთი ჩრდილოეთიდან შეიჭრა კვიპროსის ტერიტორიაზე, დაიპყრო ამ კუნძულის 1/3 ნაწილი, დაარსა და შემდეგ (ერთადერთმა მსოფლიოში) აღიარა კვიპროსის თურქული რესპუბლიკა. ეთნიკურმა ბერძნებმა დატოვეს თურქების მიერ ოკუპირებული ტერიტორიები და კუნძულის სამხრეთს მიაშურეს. ბოლო წლების განმავლობაში სამხრეთ კვიპროსი ისე გაძლიერდა, რომ მისმა ეკონომიკამ კონტინენტური ევროპის ბევრი ქვეყნის ეკონომიკასაც კი გაასწრო.

ამიტომ „დე იურე" ერთიანი, ხოლო „დე ფაქტო" გაყოფილი კვიპროსი ევროკავშირის წევრი გახდა. კვიპროსის თურქული რესპუბლიკა, რომელსაც სამხრეთელებისგან მავთულხლართი და გამაგრებული საზღვარი ყოფს, კუნძულის გაერთიანების ინიციატივით გამოვიდა და სამხრეთელებთან „შერიგებას" ცდილობს.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას, ჩემი აზრით რუსეთი მხოლოდ მაშინ „მიიღებს" საქართველოს, თუ ეს უკანასკნელი რუსეთის ვასალი გახდება, ისეთი, როგორიც დღევანდელი სომხეთი ან აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთია.

რუსეთი ალბათ მხოლოდ იმ პირობით დაუშვებს ქართულ ნაწარმს თავის ბაზარზე, თუ მაგალითად, რუსეთს საშუალება ექნება, გააუქმოს საქართველოში ჩატარებული არჩევნების (მისთვის არასასურველი) შედეგები, რაც 2006 წელს, ერთხელ უკვე გააკეთა "სუვერენული აფხაზეთის" პრეზიდენტის არჩევნების დროს.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჟენევის მოლაპარაკებების პროცესი უნდა შეწყდეს - საქართველო ამ მოლაპარაკებებიდან არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოვიდეს. არ არის გამორიცხული, რომ ეკონომიურად და პოლიტიკურად დასუსტებულ რუსეთს „რამე გამოვტყუოთ". ასევე ჟენევის პროცესი უნდა გამოვიყენოთ საქართველოს იმიჯის გასაუმჯობესებლად.

ჟენევის მოლაპარაკებების ერთ-ერთი ძირითადი თემა ლტოლვილების დაბრუნებაა. რაღაც პერიოდი მეც მხარს ვუჭერდი ლტოლვილების დაბრუნების იდეას, მარგამ მერე დავფიქრდი: ვთქვათ, მოხდა სასწაული და ლტოლვილები დაუბრუნდნენ საკუთარ სახლ-კარს ოსეთშიც და აფხაზეთშიც. მერე რა მოხდება? ვინ დაიცავს მათ უსაფრთხოებას ადგილობრივი ნაციონალისტების თავდასხმებისგან, სეპარატისტი ბანდიტებისაგან, ადგილობრივი მილიციის რეკეტისგან? ვინ მოგვცემს მათი უსაფრთხოების გარანტიებს - ოსი ბოევიკები კოკოითის მეთაურობით? თუ ბაგაფში და შამბა? თუ რუსული საოკუპაციო არმია პუტინის მეთაურობით? თუ საერთაშორისო დამკვირკვებლები, რომლებსაც ოკუპირებულ ტერიტორიებზეც კი არ უშვებენ? ხომ არ ვცდილობთ უდანაშაულო ხალხზე ექსპერიმენტის ჩატარებას, ეგიდით - „დავაბრუნოთ და მერე ვნახოთ რა მოხდება". ამიტომ ლტოლვილების დაბრუნების იდეას, პირადად მე, უკვე სკეპტიკურად ან, თუ გნებავთ, ნეგატიურად ვაფასებ, რადგან ვფიქრობ, რომ მათი უკან დაბრუნება ამ ხალხის პოლიტიკური ამბიციებისთვის გაწირვის ტოლფასია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მოსახლეობამ და მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს - საით წავიდეთ და რა ვაკეთოთ?

ჩემი აზრით, რამდენიმე ალტერნატივა არსებობს:

დავიწყოთ რუსეთთან დაახლოება. ამ სტრატეგიის მოკლევადიანი შედეგები შეიძლება იყოს:

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კრემლში მომზადებული რაიმე ფორმით, ქართული პროდუქციის დაბრუნება რუსეთის ბაზარზე, ოსების და აფხაზების მხრიდან ქართული მიმდებარე სოფლების დარბევების შეწყვეტა, ლტოლვილების დაბრუნება, ქვეყნის განვითარების კურსის შეცვლა და დასავლურ ფასეულობებზე და ევროპისკენ სწრაფვაზე უარის თქმა. საქართველოს ტერიტორიაზე შედარებითი სიმშვიდის დამყარება. მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთის ფედერაციის ახალ სუბიექტად ჩამოყალიბება.

გრძელვადიანი პროგნოზი კი მეტად პესიმისტურია, რადგან რუსეთის „ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე" - ბუნებრივი რესურსების (ნავთობი და ბუნებრივი აირი) და სხვა ნედლეულის საბაზრო ფასებზეა დამოკიდებული, რომელსაც რუსეთი ვერ აკონტროლებს. თანამედროვე, ძლიერი ეკონომიკა ნიშნავს მაღალ ტექნოლოგიური პროდუქციის მასიურ წარმოებას. ასეთი წარმოება რუსეთს არ გააჩნია და ალბათ არც ექნება უახლოესი 50 წელიწადი (ამ ფენომენის მიზეზები ცალკე სტატიის თემაა). ამიტომ რუსეთი დარჩება მსოფლიო ეკონომიკის ნედლეულის წყაროდ. ხოლო თუ მოხდა რუსული ნავთობის და გაზის ახალი, ალტერნატიული საწვავით, ან სხვა წარმოშობის ნავთობითა და გაზით ჩანაცვლება, მაშინ რუსეთს დიდი კატაკლიზმები ელის. სწორედ ეს არის ამერიკის ახალი ადმინისტრაციის ერთ-ერთი მიზანი, რომელიც ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გაახმოვანა. ერთი რამ ცხადია - უახლოეს მომავალში რუსეთი ვერ გახდება ეკონომიური ზესახელმწიფო, რომელსაც შეეძლება თავისი მოთხოვნილებებიც დააკმაყოფილოს და მისი სატელიტებისაც.

შევინარჩუნოთ "Status Quo", გავაგრძელოთ ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, გავაგრძელოთ ქაოტური რეფორმები, ლტოლვილებს მივცეთ დროებითი თავშესაფარი და სახლში მალე დაბრუნების იმედი და ა.შ. მოკლევადიანი პროგნოზით ეს ნიშნავს, რომ რუსეთი არ დაუშვებს დამკვირვებლების შესვლას სეპარატისტულ ტერიტორიაზე. შესაბამისად, გაგრძელდება სეპარატისტული რესპუბლიკების მიმდებარე ტერიტორიების ტერორი და სხვა პროვოკაციები რუსეთის მხრიდან. ასევე მოსალოდნელია ახალი სამხედრო აგრესიაც, რადგან ეკონომიკური კრიზისის გამო რუსეთი შეეცდება საკუთარი მოსახლეობის ყურადღების გადატანას „გარე მტრებზე". საქართველოს ეკონომიკის განვითარება შენელდება ან შეჩერდება. ამას მოყვება პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა, დესტაბილიზაცია, რუსეთის აგენტურის გააქტიურება. თუ ასე მოხდა, მაშინ დასავლეთი საქართველოში მიმდინარე პროცესებში აღარ ჩაერევა, რადგან, როგორც აღვნიშნე, ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ყველას თავისი პრობლემები აქვს და არავის უნდა ზედმეტი თავის ტკივილი.

საუკეთესო შემთხვევაში ჩატარდება ვადამდელ არჩევნები, უარეს შემთხვევაში კი მოხდება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ან გადატრიალება, რასაც შესაძლებელია მოყვეს სახელმწიფო მმართველობის ძალისმიერი შეცვლა, არეულობა, მსხვერპლი.

გრძელვადიანი პროგნოზი ასეთ დროს ასეთი იქნება: უარეს შემთხვევაში ან დავუბრუნდებით რუსეთთან დაახლოების სტრატეგიას გამომდინარე შედეგებით, ან დავრჩებით სრულიად დეზორიენტირებულები. უკეთეს შემთხვევაში კი, შევინარჩუნებთ პროდასავლურ ორიენტაციას. დასავლეთის (მოკრძალებული) მხარდაჭერა გაგრძელდება, მაგრამ დასავლეთი დაიწყებს კასპიის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების ახალი მიმართულებების ძებნას საქართველოს, როგორც არასტაბილური ტერიტორიის, გვერდის ავლით. ამას მოყვება საქართველოს გეო-პოლიტიკური მნიშვნელობის დაკნინება და აქედან გამომდინარე, დასავლეთის დახმარებისა და მხარდაჭერის კლება, რასაც ლოგიკურად მოყვება რუსეთთან დაახლოება.

ჩემი აზრით, არსებობს მესამე გზა, რომელიც ჰგავს გერმანიისა და კვიპროსის სტრატეგიას. კერძოდ:

საქართველომ დროებით გადადოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იდეა და აუხსნას საქართველოს მოსახლეობას, პირველ რიგში კი, ლტოლვილებს, ამ გადაწყვეტილების მიზეზები და რეალური პერსპექტივები;

გაამაგროს და დაიცვას რუსულ-ქართული საზღვარი, რომელიც დღეს სეპარატისტული ტერიტორიების საზღვრებზე გადის, რათა აღიკვეთოს ბანდიტების თარეში მიმდებარე ტერიტორიებზე და შესაძლო ახალი პროვოკაციები რუსეთის მხრიდან;

დაიწყოს როგორც „ძველი", ისე „ახალი" ლტოლვილების განსახლება ახალ, მუდმივ საკარმიდამო ნაკვეთებზე;

შეთავაზოს გალის რაიონის ქართულ მოსახლეობას და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ და დაუცველად გრძნობენ თავს, გადმოსახლდნენ საქართველოს თავისუფალ, არა-ოკუპირებულ ტერიტორიაზე და უზრუნველყოს მათი განსახლება;

შემუშავდეს საქართველოს სტრატეგიული განვითარების კონცეფცია, ყველა ჩასატარებელი რეფორმებისა და ცვლილებებისა ნუსხითა და ვადებით. ამ კონცეფციის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს უშიშროების კონცეფციაც - ომის შედეგებისა და ქართული არმიის ამასწინდელი (ამერიკული) აუდიტის გათვალისწინებით.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის განხორციელების შემთხვევაში, გაიზრდება რუსული ჯარის პერევიდან და სხვა ტერიტორიებიდან (რომლებიც არასდროს ეკუთნოდა სეპარატისტულ რესპუბლიკებს) გაყვანის შანსები, რომელიც დღეს თითქმის ნულის ტოლია. საქართველოს მეტი უფლება ექნება მოითხოვოს საერთაშორისო საპოლიციო შენაერთების განლაგება სასაზღვრო ზონაში ქართული მოსახლეობის დასაცავად (კვიპროსის მოდელი). ასევე სავსებით გამართლებული იქნება საქართველოს თხოვნა ევროკავშირისა და ნატო-სადმი ქვეყნის საჰაერო სივრცის დასაცავად დახმარების აღმოსაჩენად, რათა არ მოხდეს რუსეთის ავია გამანადგურებლების და ბალისტიკური რაკეტების იერიში ნავთობისა და გაზის სადენებზე. ეს ღონისძიებები დაუბრუნებს საქართველოს სტაბილური სატრანზიტო ქვეყნის სტატუსს (რომელიც დღეს ეჭვქვეშაა), შეამცირებს საქართველოს სამხედრო ხარჯებს და მთავრობას მიცემს საშუალებას, დააფინანსოს როგორც ლტოლვილების განსახლების პროგრამები, ასევე სხვა სოციალური მიმართულებები. ასევე მნიშვნელოვნად დააახლოებს საქართველოსა და ნატოს.

თუ საქართველო დროებით შეწყვეტს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე საუბარს და დაპირებებს, დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოოდ შეწყდება დასავლეთის ორჭოფობა და სპეკულაციები იმის თაობაზე, თუ ვინ დაიწყო ომი ან ვინ არის აგრესორი. ამის შედეგად პრო-ქართულად განწყობილ დასავლელ პოლიტიკოსებსა და ორგანიზაციებს მიეცემათ რუსეთზე ეფექტური ზეწოლისათვის საჭირო ახალ ბერკეტები. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ დასავლეთი და გაერო არავითარ შემთხვევაში არ აღიარებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და ეს ტერიტორიები დარჩება „ჰაერში გამოკიდებული", კვიპროსის თურქული რესპუბლიკის მსგავსად. ევროპა და აშშ კი მეტი ძალიხმევით შეუდგებიან საქართველოს დახმარებას, როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად.

რაც შეეხება რუსეთს. ვფიქრობ, რომ რუსეთი ყველაფრისთვის არის მზად, გარდა "ლოდინის" სტრატეგიისა. ეს დიდი სიურპრიზი იქნება პუტინ-მედვედევის ტანდემისათვის, რადგან რუსეთი საქართველოს კი აღარ დაუპირისპირდება, არამედ კონსოლიდირებულ მსოფლიო თანამეგობრობას. ეს კი სულ სხვა განზომილების ამოცანაა, რომლის დაძლევაც რუსეთს არ ძალუძს.

ჩემი სტატია მინდა დავამთავრო ციტატით სუნ ცზუს „ომის ხელოვნებიდან" - „გადააქციე შენი სისუსტე შენივე სიძლიერედ".

# მოქალაქეობასა და მიგრაციის საკითხებს სამოქალაქო რეესტრი განიხილავს

*მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხების განხილვა 2009 წლის 1 თებერვლიდან იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ფუნქციაში შევა.*
*ამ უფლებამოსილებას აქამდე იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატი და საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებდნენ.*




*გიორგი ვაშაძის განცხადებით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ახალი ფუნქცია დაემატა.*

ამ საკითხთან დაკავშირებით, გუშინ იუსტიციის სამინისტროში სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძემ პრესკონფერენცია გამართა.

ვაშაძის თქმით, საქართველოს მოქალაქეობის მიღების, მინიჭების, დადგენის, მოქალაქეობიდან გასვლის, მოქალაქეობის შეწყვეტის, შეწყვეტა-მინიჭების, დროებითი და მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის, ქვეყნიდან უცხოელის გაძევებისა და ემიგრაციასთან (მუდმივი გასვლა) დაკავშირებით დოკუმენტების ჩაბარება და შესაბამისი საბუთის მიღება მოსახლეობას, პირველ ეტაპზე, სამოქალაქო რეესტრის ცამეტ ტერიტორიულ ოფისში შეეძლება. ეს რაიონებია: თბილისში - ვაკე, საბურთალო, ისანი, დიდუბე-ჩუღურეთი, ასევე, ბათუმი, ქუთაისი, ბოლნისი, ახალციხე, რუსთავი, ზუგდიდი, გურჯაანი, გორი, წალკა. მომავალში ეს მომსახურება კიდევ უფრო გაფართოვდება, რაზეც საზოგადოებას ინფორმაცია პერიოდულად მიეწოდება.

აქამდე არსებული წესის თანახმად, მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქეებს უწევდათ იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მისვლა, რაც, რიგ შემთხვევაში, რეგიონების მკვიდრთათვის პრობლემას ქმნიდა. 1 თებერვლიდან კი მოქალაქეები ერთი ფანჯრის პრინციპით მიიღებენ მომსახურებას ზემოაღნიშნულ საკითხებზე.

დამატებითი ინფორმაციის მიღება მოქალაქეებს შეუძლიათ სამოქალაქო რეესტრის ცხელ ხაზზე - ტელეფონებზე: 17 22 22 და 40 10 10.

როგორც გიორგი ვაშაძემ განმარტა, ამჟამად მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებული 3000 საქმეა წარმოებაში. თებერვლიდან კი მოქალაქეებს აღარ მოუწევთ იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებისათვის მიმართვა, რადგან მათ უკვე შეუძლიათ გამოცხადდნენ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ზემოხსენებულ ტერიტორიულ სამსახურებში.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე აღინიშნა, მოქალაქეობისა და მიგრაციის საქმის წარმოებისათვის სპეციალური ელექტრონული პროგრამა შეიქმნა, ნებისმიერი დაინტერესებული პირის განაცხადი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში შესვლისთანავე (ან საკონსულო დაწესებულებებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებში) ავტომატურად გადაიგზავნება იმ სახელმწიფო უწყებებში, რომელთაც ამ პროცესში პიროვნების გადამოწმება ევალებათ. აღნიშნული პროცედურა კი საინფორმაციო ბაზას სრულყოფს და დახვეწს მომსახურებას.

სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურებში ჩაიბარებენ, ასევე, ორმაგ მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებულ განცხადებებს, რასაც აქამდე საგარეო საქმეთა სამინისტროს ახორციელებდა.

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით კვლავ საკონსულო დაწესებულებები და დიპლომატიური წარმომადგენლობებს მიმართავენ.

*საკუთარი ინფორმაცია*

# დეპუტატი ინფორმაციის საჯაროობას მოითხოვს

*"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისა" წარმომადგენელი, დეპუტატი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკა ლალიაშვილი სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ საუბრობს და მოსამართლეთა მიერ დაშვებული სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას მოითხოვს.*

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენობის წინ გამართულ ბრიფინგზე ნიკა ლალიაშვილმა მოსამართლეების დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა, და სამართალწარმოების კანონის მეხუთე მუხლის გაუქმება მოითხოვა და განაცხადა, რომ პარლამენტში ამ ინიციატივით შევა.

**"აღნიშნული ნორმა მოსამართლეების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებსა და მათი დასჯის შესახებ ინფორმაციას კონფიდენციალურს ხდის. სასამართლო სისტემის მესვეურების მცდელობა, ვითარება უკეთესობისკენ შეცვალონ, სრულიად არაეფექტურია, რადგან საკადრო ცვლილებების ტემპები სისტემური ცვლილებების დინამიკას არ მიჰყვება. უფრო მეტიც, დღეს არსებული საკადრო მდგომარეობა და გარკვეული ნაწილი მოსამართლეებისა რეფორმის შემაფერხებელი მუხრუჭია. სასამართლო სისტემაში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც არათუ განასახიერებენ მართლმსაჯულებას, არამედ თავად არღვევენ საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებს და ზიანს აყენებენ, როგორც პროცესის მონაწილეთა უფლებებს, ასევე საჯარო ინტერესებს,"** - აცხადებს დეპუტატი.

მისივე თქმით, მოსამართლეთა მიერ ჩადენილ კანონდარღვევათა შესახებ სოლიდური დოკუმენტური მასალა არსებობს, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა სახალხო დამცველმა მოიპოვეს.

**"პირადად ჩემს სახელზე არაერთი საჩივრის წერილია შემოსული. იუსტიციის საბჭო ვალდებულია, მოსამართლეთა მიერ ჩადენილ კანონდარღვევებზე დროული რეაგირება მოახდინოს, მაგრამ ინფორმაცია იმის შესახებ, მოხდა თუ არა რეაგირება, დაისაჯა თუ არა მოსამართლე, გასაიდუმლოებულია. დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი, არსებული კანონმდებლობით კონფიდენციალურია, რაც არასამართლიანია,"** – აცხადებს ნიკა ლალიაშვილი, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტში უახლოეს დღებში შევა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახის განცხადება

*დაუბრუნდება თუ არა ტელეკომპანია "იმედი" ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს, კვლავ გაურკვეველია. როგორც ბადრი პატარკაციშვილის ქვრივის, ინა გუდავაძის პრესსპიკერი აცხადებს, "იმედი" პატარკაციშვილის ოჯახის საკუთრებაში ჯერჯერობით არ გადასულა, თუმცა, არის გარკვეული სიახლეები, რომლებსაც გარდაცვლილის ქვრივი საზოგადოებას უახლოეს დღეებში თავად გააცნობს. ბადრი პატარკაციშვილის ქვრივის ინა გუდავაძის წინასწარი ინფორმაციით, ბიზნესმენი ჯოზეფ ქეი ტელეკომპანია "იმედს" აღარ აკონტროლებს.*

როგორც გუდავაძე "ტელეიმედის" თანამშრომლებისთვის გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, გიორგი ჯაოშვილის საჯარო აღიარების შემდეგ, მისმა იურისტებმა საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს, რომელსაც საერთაშორისო სასამართლო გაერო-ს ეგიდით განიხილავს.

**"თქვენთვის საინტერესო იქნება იმის გაგებაც, რომ ჯოზეფ ქეიმ ბადრის კუთვნილი აქტივების ჯგუფზე, რომელთა დიდი ნაწილი საქართველოშია, კონტროლის აღების მცდელობისას გიბრალტარის სასამართლოში მარცხი განიცადა. მალე იგი სხვა საზღვარგარეთული სასამართლოების წინაშეც წარსდგება და დარწმუნებულები ვართ, იქაც დამარცხდება. მას აუცილებლად მოუწევს პასუხისგება ყველა ჩადენილი ბოროტებისათვის. ჯოზეფ ქეი კარგად აცნობიერებს მოვლენების საბოლოო განვითარების საფრთხეს და არაერთხელ სცადა ჩემთან შეხვედრა, რათა რაიმე კომპრომისისთვის მიეღწია. მისივე სიტყვებით, იგი უკვე აღარ აკონტროლებს "იმედს", ამიტომ მასთან შეხვედრა ჩემთვის ინტერესის საგანს არ წარმოადგენს იმ დრომდე, ვიდრე მზად არ იქნება, აუხსნას საზოგადოებას, რა მოხდა რეალურად,"** - აცხადებს ინა გუდავაძე.

ტელეკომპანია "იმედის" გარდა, პატარკაციშვილის ოჯახი "მთაწმინდის პარკის" დაბრუნებას და გახსნას მოითხოვს. ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წარმომადგენელის განცხადებით, დეველოპერული კომპანია, "რაკინი", რომელსაც არაბთა გაერთიანებული ემირატები უმაგრებს მხარს, "მთაწმინდის პარკის" ხელახალ გახსნასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებს. ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წარმომადგენელმა სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ "მთაწმინდის პარკი" ბადრი პატარკაციშვილმა და მისმა მეუღლემ ინა გუდავაძემ ააღორძინეს და მასში 25 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიციაა ჩადებული.

გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახის წარმომადგენლის განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ კომპანია "ლინქსმა", რომელიც ბადრი პატარკაციშვილმა "მთაწმინდის პარკის" გასაშენებლად შექმნა, საქართველოს მთავრობის ქმედებების წინააღმდეგ ქართულ სასამართლოებში უამრავი სარჩელი შეიტანა, მაგრამ ყველა მათგანი კვლავ განხილვის პროცესში რჩებოდა.

**"ლინქსის" დირექტორმა გოგი ჯაოშვილმა განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული სარჩელების უკან გამოტანის მიზნით მერიის მხრიდან მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა, როდესაც მისგან უარი მიიღეს, აიძულეს გადამდგარიყო,"** - აცხადებს ოჯახის წარმომადგენელი და დასძენს, რომ:

**"გასული წლის 10 დეკემბერს "მთაწმინდის პარკისა" და "იმედის" დასაბრუნებლად პატარკაციშვილის ოჯახმა საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში საქართველოს მთავრობისა და თბილისის მერიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმის განხილვა მხოლოდ საწყის ეტაპზეა, უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო პრესის ყურადღება მიიპყრო. მთავრობისა და ქეის მიერ "მთაწმინდის პარკისა" და "იმედის" უკანონოდ ხელში ჩაგდება სრულად გამოაშკარავდება. მასზე აუცილებლად მოხდება რეაგირება და სამართლიანობა აღსდგება,"** - ნათქვამია გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახის წარმომადგენლის განცხადებაში.

*საკუთარი ინფორმაცია*

## რუსმა ოკუპანტებმა კობა მებონია მოკლეს

მთვრალი რუსი სამხედროები საკვების გამოძალვის მიზნით გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში, მებონიების ოჯახში შეიჭრნენ. თავდასხმისას 31 წლის კობა მებონიამ ოკუპანტებს წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც იგი საკუთარ ეზოში დაცხრილეს, შემდეგ კი მისი ცხედარი გაიტაცეს.

როგორც თავდამსხმელებმა მოკლულის ოჯახს განუცხადეს, მათი ახლობლის ცხედარს იმ შემთხვევაში დაუბრუნებენ, თუ მკვლელობის მიზეზს ანუ ძარცვის ფაქტს არ გაახმაურებდნენ.

გუშინ, ღამითვე სეპარატისტებმა და ოკუპანტებმა გალის რაიონის ქართულ მოსახლეობას ცეცხლი კიდევ ერთხელ გაუხსნეს. სროლის ხმა ისმოდა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხშიც.

რუხის გამგებლის ბეჟან თოდუას ინფორმაციით, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯიდან ქართული საგუშაგოს მიმართულებით აფხაზი შეიარაღებული პირები ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან და ყუმბარმტყორცნებიდანაც ისროდნენ.

ქართველ მხარეს საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნია. ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია, არ არიან დაჭრილებიც.

*მედიანიუსი*

## ეროვნული ბანკის თანამშრომელს გირაო შეუფარდეს

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომელს დავით კვასხვაძეს აღმკვეთ ღონისძიებად 5000 ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა.

სასამართლოს ინფორმაციით, მოსამართლემ დააკმაყოფილა ბრალდებულის ადვოკატის შუამდგომლობა და პროკურატურისა და კუდ-ის მოთხოვნა პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით არ გაიზიარა.

დავით კვასხვაძეს ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედება.

შს სამინისტროს ინფორმაციით, კორუფციული გარიგების შედეგად დავით კვასხვაძემ, საქართველოს კონტროლის პალატის საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის უფროსის თორნიკე გვაზავას შუამავლობით, „გლობალ ერთის" გენერალური დირექტორს გიორგი მაჩიტიძეს კონფიდენციალური ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს ეროვნულ ბანკში გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც „გლობალ ერთმა" სხვა პრეტენდენტებს შორის ადვილად გაიმარჯვა.

საქმეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იძიებს.

*პირველი*

## მუხიანის სასაფლაოზე მამაკაცის დამწვარი ცხედარი აღმოაჩინეს

მუხიანის სასაფლაოს შესასვლელთან ახალგაზრდა მამაკაცის დამწვარი ცხედარი აღმოაჩინეს. შემთხვევის ადგილზე საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურის და პატრულის ეკიპაჟის თანამშრომლები მივიდნენ. საგანგებო სამსახურის სიტუაციათა საქალაქო სამსახურის წარმომადგენლების ინფორმაციით, მამაკაცი 30-40 წლამდე ასაკის ადამიანი უნდა ყოფილიყო. შემთხვევის ადგილიდან მამაკაცის ცხედარი თბილისის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში გადაიტანეს.

როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში განაცხადეს, ცხედარის ამოცნობა ჯერჯერობით შეუძლებელია. აღნიშნულ ფაქტზე სამართალდამცველები მოკვლევას აწარმოებენ.

*მედიანიუსი*

## მემორანდუმი აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და ამერიკის იურისტთა ასოციაციას შორის

იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და ამერიკის იურისტთა ასოციაციას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის თანახმადაც, ამერიკის იურისტთა ასოციაცია საქართველოს აღსრულების ბიუროს მრავალმხრივ დახმარებას გაუწევს.

ამ ეტაპზე პარტნიორი ორგანიზაცია ქართველ აღმასრულებლებს სტაჟიორთა ტესტირების პროცესის შეფასებისათვის საჭირო სპეციალურ პროგრამას გადასცემს.

აღსრულების ეროვნულ ბიუროში კონკურსი 2009 წლის მარტშია დაგეგმილი. მასში მონაწილეობა შეეძლებათ როგორც იურისტებს, ასევე იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## "ლეიბორისტული პარტიის" წევრის სასამართლო პროცესი გადაიდო

ლეიბორისტული პარტიის" წევრის არჩილ ბენიძის სასამართლო პროცესი 4 თებერვლამდე გადაიდო.

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა არჩილ ბენიძე ფულის გათეთრების ბრალდებით 25 ივლისს დააკავა.

"ლეიბორისტული პარტია" მის დაკავებას უსაფუძვლოდ მიიჩნევს და პოლიტიკურ დევნას უკავშირებს.

*პირველი*

საქართველოს რეგიონულ ჟურნალისტთა ქსელი
Georgia Regional Media Network

# ვალების ამარა

*ახალი დევნილების ნაწილს დატოვებული სახლ-კარიდან მხოლოდ საბანკო დავალიანებები და მათი გასტუმრების ვალდებულება წამოყვათ.*

ნათია კუპრაშვილი,
გორი, თბილისი

35 წლის არჩილს ძმებთან ერთად ლიახვის ხეობაში მშობლიური სოფლის დატოვება აგვისტოს ომის შედეგად მოუხდა. არჩილი ამბობს, რომ ვალების გარდა, ყველაფერი დაკარგა.

,,მე და ჩემ ორ ძმას ცალ-ცალკე გვედგა ორ სართულიანი სახლი. გვქონდა ხეხილის ბაღები, ჩვენ-ჩვენი მეურნეობა, სატვირო მანქანები. ჩვენი შემოსავლების გამო ბანკს სესხის მოცემა არ გაჭირვებია. დღეს აღარაფერი გვაქვს, სესხის გარდა. ბანკიდან რამდენჯერმე დამირეკეს, ბოლოს მობილურის ნომერი შევცვალე, ახლა აღარც ვიცი და არც მაინტერესებს რას ითხოვენ ჩემგან''. - ამბობს არჩილი, რომელიც ოჯახთან ერთად ახალი დევნილებისთვის ახლადაშენებულ ერთ-ერთ კომპაქტურ დასახლებაში ერთი თვის წინ დასახლდა.

არჩილის მსგავს ისტორიებს აქ ბევრი ყვება. დევნილები ამბობენ, რომ საქართველოში მოქმედ ბანკებს მათი ვალების რესტრუქტურიზებისა და დევნილებისთვის შეღავათების დაწესებისთვის დიდად არ უზრუნიათ.

,,თუ სადმე ანგარიში გაქვს გახსნილი და ზედ ვინმე ღვთიან-მადლიანმა თუნდაც საჩუქრად, ფული ჩამოგირიცხა, ეგრევე გაქრის ბანკი და ვალის დასაფარად მიაქვს'', - ამბობს 54 წლის გურამი, რომელიც სხვების მსგავსად ვიანობას იმ მიზნით არ აკონკრეტებს, რომ ბანკის აგენტებისთვის იოლად მისაგნები არ გახდეს.

საქართველოში მოქმედ კერძო ბანკებში კი ამტკიცებენ, რომ არა მხოლოდ დევნილებს, არამედ აგვისტოს ომის შედეგად ყველა დაზარალებულს დაუწესეს შეღავათები.

,,ჩვენ ინდივიდუალურ რეჟიმში შევაჩერეთ ჯარიმები, მოვახდინეთ გადახდის გრაფიკის ცვლილებები, შევქმენით დევნილთა დახმარების ფონდი, გავაკეთეთ ყველაფერი რისი გაკეთებაც შეიძლებოდა'', - აცხადებს ,,საქართველოს ბანკის'' საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სოფო ბალავაძე.

მსგავს განცადებებს აკეთებენ საქართველოში მოქმედ სხვა კერძო ბანკებში და მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებშიც, თუმცა ამის მიუხედავად ადამიანის უფლებების დაცვის მიმართუელბით მომუშავე დაწესებულებებში დევნილებისგან საჩივრები არ ილევა.

არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას'' ამგვარი უკვე 400-მდე მიმართვა დაუგროვდა. საიაში დევნილების თემაზე მომუშავე განყოფილების ხელმძღვანელი ნათია მოსაშვილი აცხადებს, რომ საახალწლო დღეებშიც კი ორგანიზაციაში დევნილებისგან ამგვარი 60 ახალი საჩივარი შევიდა.

,,ეს ხალხი ფორსმაჟორულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ჩვენ მივმართეთ საქართველოში მოქმედ ბანკებს, გაეთვალისწინებინათ ის პრობლემები რომლებიც დევნილებს შეექმნათ. ბანკებისგან არაერთგვაროვანი პასუხი მივიღეთ, თუმცა ყველა მათგანის წარმომადგენელი გვიმტკიცებს, რომ შეღავათები ინდივიადუალურ რეჟიმში წესდება. ამის მიუხედავად გვაქვს ბანკების მიერ დაჯარიმებული და დაშინებული დევნილის ასობით შემთხვევა'', - აცხადებს ნათია მოსაშვილი.

,,საქმე ერთგან იქამდეც კი მივიდა, რომ დევნილს იმ კოტეჯის კომფისკაციით დაემუქრნენ, რომელიც სახელმწიფოსგან მას ერთი თვის წინ კერძო საკუთრებაში საცხოვრებლად გადაეცა'', - დასძენს იგი.

ნათია მოსაშვილი ასევე განმარტავს, რომ საქართევლოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატები დევნილთა თითოეულ მომართვაზე ინდივიდუალურ რეჟიმში მუშაობენ და პროცესში ხელისუფლების ჩართვის იმედიც აქვთ.

საქართველოს ხელისუფლებამ კი აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულთა დაჯარიმება ბანკებსაც კი დაასწრო - კომუნალური გადასახადების გადაუხდელობის გამო. გორში, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში რუსული ჯარის მიერ იყო ოკუპირებული და იბომბებოდა, ომის შემდეგ დაბრუნებულ მოსახლეების ნაწილს ელექტრო-ენერგია გაუთიშეს და გაზი გადაუკეტეს. დღეს ამ ფაქტს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ,,გაუგებრობას'' უწოდებენ.

,,ჩვენმა სამინისტრორომ დევნილთა კომუნალური გადასახადები თავად გადაიხადა, თუმცა კერძო ბანკებთან მათი დავალიანებების გასტუმრება ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება'', - აცხადებს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საფინანსო ეკონომიკური განყოფილების გამგე დიანა კოშაძე.

ეკონომისტი თენგიზ რეხვიაშვილი განმარტავს, რომ დევნილებისა და ბანკების ამგვარ ურთიეთობაში ადამიანის უფლებები დაირღვა, მაგრამ კანონი არა.

,,ხელშეკრულებები რომელბიც იდებოდა სესხებისა და კრედიტების გაცემის დროს კერძო ბანკსა და კლიენტს შორის, სამწუხაროდ არ ითვალისწინებდა ისეთ მდგომაროებას, როემლიც შიდა ქართლში აგვისტოს ომის შედეგად შეიქმნა. ამ რეგიონში მცხოვრები ადამინების შემოსავლის ძირითადი წყარო მეურნეობა და ვაჭრობა იყო. არც ერთი და არც მეორე სფეროს დაზღევვა საქართევლოში არ ხდებოდა და არც დღეს ხდება. სესხის აღების დროს კლეინტები ბანკის წინაშე ვალის გასტუმრების ვალებულებას დაზღევის გარეშე იღებდნენ და უმეტეს შემთხვევაში პასუხს საკუთარი ქონებით აგებდნენ'', - განმარტავს ექსპერტი.

,,დღეს ბანკები დევნილებთან მიმართებაში მუშაბენ პრინციპით - ამოვიღოთ მაქსიმუმი. მდგომარეობა უფრო მსუბუქი იქნებოდა, ომს მსოფლიოო ეკონომიკური კრიზისიც რომ არ დართვოდა თან. საბანკო სფეროს ძალაინ გაუჭირდა და სწორედ ამიტომ დევნილებისთვის შეღავეთების დაწესების უფლებას ბანკი თავს მხოლოდ უკიდურეს შემთხვებვაში აძლევს'', - განმარტავს თენგიზ რეხვიაშვილი.

დევნილი არჩილი კი თვლის, რომ მისი და მის მსგავსთა მდგომარეობა ,,უკიდურესზე უკიდურესია''.

,,დამაბრუნონ ჩემ სახლში, დამახვედრონ ის, რაც იქ დავტოვე და ბანკს ორი იმდენს გადავუხდი, ვიდრე გადასახდელი მაქვს'', - ამბობს არჩილი.

# ბოლო პირველი სოფელი

*ირგანჩაელები საზღვრის იქით გადასულ პირუტყვს ამაოდ ეძებენ.*

მარიკა ნიქორიძე,
დმანისი,
ირგანჩაი

დათოვლილი და მოყინული, ნამქერით გადათეთრებული ირგანჩაის გზა, წელიწადის ამ დროს, თითქმის ყოველთვის ჩაკეტილია. სოფელი კი, ტემპერატურის დათბობამდე, დმანისის რაიონსა და გარესამყაროს არის მოწყვეტილი.

გზა ქალაქ დმანისიდან სოფელ ირგანჩაიმდე მხოლოდ ერთია და ისიც ტყესა და მთებზე გადის. ამბობენ რომ აქედან კიდეც იწყება და კიდეც მთავრდება საქართველო.

პირველსა და ბოლო ქართულ სოფელს ერთი მხრიდან, 31 კილომეტრიანი მონაკვეთით სომხეთის სახელმწიფო ესაზღვრება, ხოლო მეორედან კი მხოლოდ ერთი მთა აშორებს თურქეთს.

სოფელი ირგანჩაი დმანისის რაიონის ცენტრიდან თითქმის 29 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. იგი მოსახლეობის რაოდენობით რაიონში ყველაზე დიდი სოფელია. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ირგანჩაიში 2300 მოსახლე ცხოვრობს. საქართველოს განათლების სამინისტროს მონაცემების მიხედვით კი, ირგანჩაის საჯარო სკოლა 1200 ბავშვზეა გათვლილი, თუმცა დღეს, როგორც ადგილობრივები ამბობენ, სკოლა გაცილებით მეტ მოსწავლეს იტევს.

ირგანჩაიში ძირითადად აზრბაიჯანული ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს. გაზის, წყლისა და შეშის გარეშე მყოფი მოსახლეობა ზამთარში გარესამყაროსაც წყდება და საკუთარ პრობლემებთან მარტო რჩება. მაგალითად სასაზღვრო ზოლიდან მათი პირუტყვი სისტემატიურად იკარგება.

თვენახევრის წინ სომეხმა მესაზღვრეებმა საფირ ვალიევის კუთვნილი სამი ძროხა დააპატიმრეს.

,,საქონლის გატაცება ირგანჩაიში ჩვეულიებრივ მოვლენად იქცა, ახლახანს 8 ძროხა დაიკარგა, სამი ჩემი, დანარჩენი კი, მეზობლების, ადგილობრივ პოლიციაშიც განვაცხადეთ, თუმცა დღემდე არც საქმე გახსნილა და არც პირუტყვის დამბრუნებელი გამოჩენილა ვინმე. საქონელი როცა მშიერია, ის საძოვარს მიყვება, რა იცის ძროხამ სად არი საზღვარი და სად არა, ამით კი, სომხური მხარე სარგებლობ. ამის შესახებ თავად ქართველმა მესაზღვრეებმაც კარგად იციან, თუმცა არც მათ აძლევენ იმის საშუალებას რომ, დაკავებული საქონელი გამოიყვანონ'', - აცხადებს სოფელ ირგანჩაის მკვიდრი საფირ ვალიევი.

საქონლის გატაცების ფაქტებს ადასტურებენ, როგორც საგუშაგოზე მყოფი ქართველი მესაზღვრეები ისე ადგილობრივი პოლიცია, თუმცა ოფიციალური კომენტარის გაკეთებისაგან თავს იკავებენ.

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბაკურ მგელაძე კი, აცხადებს რომ, აღნიშნული ინფორმაცია მისთვისაც ცნობილია.

,,მსგავსი ქმედებების შესახებ ჩემთვის ცნობილია. თუმცა, თავად ფაქტი რა სიხშირით ხდებოდა ვერ გეტყვით. ადრე საზღვრის გარჩევა მხოლოდ ხნულის საშუალებით ხდებოდა, შესაბამისად არ იყო არანაირი მავთულბადე. საძოვარზე გაშვებული ნახირი, ძალაუნებურად არღვევდა სასაზღვრო ზოლს. რომელზედაც იმ ქვეყნის სასაზღვრო პოლიცია, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები თუ მოსაზღვრე სომხური სოფლის მოსახლეობა მყისიერად ახდენდა რეაგირებას, ანუ როგორც თავად ამბობენ, პირუტყვს აპატიმრებდნენ. მაგრამ ახლა მავთულბადე არსებობს, ის სომხურმა მხარემ 2008 წლის შემოდგომაზე გააკეთა. მოსახლეობისთვისაც გასაგები უნდა იყოს, რომ აქ საზღვარია'', - აცხადებს ბაკურ მგელაძე.

მოსაზღვრე სომხურმა მხარემ ოთხი თვის წინ, სასაზღვრო ტერიტორია გამოყო. ტრაქტორის ხნულის ნაცვლად ბოძები დასვა და მავთულბადე გაავლო. ორ საზღვრისპირა ქართულ და სომხურ სოფლებს შორის აიკრძალა ყველანაირი მიმოსვლა.

იაქირ ხალიდოვი ირგანჩაის მკვიდრია და 20 წელზე მეტია სოფელში ვეტ-ექიმად მუშაობს, იაქირი ყვება რომ, რამდენიმე წლის წინ, ამ სოფელთან დამაკავშირებელი რამდენიმე გზა არსებობდა, ახლა ერთადერთია და ისიც დმანისიდან.

,,ადრე სომხეთის გავლით დავდიოდით და კალინონის გზით თბილისში შევდიოდით. სავაჭრო გაცვლა ხდებოდა. საქონლითა და ყველით ვვაჭრობდით, თუმცა სომხურმა მხარემ გადაწყვიტა და აქედან თურქეთის საზღვრამდე მავთულხლართი გაავლო. გზა მთლიანად დაიკეტა'', - ამბობს იაქირ ხალიდოვი.

ადგილობრივები აცხადებენ, რომ ვაჭრობის გარდა, რაზეც საზღვრის დაკეტვის შემდეგ მოსახლეობას პრობლემები შეექმნა, სათიბი და სასაძოვრე ტერიტორიებიცაა, რომლებიც სომხეთის სახელმწიფოს კონტროლს დაექვემდებარა.

,,მოგვაბეზრა თავი მოსაზღვრე სოფლის მოსახლეობამ. ჩვენი ტერიტორია პატარაა, სწორედ ამიტომ საქონელი მშიერია, არ გვაქვს უფლება ნახევარი კილომეტრის მოშორებით წავიყვანოთ საძოვარზე. ცხენი იქნება თუ ძროხა, არ აქვს მნიშვნელობა, როგორც კი, იმ ნახევარ კილომეტრიან რადიუსს გაცდება მაშინვე იტაცებენ სომეხი მესაზღვრეები,, ან მოსახლეობა'', - წუხს სოფელ ირგანჩაიში მცხოვრები სელიმ ოსმუნოვი.

სელიმი გამონაკლისი არ არის იმ ადამაიანებს შორის, ვისი კუთვნილი პირუტყვიც სომხურმა მხარემ, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გამო დააპატიმრა. შამიშთან ჩოფუროვი ამბობს რომ, ირგანჩაიში პრობლემები ბევრია, მომგვარებელი კი ძალიან ცოტა.

,,აქ ცხოვრება უკვე გაუსაძლისი ხდება. არც წყალია და არც შეშა, არც გზაა და არც გაზი. ერთადერთ სარჩოს, საქონელს რომ მოგტაცებენ, როგორ უნდა იცხოვრო ადამიანმა?.'', - აცხადებს სოფელ ირგანჩაის მცხოვრები შამიშთან ჩოფუროვი.

ირგანჩაელები წყალს სოფლის დასაწყისში არსებული წყაროდან თუნგებით ეზიდებიან, სახლის სახურავებზე დამაგრებულ ძაბრებში მოთავსებულ თოვლს კი, გადნობის შემდეგ, ჭურჭლის ან სარეცხის დასარეცხად ხმარობენ.

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბაკურ მგელაძე აცხადებს რომ, ირგანჩაიში გასულ წელს იმაზე მეტი გაკეთდა ვიდრე, რაიონის სხვა სოფლებში.

,,პროცენტულადაც რომ ავიღო, ყველაზე დიდი თანხებია დახარჯუული. სოფელში არსებობდა სასმელი წყალი, რომელიც ,,ასბესტის'' მილების საშუალებით მოედინებოდა, ეს კი, დაუშვებელია თანამედროვე სტანდარტების მიხედვით. ამიტომ ,,ასბესტი'' პლასტმამსის მილებით შევცვალეთ. სოფლები ძირითადად სარგებლობენ წყაროებით. წყლის არსებული დებეტიც კი, ვერ მოგვცემს იმის სშუალებას რომ, ოჯახებში დაქსელვა განვახორციელოთ. მაგრამ სოფლის რამდენიმე წერტილში წყალი ნამდვილად არის'', - აცხადებს ბაკურ მგელაძე.

,,2009 წელს პრეზიდენტის პროგრამით სოფლის მიმართულებით კაპიტალური გზა გაკეთდება. საგზაო დეპარტამენტი განახორციელებს შიდა სახელმწიფოებრივი გზის მშენებლობას დმანისი-ბედიანის მიმართულებით და შესაბამისად გზა დმანისი- გუგუთის მიმართულებითაც გაკეთდება'', - ირგანჩაელებს აიმედებს დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელი,

,,ჩვენ იმედით ვცხოვრობთ. აქ ცხოვრება ძალიან ძნელია და საპასუხისმგებლო. თუმცა ჯერ შეგვიძლია უგზოობას გავუძლოთ, წყალი თუნგებით ვზიდოთ, დაკარგული საკუთრების დაბრუნების იმედი ვიქონიოთ და რაც მთავარია, არ დავკარგოთ სურვილი იმისა რომ, შევძლოთ და ვიყოთ აქაურობის პატრონები და მოდარაჯენი'', - ამბობენ ირგანჩაელები.

პროექტს აფინანსებს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი
Project financed by U.S. Department of State

საქართველოს რეგიონულ ჟურნალისტთა ქსელი
Georgia Regional Media Network
institute for war & peace reporting

# თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდული მხარეები

*თურქეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დადებული ხელშეკრულების ავტორები თვლიან, რომ შეთანხმება ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება. თუმცა ქართველი ბიზნესმენების აზრით, ცვლილება მათ გაკოტრებამდე მიიყვანს.*

ირმა ზოიძე,
ბათუმი

ხელმოწერილი და ძალაში შესული დოკუმენტის ძირითადი პუნქტებია - ,,ინვესტიციების შემგომი წახალისება'', ,,ორმხრივი ვაჭრობის გაფართოვების გზით, ორივე ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება'', ,,მხარეთა შორის ვაჭრობისას სამართლიანი კონკურენციის პირობების უზრუნველყოფა'' და ასე შემდეგ.

თუმცა ქართველი ბიზნესმენების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ დოკუმენტი ,,ვაჭრობისას სამართლიან კონკურენტულ გარემოს'' სულაც არ ქმნის. ბიზნესმენებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატაშიც ეთანხმებიან.

,,საზღვრების ასე გახსნამ, შესაძლებელია საწარმოები გაკოტრებამდე მიიყვანოს. თურქეთში ინდუსტრია დიდი ხანია ვითარდება, ეკონომიკურადაც გაცილებით ძლიერი ქვეყანაა, ჩვენთან კი ახლა ვიდგამთ ფეხს. ხარისხით კონკურენციის გაწევა ძნელი იქნება, ახლა უკვე ფასითაც ვერ მოიგებ, შედეგად კი ადგილობრივ ბიზნესს პრობლემა ექმნება. რაღაც დროის შემდეგ ეს სიახლე, ალბათ, კარგად იმუშავებდა, მაგრამ დღეს ის პრობლემებს ქმნის'' - ამბობს აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თამჯდომარე თენგიზ ბაკურიძე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აჭარის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ალექსანდრე ბეჟანიძე კი ირწმუნება რომ მიუხედავად შეღავათებისა რომელიც იმპორტიორებს აქვთ, არაკონკურენტულ გარემოზე საუბარი არასამართლიანია.

,,ეს კანონი შეღავათებს შეუქმნის იმპორტიორებს, მაგრამ არ დააკნინებს ადგილობრივი მეწარმის პირობებს. ის 12 პროცენტიანი შეღავათი, რომელიც საბაჟო გადასახადის სახით რამდენიმე სახეობის იმპორტირებულ პროდუქტზე მოიხსნა, დიდად ვერ შეცვლის მდგომარეობას. ექსპორტიორს მაინც აქვს ხარჯები ტრანსპორტირების, საბაჟო მოსაკრებლის სახით, რომელიც ადგილობრივ მეწარმეს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.''

შეთანხმების თანახმად, საბაჟო გადასახადები ძირითადად სასოფლო სამეურნეო პროდუქტების რამდენიმე სახესა და სამშენებლო მასალებზე გაუქმდა. აჭარის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელი და ბიზნესმენი თენგიზ ბაკურიძე საკუთარ მაგალითზე ამტკიცებს, რომ კანონი ნაჩქარევად იქნა მიღებული.

საქართველოში სამშენებლო ბუმის პერიოდში თენგიზ ბაკურიძე ამ ბიზნესით დაინტერესდა და მშენებლობასთან ერთად ცემენტის წარმოებაც დაიწყო. ეკონომიკური კრიზისის გამო მშენებლობის ტემპებმა საგრძნობლად იკლო, ამას ზემოთხსენებული შეღავათებიც დაემატა, რის შემდეგაც მას თურქეთიდან ცემენტის იმპორტიუორი კომპანიებისთვის კონკურენციის გაწევა აღარ შეუძლია.

ქართველი ექსერტები და ბიზნესმენები იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ ქართულსა და თურქულ მხარეს შორის დადებული შეთანხმება, მეზობელი ქვეყნის მიმართ უფრო ლოიალურია. მაგალითად, მიუხედევად იმისა, რომ თურქეთში ქართულ თაფლზე დიდი მოთხოვნაა, მისი გატანა ქართველ მეფუტკრეებს ამ დრომდე შეზღუდული აქვთ.

აქამდე თურქეთში თაფლის ექსპორტი საერთოდ აკრძალაული იყო, შეთანხმების შემდეგ კი ქართველ მეწარმეებს წელიწადში სულ 200 კილოგრამი თაფლის განუბაჟებლად გატანის საშუალება მიეცათ. ლიმიტის ამოწურვის შემდეგ, ამ პროდუქტის გატანა, ბაჟის გადახდის შემთხვევაშიც იკრძალება.

ლიმიტირებულია ბოსტნეულის, ცუტრუსის, მწვანილის, ხილის და კაკლის გატანაც. ასე მაგალითად ციტრუსის ნაყოფი, ახალი ან გამხმარი 4000 ტ. შეიძლება გავიდეს მეზობელ ქვეყანაში. გარგარის, ალუბლის, ბალის, ატმისა და ქლიავის ექსპორტიორებს კი 50 პროცენტიანი შეღავათი აქვთ და წლის განმავლობაში 600 ტონა შეუძლიათ გაიტანონ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, არსებობს ბარიერები, რომლის გადალახვა ქართველ ექსპორტიორებს გაუჭირდებათ.

აჭარის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ვახტანგ ჩხარტიშვილი იმპორტიორებს სპეციალური სერთიფიკატის, ,,ევრი-1'' გასაცემად ხელშეკრულებას სთხოვს. ხელშეკრულება კი იმ პირთან უნდა იყოს გაფორმებული, რომელიც მეწარმეს პროდუქტის ყიდვაზე შეუთანხმდა. საჭიროა ფიტოსანიტარული ცნობაც, ხარისხის და შესაბამისობის სერთიფიკატები და ა. შ. სწორედ ამ ბარიერების გამო, რაც პროდუქციის უცხოეთში გატანას უკავშირდება ქართველი ბიზნესმენები შეთანხმებით გათვალისწინებული შეღავათებით ვერ სარგებლობენ.

ეკონომიკის დოქტორი დავით ქათამაძე განმარტავს, რომ თერქეთ-საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება არ იყო გათვლილი შიდა პროდუქტის გაზრდაზე:

,,თურქეთთან ხელმოწერილი ხელშეკრულება სასურსათო უზრუნველყოფისთვის გადადგმული ნაბიჯი იყო. სამომხმარებლო ბაზრის 75 პროცენტით იმპორტზე ვართ დამოკიდებული. ეს არ იყო სამეწარმეო თავლსაზრისით გათვლილი ხელშეკრულება. ის მოსახლეობის საარსებო მინიმუმის დასაკმაყოფილებლად უფრო გაფორმდა'', - გვიხსნის ექსპერტი.

,,თუმცა, ალბათ, ჯობდა, კრიზისის პირველი პერიოდი თავად გადაგვეტანა. ქვეყნიდან კაპიტალი გადის და მის შესავსებად ქვეყანაში არაფერი კეთდება'', - დასძენს ექსპერტი.

# სამშენებლო ბიზნესი კრიზისის ზღვარზე

*ქუთაისში ორი წლის წინ, 15 წლიანი პაუზის შემდეგ განახლებულ ბინათმშენებლობას კვლავ ცუდი დრო დაუდგა.*

თეა ზიბზიბაძე,
ქუთაისი

სამშენებლო კომპანიები ეკონომიკურ კრიზისს, ჯერჯერობით, არ იმჩნევენ. ქუთაისში ამ დროისთვის ექვსი საცხოვრებელი ბინის მშენებლობა მიმდინარეობს, რამდენიმე კომპანია კი ნებართვის გაცემას ელოდება.

საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ შეჩერებული სამშენებლო პროცესი ,,ინდუსტრიის მშენებელ'' ქალაქში მხოლოდ უკანასკნელ წლებში განახლდა. ქუთაისში ძირითადი ობიექტების მშენებლობა 2007 წლიდან დაიწყო, როდესაც სამშენებლო ბაზარზე რადმენიმე სამშენებლო კომპანია თითქმის ერთდორულად შემოვიდა. ,,იბერიის ვარსკვლავი'', ,,დიზაინ კომპლექსი'', ,,კომფროტი'', ,,ქუთაისი პლაზა'' - ეს ის სამშენებლო კომპანიებია, რომლებიც ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე საცხოვრებელი ბინებისა და სავაჭრო ცენტრების მშენებლობით არიან დაკავებულნი. არც ერთი მათგანი ფართებზე ფასების შემცირებას არ აპირებს, იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, თბილისში სამშენებლო მასალებმა და უძრავ ქონებაზე ფასებმა საგრძნობლად დაიწია.

,,თბილისში სამშენებლო კომპანიებმა ბინების ფასი ძალიან შეამცირეს, ქუთაისში ამას რატომ არ აკეთებენ, ვერ ვხვდები. საერთოდ ქუთაისში ფასდაკლებები თავისებურად ესმით. მაღაზიებიც რომ ავიღოთ, თუ ,,SALE'' აწერია, უნდა იცოდე, რომ ფასი ან მომატებულია, ან იგივე, რაც იყო'', - ამბობს ქუთაისში მცხოვრები თამარ დვალიშვილი.

,,სამშენებლო მასალები საგრძნობლად გაიაფდა. თუ ერთი ტონა არმატურა, რკინა-ბეტონი ერთი თვის წინ 1600 დოლარი ღირდა, ახლა მას 700 დოლარად იყიდი. ასევე, გაიაფდა სხვა სამშენებლო მასალები. ეკონომიკური კრიზისის გამო ბინების ფასიც იაფდება. თუმცა ქუთაისში ჯერჯერობით ეს არ ხდება, რადგან ვფიქრობ რომ ჯერ არსებულ ფასადაც გაიყიდება. ამ ეტაპზე ფასდაკელბას არ ვაპირებთ'', - ამბობს სამშენებლო კომპანია ,,კომფორტის'' დირექტორი ბესო ბეგაძე.

ამ აზრს იზიარებენ სხვა სამშენებლო კომპანიებშიც. მათი ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ ფასების შემცირების აუცილებლობა არ დგას, თუმცა იმავე კომპნიებში არ უარყოფენ, რომ გაყიდევბის მაჩვენებლი განახევრებულია.

დღეისათვის ქუთაისში მშენებარე ბინებში ერთი კვადრატული მეტრი ფართის ფასი საშუალოდ 500-დან 750 დოლარს შეადგენს. ერთადერთი სამშენებლო კომპანია, რომელმაც გასაყიდი ფასები შეამცირა ,,იბერიის ვარსკვლავია''. აღნიშნული კომპანია ქუთაისის ცენტრალურ ტერიტორიაზე, ბალახვანში ხუთ სართულიანი საცხოვრებელი ბინის მშენებლობით არის დაკავებული, სადაც უკვე ერთი კვადრატული ფართის ფასი 350 დოლარიდან იწყება. ,,იბერიის ვარკვლავში'' აცხადებენ, რომ მშენებლობის ვადებს არ გადაუწევია და ობიექტი გეგმის მიხედვით 2010 წლისთვის დასრულდება.

,,ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით უძრავ ქონებაზე ფასები დაკლებულია 30%-მე, ხალხს საშუალება აღარ აქვს. გართულდა კლიენტებთან მუშაობა, ახლა დიდი ძალისხმევა გვჭირდება მათ დასარწუნებლად, რომ ფული უძრავ ქონებაში ჩადონ'', - ამბობს ,,იბერიის ვარკვლავის'' გაყიდვების მენეჯერი თამარ თოდაძე.

ქუთაისში მოქმედი სხვა სამშენებლო კომპანიები ქალაქში შეფერხებულ ბინათმშენებლობაზე არ საუბრობენ.

,,მოსახლობას ფული კი აქვს, მაგრამ უძრავ ქონებაში აღარ დებს. თუმცა მშენებლობაზე შეფერხება არ გვქონია. პრობლემები იყო მხოლოდ ომის პერიოდში, სამშენებლო მასალების ტრასპორტირების კუთხით'', - ამბობს ,,კომფორტის'' დირექტორი ბესო ბრეგაძე.

,,კომფორტმა'' ორი თვეა რაც საცხოვრებელი ბინის მშენებლობა ქალაქის ცენტრალურ ტერიტორიაზე, რუსთAველის ქუჩაზე დაიწყო. სამ სართულინი კორპუსის დასრულება წელიწად ნახევარაშია გათვლილი. ერთი კვადრატული ფართის ფასი 750 დოლარია. პირველ სართულზე კომერციული ფართის ფასი კი 2000 დოლარს შეადგენს.

აღნიშნული სამშენებლო კომპანია კიდევ ერთ საცხოვრებელ ხუთ სართულიან ბინას თამარ მეფის ქუჩაზე აშენებს. კომპანიაში ამბობენ, რომ თავდაპირველი შეთანხმების მიხედვით მშენებლობა ლიტველ პარტნიორებთან ერთად უნდა განხროციელებულიყო, თუმცა ბოლოს ლიტველებმა დაფინანსებაზე უარი განცხადეს.

,,ლიტველებს პრობლემები აქვთ. ჩვენ თანაბარი პროცენტული წილი გვქონდა, ახლა კი მათ დაფინანსება შეწყიტეს. ეს რა თქმა მშენებლობისთვის ხელისშემშლელი ფაქტორია. ახლა ვცდილობთ საჭირო ფინანსები სხვა მხრივ მოვიზიდოთ'', - ამბობს ბესო ბრეგაძე.

იმერეთის სავაჭრო სამრეწველო პალატაში მიაჩნიათ, რომ სამშენებლო ბაზარზე გაყიდვების შემცირება საბანკო სექტორში არსებულმა კრიზისმაც განაპირობა. რადგან მოსახლეობას ბინების განვადებით შეძენაში სწორედ ბანკები ეხმარებოდა. ,,ეკონომიკური კრიზისი, ლოგიკურად, მშენებლობასაც უშლის ხელს. აქ არის ერთი ჯაჭვი: მშენებელი-კლიენტი-ბანკი. როდესაც ბანკი სესხს ვერ გასცემს, ეს ჯაჭვიც ირღვევა'', - ამბობს იმერეთის სავაჭრო სამრეწველო პალატის აღმასრულებელი დირექტორი ემზარ ღვინიანიძე.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ 2009 წელი სამშენებლო კომპანიებისთვის, განსაკუთრებით რეგიონებში, საკმაოდ რთული იქნება. ეკონომისტი პაატა კლდიაშვილი ამბობს, რომ ეკონომიკური კრიზისი პირველ რიგში გაყიდვებზე აისახება, ამიტომ თვლის, რომ რომ სამშენებლო კომპანიების სტაბილურობა იმაზე იქნება დამოკიდებული რა რეზერვების დაგროვება მოახერხეს კომპანიებმა მაშინ, როცა გაყიდვების მაჩვენებელი მაღალი იყო. კლდიაშვილი არ გამორიცხავს, რომ გაყიდევბის ასეთი ტემპის გაგრძელების შემხვევაში სამშენებლო კომპანიებს პრობლემები შეექმნებათ. ექსტერპები ასევე მიიჩნევენ, რომ უძრავ ქონებაზე ფასების გაიაფება გარდაუვალია.

პროექტს აფინანსებს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი
Project financed by U.S. Department of State

## ნეაპოლიტანური მაფიის ერთ-ერთი მეთაური დააპატიმრეს

ესპანეთის პოლიციისა და ინტერპოლის ერთობლივი ღონისძიებით მადრიდში ნეაპოლიტანური მაფიის "კამორას" ერთ-ერთი მეთაური ანტონიო კაიაცო დააპატიმრეს. ასევე აყვანილია მისი დამხმარე ფრანჩესკო სიმიოლი. ორივე მაფიოზი უკვე ორი წელიწადია, იძებნება. დაპატიმრება ესპანეთის დედაქალაქის ერთ-ერთი რესტორნის ახლოს მოხდა, რომლის მუშაკებიც დიდი ხანია, შემჩნეულნი არიან ნარკოვაჭრობაში. ნეაპოლის სასამართლომ 50 წლის კაიაცოს დაუსწრებლად მიუსაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას მკვლელობაში, გამოძალვაში, ნარკოტიკების კონტრაბანდაში და არაკანონიერ მეწარმეობაში დაედო ბრალი.

*მედიანიუსი*

## ევროპის სამმა სახელმწიფომ ერთობლივი საბრძოლო ჯგუფი შექმნა

პოლონეთმა, გერმანიამ და საფრანგეთმა 28 იანვარს მიიღეს გადაწყვეტილება, ჩამოაყალიბონ ერთობლივი საბრძოლო ჯგუფი "ვაიმარი-ევროკავშირი". გაერთიანების შემადგენლობაში 1500-დან 2000-მდე ჯარისკაცი შევა. ძირითადი როლი მაინც პოლონურ კონტინგენტს ეკისრება, ხოლო გერმანული და ფრანგული მხარე მას საჭიროების შემთხვევაში დახმარების გაუწევს. "ვაიმარი-ევროკავშირი" ფრანგულ-გერმანულ-პოლონური პოლიტეკონომიკური გაერთიანება "ვაიმარის სამკუთხედის" ბაზაზე ყალიბდება და საბოლოო სახეს 2013 წლისთვის მიიღებს. "ვაიმარის სამკუთხედი" ჯერ კიდევ 1991 წელს ჩამოყალიბდა, მისი მთავარი მიზანი იყო, დახმარებოდა პოლონეთს და კომუნისტური წარსულიდან ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაცია მოეხდინა.

*მედიანიუსი*

## სომალელმა მეკობრეებმა მორიგი ხომალდი დაატყვევეს

სომალელმა მეკობრეებმა ინდოეთის ოეკანეში, ადენის სრუტეში ხუთშაბათს კიდევ ერთი ხომალდი დაატყვევეს. "როიტერის" ინფორმაციით, ხომალდი გერმანულ ნავთობკომპანია "ლონგჩემპის" საკუთრებაა. მეკობრეებს მძევლად ჰყავთ აყვანილი ტანკერის ეკიპაჟი - 12 ფილიპინელი და ერთი ინდონეზიელი მეზღვაური. ჯერჯერობით უცნობია, ტანკერის თანამესაკუთრე კომპანიის სახელი და ტვირთის ოდენობა. ეს 2009 წელს სომალის სანაპიროებთან მეკობრეების მიერ ხომალდის დატყვევების უკვე მესამე შემთხვევაა. გაერო-ს მონაცემებით, გასულ წელს სომალის სანაპიროსთან გემების მიტაცების, დაახლოებით, 120 შემთხვევაა რეგისტრირებული. ამჟამად მეკობრეების ტყვეობაში, დაახლოებით, 200 მეზღვაური და ათზე მეტი ხომალდი რჩება. სომალის სანაპიროებთან მეკობრეების წინააღმდეგ საერთაშორისო ოპერაციაში უცხო სახელმწიფოთა ოცამდე ხომალდი მონაწილეობს.

*საკუთარი ინფორმაცია*

## მადაგასკარზე მსხვერპლი გაიზარდა

მადაგასკარზე მთავრობით უკმაყოფილოთა მსხვერპლის რიცხვი დღითიდღე იზრდება. ორშაბათიდან დღემდე უკვე 68 ადამიანია დაღუპული. კუნძულის სამართალდამცველების განცხადებით, ქვეყნის დედაქალაქ ანტანანარივუში 30 ადამიანი ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში ხანძარს შეეწირა, 16 კი ქალაქ ტოლიარში არეულობის შედეგად დაიღუპა. კუნძულის სხვადასხვა მხარეში სულ 10 ადამიანია დაღუპული. ქვეყნის რამდენიმე რეგიონში კომენდანტის საათია გამოცხადებული. პოლიცია ირწმუნება, რომ ამჟამად კუნძულზე ვითარება სტაბილურია. დედაქალაქის ოპოზიციონერი მერის ანდრი რაჟუელინას მხარდასაჭერად გამოსვლები ორშაბათს დაიწყო.

*მედიანიუსი*

## ვლადიმირ პუტინი: "ჩვენ დახმარება არ გვჭირდება, ჩვენ ინვალიდები არა ვართ"

რუსეთს დასავლეთის არა დახმარება, არამედ თანასწორუფლებიანი და სრულყოფილი პარტნიორობა სჭირდება, - ამის შესახებ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა დავოსში მიმდინარე ეკონომიკურ ფორუმზე განაცხადა. "ჩვენ დახმარება არ გვჭირდება, ჩვენ ინვალიდები არა ვართ. შეიძლება, დაეხმარო გაჭირვებულ ადამიანებს, პენსიონერებს და განვითარებად ქვეყნებს. რაც შეეხება რუსეთსა და ჩვენს პარტნიორებს ევროპაში, აშშ-ში, აზიის რამდენიმე ქვეყანაში, აქ მხოლოდ თანასწორუფლებიანი და თანაბარფასიანი პარტნიორობა გვჭირდება. რეალურად ხომ ჩვენი ეკონომიკა ერთმანეთს ავსებს," - განაცხადა პუტინმა.

*პირველი*

## საფრანგეთში მასობრივი გაფიცვებია

საფრანგეთის ქალაქების ქუჩებში ეკონომიკური კრიზისის გასაპროტესტებლად მასობრივი დემონსტრაციები იმართება, რამაც სარკინიგზო და საჰაერო მიმოსვლის შეფერხება გამოიწვია. გაზეთ "პარიზიენის" მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგებით, გაფიცვას საფრანგეთის მოსახლეობის 69 პროცენტი უჭერს მხარს. პარალიზებულია რეგიონული სარკინიგზო მიმოსვლა, ხოლო ორლის აეროპორტში ფრენების ერთი მესამედი გაუქმებულია. სააგენტო "ფრანსპრესის" თანახმად, რთული ვითარებაა ასევე სკოლებში, ბანკებში, საავადმყოფოებსა და სასამართლოებშიც, რადგან დაქირავებული მუშა-ხელი გაფიცულია. ოფიციალური ინფორმაციით, მასწავლებელთა და ფოსტის თანამშრომელთა დიდი რაოდენობაც გაფიცულია და დემონსტრაციებში მონაწილეობს. ქვეყნის საჯარო სექტორში დასაქმებულთა 23 პროცენტი ასევე ფიქრობს, შეუერთდეს მანიფესტაციას.

*ბი-ბი-სი*

# ახალი ეკონომიკური დოკუმენტი

## "დემოკრატები" "რესპუბლიკელების" წინააღმდეგ

მარიკა იაშვილი

*825 მილიარდი აშშ დოლარი ამერიკის ეკონომიკაში. კონგრესმა ბარაკ ობამას ეკონომიკური გეგმა დაამტკიცა. ინიციატივის მიღებას კონგრესის წარმომადგენელთა პალატის 244 წევრმა დაუჭირა მხარი. მათი სრული უმრავლესობა "დემოკრატია".*



AFP ' 2009

გეგმა მიღებულია, თუმცა იგი პარტიათა მორიგი დაპირისპირების მიზეზად მაინც იქცა. ბარაკ ობამას ჯენტლმენური ინიციატივა - დაივიწყონ პარტიული ინტერესები და ერთად იბრძოლონ ამერიკის ეკონომიკის გადასარჩენად - უპასუხოდ დარჩა. უფრო მეტიც, ეკონომიკის სტიმულირების მისეული გეგმა "რესპუბლიკელებმა" მკაცრად გააკრიტიკეს.

ობამას გეგმის მიხედვით, 825 მილიარდი აშშ დოლარი, რომელიც აშშ-ს ბიუჯეტიდან გამოიყოფა, შემდეგნაირად უნდა გადანაწილდეს: 275 მილიარდი აშშ დოლარი მოსახლეობისა და ბიზნესმენებისთვის გადასახადების შემცირებასა და უმუშევართათვის დახმარების გაზრდას მოხმარდება; დარჩენილი 540 მილიარდიდან 40 - ამერიკის თითქმის განადგურებული ინფრასტრუქტურის განვითარებაში ჩაიდება; 41 მილიარდი - განათლების სფეროს, ხოლო კიდევ ათობით მილიარდი ჯანდაცვასა და ენერგეტიკაზე უნდა გადანაწილდეს; თანხის გარკვეული ნაწილი კი გზებისა და ხიდების მშენებლობასა და 10.000 სკოლის რეაბილიტაციაზე დაიხარჯება; ჩაიდება ინვესტიციები ტექნოლოგიურ სფეროშიც. ყველაზე დიდი გაოცება კი სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენციისათვის 300 მილიონისა და ხელოვნებისთვის 50 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფამ გამოიწვია.

ბარაკ ობამა იმედოვნებს, რომ მისი გეგმა დამატებით 4 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას შეუწყობს ხელს, თანაც უმთავრესად კერძო სექტორში. გარდა ამისა, მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნაა. ამერიკის პრეზიდენტმა ბიზნესმენებს მოუწოდა, შეიტანონ წვლილი ეკონომიკური ვითარების გამოსწორებაში და თავის ბიზნესში მაქსიმალურად ბევრი ადამიანი დაასაქმონ.

ობამას ოპტიმიზმს უმუშევრობის პრობლემის მოგვარების საკითხში "რესპუბლიკელები" სკეპტიკურად უყურებენ. კონგრესში წარმოდგენილმა ყველა "რესპუბლიკელმა" დოკუმენტის საწინააღმდეგოდ მისცა ხმა. თუმცა იმის გამო, რომ ორგანოში უმრავლესობას პრეზიდენტის თანაპარტიელები შეადგენენ, მათი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ობამას ინიციატივას "რესპუბლიკელებმა" მეტისმეტად ძვირი და არაეფექტიანი უწოდეს. ოპოზიციის მტკიცებით, ერთადერთი შედეგი, რასაც პრეზიდენტი ამ გეგმის განხორციელებით მიაღწევს, სახელისუფლებო სახსრების ფლანგვა იქნება, რაც ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარებას სულაც არ ნიშნავს.

პოლიტიკურმა ოპონენტებმა ბარაკ ობამას საკუთარი გეგმაც წარუდგინეს. "რესპუბლიკელთა" მიერ შემუშავებულ დოკუმენტში აქცენტი გადასახადების შემცირებაზე კეთდება, რაც, მათი აზრით, სამუშაო ადგილების შექმნას თავისთავად გამოიწვევს. თუმცა რთული მისახვედრი არ არის, რომ მათი გეგმა ჩავარდა.

ეკონომიკის მასტიმულირებელი გეგმის დამტკიცების მეორე ეტაპია მისი წარდგენა კონგრესის ზედა პალატაში. თუმცა სენატშიც, ისევე როგორც წარმომადგენელთა პალატაში, უმრავლესობას "დემოკრატები" შეადგენენ, ამიტომ ერთადერთი, რისი მიღწევაც "რესპუბლიკელებს" შეუძლიათ, განხილვის პროცესის გაჭიანურებაა. "დემოკრატები" კი დარწმუნებულნი არიან, რომ დოკუმენტი ობამას სამუშაო მაგიდაზე ხელმოსაწერად უკვე თებერვლის შუა რიცხვებში დაიდება.

გარდა იმისა, რომ ობამა სამშვიდობო ინიციატივებით გამოდის და ვაშინგტონში მუდმივად არსებული პარტიათაშორისი დაპირისპირების დასრულებას ცდილობს, იგი ეკონომიკური კრიზისის მიზეზებზეც საუბრობს, მეტიც - დამნაშავეებსაც ასახელებს. ახლად არჩეული პრეზიდენტის განცხადებით, ამერიკის ეკონომიკაში დღეს არსებული პრობლემები გარკვეულწილად "უოლ სტრიტის" ბიზნესმენებისა და თეთრი სახლის ძველი ადმინისტრაციის დამსახურებაა. ობამას განცხადებით, მის მიერ შემუშავებული ეკონომიკური გეგმა მხოლოდ და მხოლოდ მათ მიერ დაშვებული შეცდომებისა და ქვეყანაში ეკონომიკური ვითარების გამოსწორებას ემსახურება და ამ მიმართულებით მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.

ობამა, ეკონომიკური საკითხების გარდა, სამხედრო სფეროზე მუშაობასაც შეუდგა. მან პენტაგონში პირველი შეხვედრა გამართა. სამხედრო შტაბების მეთაურებთან საუბრისას პრეზიდენტმა კიდევ ერთელ დაადასტურა საარჩენო კამპანიის დროს დადებული პირობა ერთი წლის განმავლობაში ამერიკელების მიერ ერაყის დატოვების შესახებ. ამასთან, შეერთებული შტატების "დემოკრატი" პრეზიდენტი სამხედრო კონტინგენტის გაზრდას აპირებს ავღანეთში. მან სამხედროების მიმართ პატივისცემა და მადლიერება გამოხატა იმის გამო, რომ ისინი, დიდი ზეწოლის მიუხედავად, საკუთარ მისიას შესანიშნავად ასრულებდნენ.

მიუხედავად ამისა, ამერიკელების მთავარი კითხვა დღეს მაინც ეკონომიკასა და ფინანსურ კრიზისს ეხება – იმუშავებს თუ არა ობამას დოკუმენტი და რამდენად ეფექტიანი აღმოჩნდება იგი? პრეზიდენტს ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი აქვს: **"წარმატების მთავარი პირობა პარტიული ინტერესების დავიწყება, დაპირისპირებაზე უარის თქმა და პრობლემების მოგვარებაზე ერთობლივი მუშაობაა."**

# მყიფე მშვიდობა

## მოლაპარაკებები ახლო აღმოსავლეთში

ხათუნა ბაბიევი

შეერთებული შტატების ელჩი ახლო აღმოსავლეთში ჯორჯ მიტჩელი უკვე რამდენიმე დღეა, არასტაბილურ რეგიონში იმყოფება და ადგილობრივ ლიდერებს ხვდება. "ბი-ბი-სი"-ს თანახმად, ოფიციალური ვაშინგტონის წარმომადგენელი აპირებს, შეხვდეს პალესტინის ნაციონალური ავტონომიის ლიდერ მაჰმუდ აბასს, მაგრამ არა "ჰამასის" ლიდერებს.

ჯორჯ მიტჩელის თქმით, უკიდურესად მნიშვნელოვანია, შესრულდეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაცხადებული გადაწყვეტილება. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ ისრაელისა და პალესტინის მხრიდან გამოთქმული სამშვიდობო მზაობის შემდეგ განახლებულ იერიშებს.

საზღვარზე დისლოცირებულ ისრაელის პატრულზე "ჰამასის" ბოევიკების მიერ ორი დღის წინ განხორციელებულ თავდასხმას ოფიციალური თელ-ავივიდან საავიაციო და სახმელეთო შეტევა მოჰყვა. თუმცა, ამით ყველაფერი არ დასრულებულა. პალესტინელმა ბოევიკებმა ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით შემდეგშიც ისროლეს ორი რაკეტა, რის საპასუხოდაც ოფიციალურმა თელ-ავივმა ღაზა-ეგვიპტის საზღვართან, ქალაქ რაფიაჰთან ახლოს იარაღის ქარხანას მიაყენა საჰაერო დარტყმა. ექიმების თქმით, ავიადარტყმის შედეგად დაიჭრა ორი სამხედრო პირი და შემთხვევით იქვე მყოფი 10 ახალგაზრდა. დაბომბვის შესახებ ინფორმაციას ისრაელის თავდაცვის სამინისტროც ადასტურებს.

**"უნდა იცოდეს "ჰამასმა", რომ სარაკეტო დარტყმებზე პასუხისმგებლობა მას ეკისრება და კარგად გაიგოს ისიც, რომ ისრაელის ტერიტორიის მისამართით რაკეტების სროლა მის ინტერესებში, უბრალოდ, არ უნდა შედიოდეს,"** - განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ეჰუდ ოლმერტის პრესსპიკერმა მარკ რეგევმა.

მყიფე მშვიდობას კიდევ უფრო ასუსტებს პალესტინელების დამოკიდებულება, რადგან ხანგრძლივი მოლაპარაკებების დარღვევის შემდეგ მოთმინება აღარ ჰყოფნით, რომ კიდევ ერთხელ მიუსხდნენ მოლაპარაკებების მაგიდას. იერუსალიმში მყოფი "ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტ ბეთანი ბელის თქმით, ანკლავში მოქმედ ბოევიკებს მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე დანგრეული ებრაული დასახლებებისა და ღაზას სექტორიდან ისრაელის ჯარის გასვლის ხილვა სურთ.

დაპირისპირება თავად პალესტინურ ძალებს "ჰამასსა" და "ფათჰს" შორის დღემდე მოუგვარებელია და ვინაიდან ისრაელში დაგეგმილი არჩევნების თარიღიც ახლოვდება, რეგიონში ცოტას თუ სჯერა, რომ ცვლილებების ლოდინი საფუძვლიანი აღმოჩნდება. ახლო აღმოსავლეთში შეერთებული შტატების საგანგებო ელჩის თქმით, მისი ვიზიტი ცხელ წერტილში პრეზიდენტის ინაუგურაციიდან ერთ კვირაში მიუთითებს იმაზე, რომ ოფიციალური ვაშინგტონი რეგიონში მშვიდობის დამყარებით დაინტერესებულია.

**"აუცილებელია ისრაელის მხრიდან ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა ანკლავისთვის, სადაც 1.5 მლნ ადამიანი სურსათ-სანოვაგის დახმარების მოლოდინშია,"** - განაცხადა იერუსალიმში ყოფნისას ჯორჯ მიტჩელმა.

ჯორჯ მიტჩელი ისრაელში ჩასვლამდე ჯერ კაიროში იმყოფებოდა, სადაც პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს შეხვდა. ეგვიპტე ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში მოლაპარაკებების შუამავალია. ეგვიპტის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ჯორჯ მიტჩელს დეტალებზე არ უსაუბრია; უბრალოდ, მკაფიოდ აღნიშნა რეგიონში გრძელვადიანი პერსპექტივით ცეცხლის შეწყვეტის მნიშვნელობა, რაც ვაშინგტონისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს. გარდა ამისა, მან ისაუბრა ისრაელის შეშფოთების უმთავრეს მიზეზზეც - ღაზას სექტორში იარაღის კონტრაბანდის შეწყვეტის აუცილებლობაზე და "ჰამასის" მოთხოვნაზე - გაიხსნას ანკლავის საზღვარი სავაჭრო ურთიერთობებისა და ჰუმანიტარული დახმარების აღსადგენად.

ისრაელში ჯორჯ მიტჩელი პრემიერ-მინისტრ ეჰუდ ოლმერტს შეხვდა. **"ჩვენ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ კონსოლიდაციისა და საზღვრების გახსნის აუცილებლობაზე ვისაუბრეთ,"** - განაცხადა შეერთებული შტატების საგანგებო წარმომადგენელმა.

საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" თანახმად, ეჰუდ ოლმერტმა მიტჩელს განუცხადა, რომ ისრაელი არ გახსნის ღაზას სექტორის საზღვარს, ჰუმანიტარული ტვირთის შეტანის გამონაკლისის გარდა, მანამდე, ვიდრე პალესტინური მხარე 2006 წელს დატყვევებულ ისრაელელ სამხედრო პირებს არ გაათავისუფლებს.

კიდევ უფრო რთული დღეების მოლოდინშია ისრაელის ოპოზიციის ლიდერი ბენიამინ ნეთანიაჰუ, რომელიც არჩევნებისთვის ემზადება.

**"ნათელია, რომ "ჰამასი" შეიარაღებაზე უარს არ ამბობს და რა გასაკვირია, რომ გვიტევს და გვცდის. მომავალ მთავრობას, საქმის ბოლომდე მიყვანის გარდა, სხვა არჩევანი არ რჩება,"** - განაცხადა ნეთანიაჰუმ ისრაელის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში.

ისრაელი ცდილობს, დასავლელი მოკავშირეების დახმარება კაიროზე ზეწოლის მოსახდენად გამოიყენოს, რათა კიდევ უფრო საიმედოდ ჩაიკეტოს ეგვიპტის საზღვარი ღაზას სექტორთან, საიდანაც გვირაბების მეშვეობით "ჰამასი" იარაღის კონტრაბანდას ეწევა.

ისრაელის მიერ პალესტინის რადიკალური დაჯგუფების თავდასხმების საპასუხოდ წამოწყებული სამხედრო ოპერაცია, სახელწოდებით - "ჩამოსხმული ტყვია", რამდენიმე დღეა, რაც დასრულდა. ოპერაცია სამი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა. პალესტინური მხარის განცხადებით, სამხედრო ოპერაციას საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ოპერაციების ჩათვლით - 1 300 პალესტინელი ემსხვერპლა, რომელთაგან 400 ბავშვია. "ბი-ბი-სი"-ს ცნობებით, ისრაელის მხრიდან სამხედრო ოპერაციისას 13 პირი დაიღუპა, ამათგან სამი - მშვიდობიანი მოქალაქე.

HP გირჩევთ Windows Vista® Business-ს.

AMD Business Class

# ჩვენ არ ვცდით თქვენს მოთმინებას. ჩვენ საკუთარ თავს ვცდით,



# 95000 საათის განმავლობაში.

HP Compaq 6735b, HP DuraFinish და HP 3D DriveGuard-სთან ერთად.

მან 95000 საათიანი მკაცრი შემოწმება გაიარა, შექმნილია იმისთვის რომ გაძლოს, მაგრამ ეს ყველაფერი როდია HP 3D DriveGuard აღიქვამს ნებისმიერ უეცარ მოქმედებას და ინახავს მნიშვნელოვან მონაცემებს, რომ არაფერი დაზიანდეს. მაგნიუმის შენადნობის შემცველი სტრუქტურა უზრუნველყოფს დიდ სიმტკიცესა და სტაბილურობას. HP DuraFinish გარედან დაფარულია გარსით, რომელიც არ იკაწრება. ყოველივე ეს სრულად უზრუნველყოფს თქვენი ბიზნესის დაცვას საუკეთესო მობილურობისთვის. HP Compaq 6735b აღჭურვილია AMD Turion™ X2 Ultra Dual-Care Mobile Processor ორმაგბირთვიანი პროცესორით.

- AMD Turion™ X2 Ultra Dual-Care Mobile Processor
- Genuine Windwa Vista® business
- ნაწილების გამძლეობისა და მუშაობის 1-წლიანი გარანტია

HP TOTAL CARE

დაიცავით თქვენი ბიზნესი გაზარდეთ გარანტია კიდევ 3 წლით.
HP Care Pack მომსახურების პაკეტის გამოყენებით

სერთიფიცირებულია

hp.com/ge

კომპიუტერი კვლავ პერსონალურია

© 2008 Hewlett-Packard Development Company, L.P. Microsoft and Windows are U.S. registered trademarks of Microsoft Corporation. Windows Vista is either a registered trademark or trademark of Microsoft Corporation in the United States and/or other countries. AMD, the AMD Arrow logo, AMD Turion and combinations thereof, are trademarks of Advanced Micro Devices, Inc. The information contained herein is subject to change without notice.

კომენტარები მთავარზე



## ჩვენ, ტელე-ცხოველები!

ლაშა ბუღაძე

ჩვენ ვცხოვრობთ ტელევიზორში! ჩვენ დავიღუპებით უტელევიზოროდ! თუკი ტელევიზორს უარვყოფთ, ჩვენ დეპრესია გვშთანთქავს!

ეს ერთ-ერთი ტელე-სახეს აღსარებაა! მეც ერთ-ერთი იმათგანი ვარ...

ჩვენ არ შეგვიძლია ტელევიზორში გამოუჩენლად არსებობა! ჩვენ სასიცოცხლო ენერგიას ვკარგავთ, თუკი ტელე-ეკრანზე არ გავიელვებთ... თუნდაც უხმოდ, რომელიმე გადაცემის "ქუდში", სხვა მრავალ ჩვენნაირთან ერთად...

თუკი თვეში ოთხჯერ მაინც (კარგი, ბატონო, არ არის აუცილებელი ყოველ დღე!) არ მოგვიწვევენ რაიმე გადაცემაში (თუნდაც ბიზნეს-კურიერში), ჩვენ სისხლისგან დავიცლებით, დავავადდებით, ფერს დავკარგავთ და თმა დაგვცვივდება...

ჩვენ, ტელე-სახეები, საშინლად ეჭვიანები ვართ! ვბრაზობთ და ვიბოღმებით, როცა ჟურნალისტები ჩვენ კი არა, სხვებს ართმევენ ჩვენსავე კუთვნილ ინტერვიუებს!

ჩვენ გვინდა, რომ მთელი დღე, დილიდან საღამომდე, ყოველ საათში ერთხელ, შაბათ-კვირას კი ყოველ ხუთ წუთში ერთხელ, ვიყოთ და ვჩანდეთ ტელევიზორში!

აგერ, პრეზიდენტის მიერ "ერთ კაცად" წოდებული მომღერალ-პოლიტიკოსი ("საუკეთესო ძმად" მიჩნეული ერის მიერ) ვირტუალურ საკანში ზის და არტისტულად ლანძღავს მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილს. თან რჩევებსაც აძლევს, თითს უქნევს და თვითმარქვიას უწოდებს... მაგრამ ეს კი არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ჩანს! რომ ტელევიზორშია! რომ ტელე-ცხოველია!

მთავარია, რომ ვჩანვართ; მნიშვნელოვანი ისაა, რომ ხალხი ტელევიზორთან ზის და ჩვენ, სპორტულ პიჟამაამოცმულებსა და თბილისურად, ღირსეულად შეუპარსავებს, გვიყურებს.

მაგრამ "ერთ კაცად" წოდებული მომღერალ-პოლიტიკოსი (ერის მიერ "საუკეთესო ძმად" მიჩნეული) სულაც არ არის ორიგინალური... მას ტოლს არ უდებს მისგანვე მრავალჯერ შერისხული მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი!

თუკი ერთი ვირტუალურ საკანში ზის, მეორე ვაგნერის "ნიბელუნგების ბეჭდისხელა" სატელევიზიო პრეს-კონფერენციებს აწყობს (ერთი საშინელი კაცის, პუტინის მსგავსად) და იმავე თემებზე საუბრობს, რა თემებზეც ხალხურ ტელ-საკანშია სჯა-ბაასი... თან, ბევრად უფრო არტისტულად! ბევრად უფრო ტელე-ცხოველურად!

ფაქტია, ისინი ერთმანეთის მაყურებლები არიან! ხომ მიმართა საკნოსანმა პრეზიდენტს? იმან, მეორემ, იმ წუთშივე გასცა პასუხი თავისი დიდრონი პრეს-კონფერენციიდან!

მნიშვნელობა არა აქვს, რას შევძახებთ და შემოვძახებთ ერთმანეთს, მთავარია, პირდაპირ ეთერში ვიყოთ!

სტუმრებს ერთიც იწვევს და მეორეც! მესაკნე ორსართულიან საწოლებზე ათავსებს თავისებს, მეპრესკონფერენციე ზურგს უკან იჯენს...

არა, არა... რაც გინდათ, ის თქვით, მაგრამ ერთმანეთს მაინც ძალიან ვგავართ ეს ტელე-ცხოველები!

თუმცა, სამწუხაროდ, პრობლემებიც გვაქვს:

დავძველდით, მეგობრებო! დავძველდით, როგორც ტელე-სახეები!

პათოსიც მოგვიძველდა და სტილიც!

ვეება პრეს-კონფერენციები უაზრო, უინტერესო და წყალ-წყალაა, რეალითი შოუები კი იდიოტური და სამარცხვინო!

რეებს მივედ-მოვედებით, ან ერთში, ამ მეორეში?!

ვგონებ, უკვე მეტისმეტად არა-ეფექტურად ვკეკლუცობთ! ძალიან მალე ჩამოვძველდით.

სტილი უნდა შევცვალოთ... ან ჩვენ თვითონ უნდა შევიცვალოთ. რაღაც სიახლეა საჭირო.

მარტო ტელევიზორის გამორთვა არ შველის ამ ამბავს!

წიგნები

# „ელფის" აღმოჩენილი იდუმალი სამყარო

### გამომცემლობა პატარა მკითხველს უამრავ ახალ წიგნს სთავაზობს

ია ვეკუა

"გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" – ეს ცნობილი გამოთქმა ცნობილ ამერიკელ მეცნიერ, მოგზაურასა და ჟურნალისტ რობერტ რიპლის ეკუთვნის. იგი წლების განმავლობაში მსოფლიოს გარშემო მოგზაურობდა და ჩვენი პლანეტის ყველაზე უცნაური და საინტერესო წერტილებიდან საგაზეთო სტატიებსა და სატელევიზიო სიუჟეტებს ამზადებდა. სწორედ რიპლის მიერ შეგროვებულ მასალას აერთიანებს გამომცემლობა "ელფის" ერთ-ერთი ბესტსელერი "აღმოაჩინე იდუმალი მსოფლიო", რომელიც იმდენად საინტერესო შინაარსისა და ფორმისაა, ძნელია მის შესახებ საგაზეთო სტატიაში ისაუბრო – ეს უნდა ნახო და მასთან ერთად იმოგზაურო.



გამოცემა რობერტ რიპლის მიერ მსოფლიოს 201 ქვეყანაში ნანახ და აღწერილ საოცარ მოვლენებს, ადამიანებს, ადგილების აღწერილობასა და სხვა ფაქტებს აერთიანებს. მას დართული აქვს თავად რიპლის მიერ გადაღებული ფოტო მასალა და ჩანახატები, დოკუმენტაცია, წერილები, თვალსაჩინოებები და აპლიკაციები. არ არსებობს ქვეყანა, სადაც რობერტ რიპლის ფეხი არ დაუდგამს: ინდოეთი, ბირმა, ჩინეთი, მექსიკა კარიბის კუნძულები და საქართველოც კი, სადაც ჟურნალისტმა 1934 წელს იმოგზაურა. იგი აღწერს საქართველოს სამხედრო გზას და შეხვედრას ხევსურებთან, რომლებმაც უცხოელი მოგზაური თოვლის ტყვეობიდან გაათავისუფლეს. წიგნში ბავშვისთვის გასაგები და ადვილად აღსაქმელი ტექსტებითაა მოთხრობილი იმ უცნაურობების შესახებ, რომლებსაც რიპლი თავისი მოგზაურობების დროს აწყდებოდა: ოთხთვალა ადამიანი, იოგა, რომელსაც 20 წლის განმავლობაში ხელები მაღლა ჰქონდა აწეული, ან ყველაზე გრძელი ულვაშის მქონე ინდოელი. აქვეა მოყვანილი საინტერესო ფაქტებიც – მაგალითად, რა მოცულობის წყალს იტევს საშუალო ზომის კაქტუსი, ან როგორ სჯიან აფრიკაში მოღალატე ცოლებს. არის შემთხვევები, როდესაც მისი მოგზაურობის შედეგად დაგროვილი მასალა იმ უნიკალურ მოვლენებსა თუ ადგილებს აღწერს, რომელთა შესახებ სხვა წყაროები არაფერს ამბობენ. ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ "აღმოაჩინე იდუმალი მსოფლიო" მართლაც უნიკალური გამოცემაა. წიგნი გვანცა ჯობავამ თარგმნა და გათვლილია როგორც სკოლის, ისე უფროსი ასაკის მკითხველისთვისაც.

აღნიშნული გამოცემა, "ელფის" ერთ-ერთი ბოლო საბავშვო ბესტსელერია და როგორც გამომცემლობის ხელმძღვანელი თინა დიდებულიძე ამბობს, წიგნის გამოსვლიდან ორ კვირაში 3 ათასიანი ტირაჟის ხელმეორედ დაბეჭდვა გახდა საჭირო. "ჩვენი გამოცემების ასეთი წარმატება გასაკვირი არაა. ყველა წიგნს ფსიქოლოგებთან და მეთოდისტებთან თანამშრომლობით ვუშვებთ, რადგან საქმე ყველაზე სათუთ მკითხველს – ბავშვებს ეხება. გათვალისწინებულია ისიც, რომ მცირეწლოვანმა ბავშმა წიგნთან მოქცევა შესაძლოა კარგად არ იცოდეს, ამიტომ წიგნებს აუცილებლად ეკოლოგიურად სუფთა მასალით გამოვცემთ", - ამბობს თინა დიდებულიძე.

გამომცემლობა "ელფის" მთავარი მიმართულება საბავშვო და საყმაწვილო მხატვრული თუ შემეცნებითი ლიტერატურაა. თინა დიდებულიძე მრავალი წელია ფრანკფურტის წიგნის ფესტივალთან თამნამშრომლობს, ორიოდე წლის წინ კი "ელფის" შესახებ გერმანულმა ჟურნალმა Borsenblatt-მაც დაწერა. ჟურნალი წიგნის სფეროს წამყვანი პერიოდული გამოცემაა და ინფორმაციას მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანი გამომცემლობის შესახებ ავრცელებს. "ელფს" მჭიდრო თანამშრომლობა აქვს უცხოეთში არსებულ ქართულ სათვისტომოებთან. გერმანიაში, ამერიკასა და შვეიცარიაში არსებული ქართული კულტურის ცენტრები სისტემატურად იძენენ "ელფის" წიგნებს უცხოეთში მცხოვრები ბავშვებისთვის. ბავშვებს კი მშობლიურ გარემოსთან კონტაქტი გამომცემლობის საიტის მეშვეობითაც შეუძლიათ - elf.ge-ზე ახალ წიგნებზე ინფორმაციის გარდა განთავსებულია სხვადასხვა სახის თამაშები.

"ელფი" ლიდერია საბავშვო ბაღებისთვის განკუთვნილი გამოცემების მხრივაც. სერია "ჩემი პირველი..." 20 წიგნისგან შედგება და აერთიანებს ყველაზე პატარებისთვის გამოცემულ სახელმძღვანელოს, ლექსებს, ზღაპრებს, სახარებას, ბიბლიას, ატლასს, ლექსიკონს, ენციკლოპედიას და ასე შემდეგ. "ჩემი პირველი სახელმძღვანელოს"ავტორია ფსიქოლოგი და მეთოდისტი თამარ ადამია ("მხიარული დედაენის" ავტორი). წიგნი ორნაწილიანია და ტესტებისა და სამუშაო რვეულისგან შედგება. "ჩემ პირველ ზღაპრებში" თავმოყრილია მხატვრულად დამუშავებული და თანამედროვე ენით მოთხრობილი ქართული და მსოფლიო ხალხთა ზღაპრები. ილუსტრაციების ავტორები კი სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულები სოფო ელიაშვილი და ლელა გარდავა არიან. "ჩვენ ახალგაზრდა მხატვრებს ვასაქმებთ და მათი შემოქმედების პოპულარიზაციასაც ვეწევით", - ამბობს თინა დიდებულიძე. უახლოეს მომავალში გამოვა "ჩემი პირველი ატლასი", რომელიც საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიის, ფლორისა და ფაუნის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების კრებულია. ატლასს მეტად ინფორმაციული რუკა ექნება დართული, რაც ბავშვის წარმოსახვას უფრო გაამდიდრებს.

სერია "ელფის პატარა მკითხველი" 20 წიგნს აერთიანებს. ცალკე ტომებადაა გამოცემული ლიტერატურულად დამუშავებული ტექსტები თამარ მეფეზე, წმინდა გიორგიზე, წმინდა ნინოზე, ჰერაკლეზე, გოლიათებზე და სხვა. უახლოეს მომავალში პატარა მკითხველი ამ სერიის კიდევ ორ წიგნს მიიღებს "დავით აღმაშენებელსა" და "ალისა საოცრებათა ქვეყანაში".

"ელფის" ერთ-ერთი ბესტსელერია "მსოფლიო ატლასი" დართული კომპაქტ დისკით, საიდანაც შეგიძლიათ 47 კონტურული რუკა ამობეჭდოთ და თვალსაჩინოებისთვის გამოიყენოთ. ატლასზე ოქსფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო გეოგრაფიული საზოგადოების წამყვანი ექსპერტები მუშაობდნენ. მასში აღნიშნულია მსოფლიოს ყველაზე პატარა ქალაქები (მათ შორის ცხადია საქართველოს პატარა ქალაქებიც) და ყველაზე უმნიშვნელო გეოგრაფიული ადგილებიც კი. გარდა ამისა ატლასი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ გათვალისწინებულია ყველა გეორგაფიული სახელწოდების ახლებური ანუ სწორი თარგმანი.

დიდი პოპულარობით სარგებლობს "კულინარიის ენციკლოპედია" – წიგნი ჯანსაღ კვებასა და სუფრასთან მოქცევის კულტურაზე. აქ წაიკითხავთ არა მხოლოდ საინტერესო რეცეპტებს, არამედ მიიღებთ ინფორმაციას ამა თუ იმ პროდუქტის სწორად შენახვის შესახებ, მაგიდის გაშლის ხელოვნებასა და კონკრეტული დღესასწაულისთვის შესაფერის მენიუზე. გამოცემას დართული აქვს კულინარიული ლექსიკონი და სხვადასხვა რჩევები. ილუსტრირებულ ენციკლოპედიაში ამოიკითხავთ უნიკალური კულინარის, მადონა ჭელიძის ექსკლუზიურ და ყველასთვის კარგად ცნობილ სხვადასხვაეროვნებათა სამზარეულოს რეცეპტებს. ამ მიმართულებით "ელფის" შემდეგი პროექტია ქართული სამზარეულოს კულინარიული ენციკლოპედია.

"ელფი" კვლავ აგრძელებს მკითხველისთვის უკვე კარგად ნაცნობ სერიას "რა არის რა". ამ სერიით უკვე გამოცემულია 18 ტომი: "დედამიწა", "სამურაი", "ჩაძირული ქალაქები", "უძველესი ადამიანი", "კოშკები და ცათამბჯენები", "ვიკინგები", "ევროპა" და სხვა. უკვე მზადდება ახალი ტომებიც, რომელთა საერთო რაოდენობა 50-ს შედგენს. აღსანიშნავია, რომ "რა არის რას" უკვე გამოცემული ტომები საქართველოს განათლების სამინისტრომ ქვეყნის ყველა სკოლისთვის შეიძინა და დამხმარე სახელმძღვანელოდ დაამტკიცა.

გამოსაცემად მზადდება კიდევ ორი მნიშვნელოვანი წიგნი: ილუსტრირებული ენციკლოპედია "საქართველოს დიდი ბრძოლები", რომლის ავტორია ისტორიის პროფესორი ჯაბა სამუშია. მასში საქარველოს მიერ გადატანილი 13 მნიშვნელოვან ბრძოლაზე იქნება საუბარი. ავტორი განიხილავს ბრძოლებისას გამოყენებულ ტაქტიკასა და სტრატეგიას, მოგვითხობს დიდი მხედართმთვარებისა და გმირების შესახებ. მეორე გამოცემაა "საქართველოს საოცრებანი". მისი ავტორი ისტორიკოსი ლამარა შენგელია (ავტორი "ელფის" ბესტსელერებისა "ძველი ქართველები" და "ჩემი საქართველო") მოგვითხრობს იმ ისტორიულ თუ მეცნიერულ საოცრებებზე, რომლებიც საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა და გარკვეული გავლენა ჰქონდა მსოფლიოზე. აქვე შეხვდებით ინფორმაციებს ქართველი მეცნიერების მიერ გაკეთებულ მსოფლიო დონის აღმოჩენებსა და კვლევებზე, ქართული ხელოვნების მნიშვნელობაზე, ღვინისა და ვაზის კულტურაზე და სხვა. ორივე წიგნის შეძენა მკითხველს მაისიდან შეეძლება.

"ელფს" გეგმები აქვს მხატვრული ლიტერატურის გამოცემის მხრივაც. უკვე გამოსაცემად მზადაა ერიხ მარია რემარკის "სამი მეგობარი", რომლის თარგმანის ავტორიც თავად თინა დიდებულიძეა: "ის ნაწარმოებები, რომლებიც საბჭოთა პერიოდშია თარგმნილი, ხელახლა გამოცემისთვის აუცილებლად თავიდან უნდა ითარგმნოს, რადგან საბჭოთა ცენზურის გამო ბევრი უზუსტობაა გაპარული. მაგალითად, ძველ თარგმანში წერია, რომ ემიგრანტ ორლოვის ოჯახს რუსები ამოწყვეტენ, ორიგინალში კი ვკითხულობთ, რომ რუსების ნაცვლად საბჭოელები წერია". ამ სერიით ოცამდე წიგნი გამოიცემა და ყველა მათგანს მხატვრული ხერხით მოთხრობილი ავტორის ბიოგრაფია ექნება დართული.

როგორც თინა დიდებულიძე ამბობს, "ელფმა" რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი არსებული ეკონომიკური კრიზისის გამო შეაჩერა, რომლის დასრულების შემდეგაც მკითხველი არა ერთ საინტერესო გამოცემას მიიღებს.

# მუზეუმი თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრების პროცესში

## რესტავრატორები, ისინი ვინც ეძებენ პირველადს, სინამდვილეს...

ბელა ჩეკურიშვილი





თანამედროვე მუზეუმის არსებობა წარმოუდგენელია უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საკონსერვაციო ცენტრის გარეშე - ამბობს ეროვნული მუზეუმის კოლექციების მართვისა და რესტავრაცია -კონსერვაციის დეპარტამენტის უფროსი ნინო კალანდაძე. მართალია ამგვარი ცენტრის გაკეთება საკმაოდ ძვირადღირებული საქმეა, მაგრამ მას ეროვნული მუზეუმის დირექცია უახლოეს მომავალში გვპირდება.

კონსერვაციის ცენტრი ხელოვნების მუზეუმის გვერდით კორპუსში განთავსდება, რომელიც 20 წლის წინ აშენებული შენობაა და თავიდანვე სარესტავრაციო ლაბარატორიისა და სამუზეუმო საცავისთვის შეიქმნა, აქვს თავისი ხელოვნური გამწოვი სისტემა, წყალგაყვანილობა. ამ ეტაპზე საჭიროა შენობის სრული დიაგნოზის ჩატარება, შემდეგ კი დაიწყება საფრანგეთის "მილუ-სტუდიო"-ში შედგენილი მასტერ-გეგმის ადაპტაცია და სხვა საპროექტო სამუშაოები.

ცენტრის ფუნქცია რესტავრაცია და სრული დიაგნოსტიკა იქნება, ასევე საგანმანათლებლო საქმიანობა, კონსულტაციები პრევენციული კონსერვაციის შესახებ და მოემსახურება საქართველოს მუზეუმებს.

**ნინო კანდელაკი:** "ეროვნულ მუზეუმს ლაბორატორიები აქამდეც ჰქონდა, რომლებიც ახლაც ფუნქციონირებს, მაგრამ აპარატურა მოძველებულია და აქ ჩატარებულ ანალიზს უცხოეთში აღარ იღებენ, სხვა სტანდარტებია უკვე საჭირო. ახალ კონსერვაციის ცენტრში შესაძლებელი იქნება გამოვიკვლიოთ ექსპონატის როგორც მორფოლოგიური მხარე, ასევე ტექნიკა-ტექნოლოგიური მაჩვენებლები, ორგანული და არაორგანული მასალის შედგენილობა".

მანამდე კი, ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის დაზგური ფერწერის სარესტავრაციო განყოფილების რესტავრატორი ნანა მანაგაძე, მე-19 საუკუნის, მუხის ხის მთლიან დაფაზე შესრულებული ღვთისმშობლის ხატის რესტავრაციას ნახევრად გაყინულ ლაბორატორიაში, ტრადიციული რუდუნებით ასრულებს.

ღთისმშობლის ხატი წლების განმავლობაში ქაშვეთის ტაძარში იყო დაბრძანებული. მეუფე კალისტრატე ცინცაძეს იგი მოხსენიებული აქვს როგორც "ზეთანიის ღვთისმშობლის ხატი". რამდენიმე თვის წინ ხატისთვის ვერცხლის პერანგის შეცვლა გადაწყვიტეს. გადმოღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ძალიან იყო დაზიანებული და რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

**ნანა მანაგაძე:** "უკანა მხრიდან უამრავი ლურსმანი ჰქონდა დარტყმული, რაც ჩემთვის გაუგებარი იყო. თუ ხატის ეს მხარე რაიმე ქსოვილით იყო დაფარული, მაშინ ლურსმნები მხოლოდ კიდეებზე უნდა ჰქონოდა.. პირველ რიგში ხატი ამ ლურსმნებისგან გავათავისუფლე. ქვედა კიდეზე ხატს აკლდა პატარა ფრაგმენტი, რაც ასევე ჩავსვი და დავამაგრე. უკან ჭიის კვალი იყო, შევწამლე და ვუმკურნალე. შემდეგ ეს მხარე დავფარე ცვილით, რადგან ის ისევ ნიშში უნდა დაიკიდოს, ხემ ნესტი რომ აიღოს.

შეუიარაღებელი თვალით, ვიზუალური დათვალიერებისას მივხვდი, რომ ხატი გადაწერილი იყო ზევიდან არაპროფესიონალის მიერ. რაც დაახლოებით 50-60 წლის წინ უნდა მომხდარიყო. ჩანს, დრო-ჟამმა, თუ შენახვის ცუდმა პირობებმა მას ბზარები გაუჩინა და საღებავის ჩამოცვენის საშიშროება გაჩნდა. გრუნტი ჩაისვა, მაგრამ წლების წინ ავტორისეული ფერწერის დაფარვაც მოხდა და ფერში არ შეესაბამებოდა. საშინლად იყო შეფერადებული ლოყები, როგორც ყრმის, ისე ღვთისმშობლის, თითქოს ხუმრობით ფერ-უმარილი წაუსვიათო, შუბლზე ოღროჩოღროდ იდო ახალი საღებავი. დავიწყე ამის გახსნა. ვიდრე გავხსნიდი, ეჭვი მეპარებოდა, ასეთი ნამუშევარი არასწორ ზედაპირზე რატომ უნდა დაეხატათ-მეთქი. ჩავატარე კვლევა რენტგენის საშუალებით, ასევე ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივებით და აღმოჩნდა, რომ მე-19 საუკუნის ფენის ქვეშ არის მე-17-18 საუკუნის ფერწერა, რომელიც აბსოლუტურად განსხვავდება ზედა ფენისგან."

რესტავრატორები ფიქრობდნენ, რომ მე-19 საუკუნის ფენის ასლი გაკეთება და პირველადი გამოსახულების გამომზეურება უნდა მომხდარიყო, რადგანაც პირველადი ფენა მეტად საინტერესო ყოფილა, მაგრამ რესტავრაციის დაწყებამდე გაიმართა საბჭო, რომელსაც საპატრიარქოს წარმომადგენელიც ესწრებოდნენ და გადაწყდა, რომ ხატი უნდა დავიდეს მე-19 საუკუნის ფენამდე, რადგანაც მე-18 საუკუნის ფერწერა კათოლიკურს ჰგავს. ეს ხატი რომ სამუზეუმო ექსპონატი ყოფილიყო, შესაძლოა, რესტავრატორებს პირველადი, საკმაოდ მაღალი დონის ფერწერა "ამოეწიათ" მაგრამ ხატი რესტავრაციის შემდეგ ტაძარში უნდა დაბინავდეს. შესაბამისად ამ ეტაპზე შედგება დოკუმენტაცია ქვედა ფენის არსებობის შესახებ. "...ხოლო, შემდეგ რას გადაწყვეტენ მომავალი თაობები, ეს უკვე მათი საქმე იქნება".

ხატის რესტავრაცია ერთი თვეა რაც მიმდინარეობს, მანამდე ერთი თვე კვლევას დასჭირდა. სავარაუდოდ, აღდგომისთვის ყველა სამუშაო დამთავრებული იქნება და ღვთისმშობლის განწმენდილ ხატს ქაშვეთის ეკლესიაში გადააბრძანებენ. რესტავრატორის თქმით, ეს საქართველოში დაწერილი ხატია, ყრმის და მარიამის ტიპაჟები ქართულია და მე-19 საუკუნის დასაწყისისთვისაა ნიშანდობლივი.

ნანა მანაგაძეს უამრავი ხატი აქვს რესტავრირებული, მათ შორის საბჭოთა პერიოდშიც. გადაწერილი ხატებიც ხშირად ხვდება პრაქტიკაში, მათ შორის არაპროფესიონალის მიერ გაკეთებული, ვინაიდან ფერწერული ნამუშევრის რესტავრირება საკმაოდ ძვირია და კერძო სამუშაოს ხშირად არაპროფესიონალებიც კიდებენ ხელს. როგორც წესი, ამგვარი დაზიანების გამოსწორება უფრო რთულია, ზოგჯერ დაზიანება საფუძვლამდეც ჩადის.

მუზეუმის ფერწერის რესტავრაციის განყოფილებაში ნანა მანაგაძე პარალელურად რუბენსის სკოლის ერთ-ერთ ფერწერულ ნამუშევარზე მუშაობს. საშიშროება იყო, სურათიდან საღებავის ერთი ფენა ჩამოცვენილიყო, გარდა ამისა, მას ჰქონდა ნაკაწრები და ჩაყვითლებული ლაქები. წლების წინ, ვიდრე რესტავრაცია დაიწყებოდა, მუზეუმში გათბობის მილი გასკდა და წყალი პირდაპირ ამ სურათს დაესხა. საშინელ დღეში ჩავარდა, 2 წელი გავაჩერეთ, რომ გრუნტი გამშრალიყო. სურათი რამდენჯერმეა რესტავრირებული, ძალიან ავადმყოფი სურათია და სპეციალურ რეჟიმში უნდა შენახვა. შემიძლია ვთქვა, რომ სურათი გადავარჩინე. გავაკეთე ფერის დამაგრება, გაწმენდა, ეხლა ვაკეთებ ტონირებას და ვიდრე მუზეუმი მოწესრიგდება, ფონდში იქნება დაცული.

როგორც რესტავრატორმა გვითხრა, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში მუზეუმის ფონდებში მიმდინარეობს ფონდების აღწერა, ნამუშვრების გასუფთავება და დაზიანებული სურათების კონსერვაცია. ასევე, ექსპოზიციის საგამოფენოდ მომზადება, რაც გულისხმობს მათ დეტალურ აღწერას, დამაგრებას თუ რესტავრაციას.

ვიდრე ხელოვნების მუზეუმი გარემონტდება, დროებითი საცავები გაკეთდა და მიმდინარეობს ფონდებში დაცული სურათების აღწერა, გაწმენდა, შეფუთვა და დაბინავება. გამოფენის წინ კი ყველა სურათს სპეციალური საექსპოზიციო მომზადება უკეთდება. შემდეგ დგება სურათის დაცულობის აქტი, ანუ, რა მდგომარეობაშია იგი გამოფენის გახსნისას.

ნანა მანაგაძის თქმით, მუზეუმში დაცული დაზგური ფერწერის ნიმუშებიდან ყველაზე მისახედი ფიროსმანის მხატვრობა იყო, რომელზე მუშაობაც არ დასრულებულა და დღესაც მიმდინარეობს. ბევრი სურათი მოწესრიგდა და უკვე იფინება. ნანა მანაგაძეს ამ განყოფილებაში ფიროსმანის 50-მდე სურათი აქვს "გაკეთებული". მანვე იმუშავა ფიროსმანის "ბაზრის ინსპექტორის" რესტავრაციაზე, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ გაიყიდა ჭიაურელების კოლექციიდან.

"როდესაც სოფიკო ჭიაურელმა მისი გაყიდვა გადაწყვიტა, ჩვენ დაგვიძახა. ეს სურათი ადრეც ყოფილა რესტავრირებული და იმდენად უხეშად, რომ რითიც ფიროსმანი აღტაცებას იწვევს - მონასმით, ფერით, კოლორიტით, ყველაფერი დაკარგული იყო. რაღაცნაირად იყო მითხაპნილ-მოთხაპნილი. უკანა მხრიდან ტილოზე დუბლირება ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ ძალიან ცუდად და დალაქავებულიც იყო. სურათს ფრაგმენტი აკლდა ზევით და ჩავსვი, რესტავრატორის მიერ დადებული საღებავის ძველი ფენისგან გავათავისუფლე და ისეთი საყვარელი სახეები გამოჩნდა, ქალბატონის თუ ინსპექტორის, სოფიკოს ეს რომ ენახა, ალბათ ვერ შეელეოდა.

რესტავრაციისას ვინც ნახულობდა, აღტაცებას ვერ მალავდნენ, ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარიამ მთხოვა, სტუდენტებსაც ვაჩვენებო, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელი იყო".

ნანა მანაგაძემ კერძო კოლექციაში დაცული ფიროსმანის კიდევ ერთი ნამუშევარი აღადგინა. ესაა მხატვრის ცნობილი ნატურმორტის ანალოგი. სურათი იმდენად იყო დაზიანებული, რომ მუშამბის ნაფლეთები მოზაიკასავით ეყარა. ნამუშევრის გადარჩენა ეჭვის ქვეშ იდგა. როგორც რესტავრატორი იხსენებს, ამ საქმეს იმხელა შრომა დასჭირდა, დღე და ღამ ესიზმრებოდა. მაშინ კუპონების დრო იყო და ამ შრომაში რესტავრატორს ათასი კუპონი გადაუხადეს. "ანაზღაურებაზე არც მიფიქრია, ვიცოდი, რომ ფიროსმანი იყო და უნდა გადამერჩინა. დეტალები რომ ავაწყე და შედეგ დუბლიაჟი გაკეთდა, ფრაგმენტის აღდგენა არ მომხდარა, საერთო ტონში ჩავსვი, არაჩვეულებრივი გამოვიდა. ეს სურათი მეტი აღარ მინახავს, არც ვიცი, საქართველოშია თუ გაიტანეს".

რესტავრატორის შრომა შეუმჩნეველია და მისი პროფესია დაუფასებელი. საზოგადოება არასდროს კითხულობს, ვინ აღადგინა ესა თუ ის სურათი, ანდა რა მდგომარეობაში იყო იგი გამოფენამდე. საგამოფენო დარბაზში უკვე წარმოდგენილი ექსპოზიციით ვტკბებით.

## კინოს სახლში დღეს ანიმაციური ფილმის პრემიერაა

დღეს, 30 იანვარს 17.00 საათზე კინოს სახლში გაიმართება დავით სიხარულიძის ანიმაციური ფილმის "გავარდნილების" პრემიერა.

ფილმი ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. მას საფუძვლად უდევს აკა მორჩილაძის მოთხრობა "ცეცხლისმფრქვეველი".

ფილმის სცენარის ავტორი და რეჟისორია დავით სიხარულიძე, მხატვარი - მამუკა დიდებაშვილი, კომპოზიტორი - მიხეილ მდინარაძე. ფილმი წარმოებულია სტუდიებში "მარაო" და "თი-ბი-სი TV ", ქრონომეტრაჟი - 26 წუთი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## დოქტორ უილიამ ოზგუდ ფილდის გამოფენა - "საქართველო 1929-1933 წლებში"

30 იანვარს, 17:00 საათზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში, ირაკლი იაკობაშვილი და კომპანია "X-ფორმი" აწყობს ამერიკელი გლაციოლოგის, დოქტორ უილიამ ოზგუდ ფილდის გამოფენას "საქართველო 1929-1933 წლებში".

უილიამ ოზგუდ ფილდი დაიბადა ნიუ-იორკში, 1904 წლის 30 იანვარს. იგი ჩრდილოეთ ამერიკაში ცნობილია გლაციოლოგიის ფუძემდებლად. 1926 წლის ივნისში უილიამ ოზგუდ ფილდმა დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი გეოლოგიის ბაკალავრის ხარისხით. საზღვარგარეთ კვლევების წარმოებისას, იგი ხშირად ფირზე იღებდა და ფოტოსურათებზე ასახავდა იმ ქვეყნების ლანდშაფტსა და ხალხს, რომელთაც სტუმრობდა.

1929, 1931 და 1933 წლებში მან, როგორც, მყინვარების მკვლევარმა, რამოდენიმეჯერ იმოგზაურა საქართველოში, სვანეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე მყინვარწვერების შესასწავლად. თავისი მოგზაურობის დროს ფილდმა ფოტოსურათებზე აღბეჭდა სვანეთი და საქართველოს სხვადასხვა კუთხე.

უილიამ ოზგუდ ფილდი გარდაიცვალა 1994 წლის 16 ივნისს, 90 წლის ასაკში, საკუთარ სახლში მასაჩუსეტსის შტატში.

1988 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დოქტორმა ირაკლი იაკობაშვილმა გაიცნო უილიამ ოზგუდ ფილდი, ჰქონდა მასთან პირადი მიმოწერა. 2006 წელს ამერიკის საელჩოსთან თანამშრომლობით ირაკლი იაკობაშვილმა შესძლო საქართველოში პირველად ჩამოეტანა უილიამ ოზგუდ ფილდის მიერ საქართველოში გადაღებული ფოტოსურათები.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება უილიამ ოზგუდ ფილდის მიერ საქართველოში გადაღებული 90 დოკუმენტური ფოტოსურათი, რომელთა ორიგინალებიც ინახება ვისკონსინ-მილუოკის უნივერსიტეტის ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების ბიბლიოთეკის არქივში.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## გორის თეატრში აბიტურიენტთა განაცხადების მიღება დაიწყო

გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლის მსურველ აბიტურიენტთა განაცხადების მიღება დაიწყო. გასაუბრება პრეტენდენტებთან თებერვლის შუა რიცხვებში ჩატარდება. საგანგებოდ გასაუბრებისთვის მოწვეული თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები შეარჩევენ 15 საუკეთესოს, რომლებსაც საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებითა და თეატრალური უნივერსიტეტის ხელშეწყობით შესაძლებლობა მიეცემათ უფასოდ მიიღონ თეატრალური განათლება. 15-დან 13 ისწავლის სამსახიობო ფაკულტეტზე, 2 – სარეჟისოროზე.

"პროექტი უპრეცენდენტო შემთხვევაა, ეს არ მომხდარა საქართველოს არც ერთ რეგიონში. ეს უნიკალური შანსია მათთვის, ვინც ოცნებობს მსახიობობაზე, რეჟისორობაზე და მაღალი გადასახადისა თუ კონკურენციის გამო ვერ ახერხებს თეატრალურში მოხვედრას. თეატრალური უნივერსიტეტი და საქართველოს კულტურის სამინისტრო გამონაკლისს უშვებს მხოლოდ აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული რეგიონების – გორისა და ლიახვის ხეობის აბიტურიენტებისთვის", –განაცხადა გორის თეატრის მმართველმა გიორგი მაჭარაშვილმა.

გარდა საქველმოქმედო მიზნებისა, მომავალი თეატრალების სწავლის დაფინანსებას გორის თეატრის ხანდაზმული დასის გადახალისების დანიშნულებაც აქვს. ამჟამად დასი 33 მსახიობისგან შედგება და ახალგაზრდა მსახიობების დეფიციტს განიცდის. რამოდენიმე მოქმედი მსახიობი, რომელიც დამსახურებული არტისტის წოდებას ატარებს, 80 წელსააა მიღწეული. გასაუბრების შედეგად შერჩეული მიზნობრივ ჯგუფის წევრები სწავლის დასრულების შემდეგ უზრუნველყოფილნი იქნებიან სამუშაო ადგილებით გორის თეატრში. ამასთანავე, სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათ სხვა თეატრში მუშაობის უფლება არ ექნებათ, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ადგილობრივი შემოქმედებითი პოტენციალის დამაგრებას და რეგიონული თეატრის განვითარებას.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ცვლილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2009 წლის 17 იანვარს გამოქვეყნებულ განცხადებაში

**ცვლილება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ. N16 ტელ.: 261-337) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე.

**დაფინანსების წყარო** - სახელმწიფო ბიუჯეტი

**შესყიდვის ობიექტი:**

**ლოტი N1** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სგპ „მტკვარი“-ს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

**ლოტი N2**- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სმც „ლაგოდეხი“-ს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

**ლოტი N3** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თელავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) დედოფლისწყაროს საგადასახადო მომსახურების ცენტრის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

**ლოტი N4** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სგპ „სადახლო“-ს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

**ლოტი N5** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სგპ „წითელი ხიდი“-ს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

**ლოტი N6** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის სახურავის მოწყობის სამუშაოები.

1. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. სამუშაოების დასრულება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს:

**ლოტი N1 და ლოტი N6** - 25 კალენდარულ დღეში;

**ლოტი N2 N3, N4 და N5** - 70 კალენდარულ დღეში.

3. ტენდერში გამოყენებულ იქნება პრეტენდენტთა მიერ სატენდერო წინადადებების წარდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი და სატენდერო წინადადებების შეფასების განსხვავებული მეთოდი.

4. პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინოს ორ დახურულ კონვერტში, არაუგვიანეს 2009 წლის 20 თებერვლის 09:00 სთ-დან 15:00 საათამდე მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

5. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ კონვერტებზე თანმიმდევრულად უნდა იყოს აღნიშნული მათში არსებული შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი.

6. პირველი კონვერტით, რომელშიც თავსდება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები და ტექნიკური წინადადებები, წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია (მე-6 პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ ექვემდებარება შეფასებას):

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) განხორციელებულ სამუშაოებზე, დამკვეთის მიერ შედგენილი 2-დან 5-მდე სარეკომენდაციო წერილი;

ვ) 2007 ან 2008 წელს საგადასახადო ორგანოში წარდგენილი მოგების დეკლარაციის ასლი, რომლის თანახმადაც ერთობლივი შემოსავალი ერთ-ერთი წლის დეკლარაციის მიხედვით, არ უნდა იყოს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარზე ნაკლები;

ზ) ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების თაობაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი დამკვეთების რეკვიზიტების მითითებით), რომელთა ჯამური ღირებულება არ უნდა იყოს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარზე ნაკლები;

თ) განსახორციელებელი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების საგარანტიო ვადები და პირობები.

7. მეორე კონვერტში თავსდება მხოლოდ ის დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ ექვემდებარება შეფასებას (შეფასებას არ ექვემდებარება მხოლოდ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია). მე-2 კონვერტით წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) პრეტენდენტის მიერ შევსებული სატენდერო წინადადების ფორმა (პრეტენდენტმა უნდა შეავსოს შემსყიდველის მიერ გაცემულ სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული სატენდერო წინადადების ფორმა);

ბ) ცალკე წარმოდგენილი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, კალენდარული დღეების რაოდენობის მიხედვით ყოველ ლოტზე;

გ) ცალკე წარმოდგენილი სატენდერო წინადადების სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება თითოეულ ლოტზე წარმოდგენილი ლარებში;

დ) მოთხოვნილი ავანსის ოდენობა (პრეტენდენტის მიერ ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, ავანსის ოდენობა, რომელიც გამოსახული უნდა იყოს პროცენტებში, არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სახელშეკრულებო ღირებულების 25%-ს. თუ პრეტენდენტის მიერ არ იქნება მოთხოვნილი საავანსო ანგარიშსწორება, ის ცალსახად გამოსახავს თავის მოთხოვნას 0-ით);

ე) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).

8. შერჩევის დროს თავდაპირველად მოხდება პირველი კონვერტით წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის განხილვა. თუ პირველი კონვერტით წარმოდგენილი დოკუმენტები და ინფორმაცია აკმაყოფილებს განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნებს, შემდეგ მოხდება მე-2 კონვერტის გახსნა და შეფასება, წინააღმდეგ შემთხვევაში მე-2 კონვერტი საერთოდ არ გაიხსნება, დაუბრუნდება პრეტენდენტს და შესაბამისად, მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

9. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან მეტი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-6 და მე-7 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი? მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

11. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაექვემდებარება შეფასებას, თუ: ა) პირველი კონვერტით წარმოდგენილი დოკუმენტები და ინფორმაცია არ აკმაყოფილებს სატენდერო განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნებს; ბ) თუ მე-2 კონვერტით წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და ინფორმაცია არ აკმაყოფილებს განცხადების მე-7 პუნქტის მოთხოვნებს; გ) შესყიდვებში მონაწილე მსურველი პირი მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასა და ინფორმაციას; დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბ-კონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბ-კონტრაქტორისათვის.

13. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-17 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 20 იანვრიდან 2009 წლის 19 თებერვლის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ N16, მე-8 სართული ოთახი N8-9, სატენდერო კომისიის აპარატი.

14. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

15. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 20 თებერვალს 15:00 საათზე.

16. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

17. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში**

**ანგ. N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300773174**

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

18. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16, მე-8 სართული, ოთახი N8-9; ტელ. ფაქსი: (+99532) 261-337; 261-335. საკონტაქტო პირები: ალექსანდრე თევდორაძე, სოფიკო ბერიშვილი ელ-ფოსტა: **a.tevdoradze@mof.ge, s.berishvili.mof.ge** .“


## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თვალის დაავადებათა კვლევის და მკურნალობის მიმართულებით

**გთავაზობთ:**

- თვალის სრული გამოკვლევა
- თვალის ვირუსული, ბაქტერიული, რევმატიული თანამედროვე მეთოდით მკურნალობა (კერატიტი, ირიდოციკლიტი, უვეიტი, ქორიორეტინიტი)
- წყლულოვანი ბლეფარიტები, დემოდეკოზი, დაქრიოცისტიტი
- გლაუკომა - საწყის სტადიაში გამოვლენა, მკურნალობა, მეთვალყურეობა
- შაქრიანი დიაბეტით დაზიანებული თვალის მკურნალობა - მეთვალყურეობა
- ბავშვთა მხედველობის დაცვა (სათვალის დადგენა, სიელმის მკურნალობა, თვალის გაზარმაცება, მიოპია)
- გერიატრიულ (ასაკობრივ) დაავადებათა მეთვალყურეობა და მკურნალობა
- თვალის დისტროფიული დაავადებების თანამედროვე მეთოდებით მკურნალობა

**პაციენტების მიღებას აწარმოებს**
**ოფთალმოლოგიაში დიდი გამოცდილების მქონე**
**უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი ზურაბ მაისურაძე**

მის: თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის 20.
დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
ტელ.: 91 31 19; 91 32 42. მობ.: (899) 103282

# სპორტი

## მიზანი ერთა თასის მოგებაა

"ჩვენი მიზანი ერთა თასის მოგებაა. მთავარია მსოფლიო თასის საგზური მოვიპოვოთ და იქ ვისაც შევხვდებით მნიშვნელობა არ აქვს" - განაცხადა საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ავსტრალიელმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა რაგბის კავშირში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში ჩვენი ქვეყნის ნაკრები 7 თებერვალს ჩაებმება. "ბორჯღალოსნების" პირველი მეტოქე გერმანიის გუნდი იქნება, რომელიც წლევანდელი გათამაშების დებიუტანტია და ერთა თასზე ჩეხეთის ნაკრები შეცვალა. გერმანელებს "ბორჯღალოსნები" ერთხელ შეხვედრიან 1995 წელს თბილისში და მაშინ ჩვენებმა 14:3 მოიგეს. შეგახსენებთ რომ ტურნირი მეშვიდედ იმართება. წინა 6 გათამაშებაში ქართველებმა ორჯერ იმარჯვეს, რუმინეთმა სამჯერ, ხოლო ერთხელ ერთა თასს პორტუგალიის გუნდი დაეუფლა.

გერმანიის ნაკრებს ჰაიდელბერგში ვეთამაშებით. დღემდე ტურნირის ეგიდით გერმანელებმა ერთი შეხვედრა გამართეს ესპანეთში და დამარცხდნენ - 22:11. საქართველოს ნაკრები სრული საბრძოლო შემადგენლობით გაემგზავრება გერმანიაში. ეს ის შემადგენლობაა, რომელიც ერთი კვირის შემდეგ, 14 თებერვალს თბილისში პორტუგალიას უმასპინძლებს. აღსანიშნავია, რომ ტიმ ლეინის მწვრთნელობის პერიოდში პირველი შემთხვევაა, როცა გუნდი თავისი ძირითადი შემადგენლობით შეიკრიბა.

"შეკრებაზე დავაკვირდებით საფრანგეთში მოთამაშე მორაგბეებს, ვნახავთ მათ ფიზიკურ კონდიციებს და გუნდს ამის მიხედვით დავაკომპლექტებთ. ისინი კი ვინც, ამჟამად თბილისში იმყოფებიან (რატი ურუშაძე, დავით კაჭარავა, ლაშა მალაღურაძე) ფიტნესმწვრთნელის ჯონ ნამუს სპეციალური პროგრამის მიხედვით ხვეწენ თავიანთ ფიზიკურ კონდიციებს - განაცხადა ტიმ ლეინმა - გერმანიის ნაკრების შესახებ სამწუხაროდ მწირი ინფორმაცია გვაქვს. რაც შეეხება პორტუგალიას, ისინი ინგლისის A ნაკრებს ხვდებიან და ჩემი ინგლისელი მეგობრების დახმარებით ვიმედოვნებ ამ თამაშის ვიდეოჩანაწერი მოვიპოვო".



*რატი ურუშაძეს ჯონ ნამუს სპეციალური პროგრამის მიხედვით ავარჯიშებენ.*

აღსანიშნავია, რომ ნაკრებს დიდი ხნის შესვენების შემდეგ დაუბრუნდნენ აქვსენტი გიორგაძე, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი მაჩხანელი და გია ლაბაძე. გუნდში გამოძახებული არ არის მახო ურჯუკაშვილი, რომელიც კლუბმა დააკავა. რაც შეეხება ქუბრიაშვილს, ტიმ ლეინის თქმით, ნაკრებში მის პოზიციაზე სამი ძლიერი მორაგბე ირიცხება (დავით ზირაქაშვილი, გოდერძი შველიძე, დავით ხინჩაგაშვილი), ამიტომ ქუბრიაშვილი მეოთხე ნომრად განიხილება და საჭიროების შემთხვევაში მას გამოიძახებენ.

გუნდში არიან მოთამაშეები, რომლებსაც ამ ეტაპზე სათამაშო პრაქტიკა აკლიათ, მაგრამ მწვრთნელი იმედოვნებს, რომ სწორ გამოსავალს მოძებნის. "ჩვენ დავაკვირდებით მათ ფიზიკურ კონდიციებს. ეს მორაგბეები უაღრესად მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან გუნდისთვის, ამიტომ შესაძლებელია ისინი ვერ მოხვდნენ ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ისხდებიან. ჩვენ გვსურს წლევანდელი სეზონი სტაბილური შემადგენლობით ჩავატაროთ" - ამბობს ტიმ ლეინი.

კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ კონსულტანტის რანგში ნაკრებში იმუშავებს შერკინების ავსტრალიელი სპეციალისტი დემიენ კამინსი. მან 2 წლის წინათ დაასრულა სარაგბო კარიერა, თამაშობდა ინგლისსა და უელსში, შემდეგ სამწვრთნელო ლიცენზია აიღო და ამჟამად სიდნეის უმაღლესი ლიგის გუნდს ავარჯიშებს.

"ჩვენ ჯერ ფრანგი სპეციალისტის მოწვევა გვსურდა, მაგრამ მან გუნდს საკმარისი დრო არ დაუთმო და ამიტომ არჩევანი დემიენ კამინსზე შევაჩერეთ. ის დაგვეხმარება თვენახევრის განმავლობაში და რუსეთთან თამაშის წინ დაბრუნდება სამშობლოში. თუ გუნდის მწვრთნელი და რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევენ, კამინსთან თანამშრომლობას, შემდგომში ამ სპეციალისტთან შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდება" - განმარტა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ.

ტიმ ლეინმა ერთა თასის მატჩებისთვის შემდეგი მორაგბეები გამოიძახა:

**შერკინება:** 1. დავით ზირაქაშვილი, 2. გოდერძი შველიძე, 3. ირაკლი ნატრიაშვილი, 4. აქვსენტი გიორგაძე, 5. დავით ხინჩაგაშვილი, 6. სიმონ მაისურაძე, 7. ილია ზედგინიძე, 8. მამუკა გორგოძე, 9. დიმიტრი ბასილაია, 10. კახაბერ უჩავა, 11.ლევან დათუნაშვილი, 12. გიორგი ჩხაიძე, 13. გია ლაბაძე, 14. რატი ურუშაძე.

**უკანა ხაზი:** 1. ირაკლი აბუსერიძე, 2. ბიძინა სამხარაძე, 3. მერაბ კვირიკაშვილი, 4. ოთარ ბარკალაია, 5. ლაშა მალაღურაძე, 6. დავით კაჭარავა, 7. ირაკლი ჩხიკვაძე, 8. ირაკლი გიორგაძე, 9. ირაკლი მაჩხანელი, 10. თედო ზიბზიბაძე.

### კალენდარი:

**7 თებერვალი:**
გერმანია - საქართველო
**14 თებერვალი:**
საქართველო - პორტუგალია
**28 თებერვალი:**
ესპანეთი - საქართველო
**14 მარტი:**
საქართველო - რუმინეთი
**21 მარტი:**
რუსეთი - საქართველო

## ზაზას ერთი ზუსტი ტყორცნა დააკლდა

NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგ შეხვედრაში "ატლანტა ჰოუქსი" ნიუ იორკს სტუმრობდა და "მედისონ სკვერ გარნედნში" ადგილობრივ "ნიქსს" დაუპირისპირდა. ჯორჯიელებს არც ამჯერად სწყალობდათ ბედი და "ქორებმა" ზედიზედ მესამე მარხი განიცადეს. მასპინძლებმა მაიკ ვუდსონის შეგირდები ანგარიშით 112:104 დაამარცხეს და ატლანტელთა მწვრთნელის თქმით მარცხის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მისი გუნდის კალათბურთელები საშინლად ასრულებდნენ საჯარიმო ტყორცნებს. სტატისტიკას მოვიშველიებთ და გეტყვით, რომ საერთო ჯამში ჯორჯიელებმა 15 საჯარიმო ტყორცნა ააცილეს მიზანს, ანუ ფაქტობრივად 15 ქულა დაკარგეს და შედეგად თამაშიც წააგეს.

უნდა ითქვას, რომ ზაზას "წვლილი" ამ მარცხში საკმაოდ მცირეა. მართალია არც ქართველი ცენტრი გამოირჩევა საჯარიმოების შესრულებით, თუმცა ამჯერად ზაზას საჯარიმოს ხაზიდან ტყორცნის საშუალებაც კი არ ჰქონია. მთლიანობაში კი ფაჩულიას ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშია და "დაბლის" შესრულებამდე ერთი ზუსტი ტყორცნა დააკლად. ალ ჰარფორდის არყოფნაში ქართველმია ცენტრმა მატჩი ამჯერადაც ძირითად ხუთეულში დაიწყო და მოედანზე თითქმის 28 წუთი გაატარა. ამ დროის განმავლობაში ფვჩულიამ თავის გუნდს 8 ქულა შესძინა, 10-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი, ერთი შედეგიანი გადაცემა გააკეთა, ორჯერ კი მეტოქის შეტევა ჩაჭრა. აგრეთვე ზაზა ორი პერსონალური შენიშვნა მიიღო და ერთხელაც ბურთი დაკარგა. თამაშიდან შესრულებული 5 ტყორცნიდან ზაზამ ოთხი ზუსტად შესარულა.

ატლანტელთა შორის საუკეთესო მარვინ უილიამსი იყო, რომელმაც თამაში 28 ქულით და შვიდი მოხსნით დაასრულა, მასპინძელთა შორის კი თავი ნეით რობინსონმა გამოიჩინა, რომელიც თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 24 წუთში 24 ქულის, 4 მოხსნის და სამი შედეგიანი გადაცემის დაგროვება მოახერხა.

მიუხედავად ამ მარცხისა "ატლანტა" სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მეორე ადგილს ინარჩუნებს, მთლიანად აღმოსავლეთ კონფერენციაში კი მეოთხე ადგილზეა, მომდევნო მატჩს ჯორჯიელები უკვე საკუთარ მოედანზე "ნიუ ჯერსის" წინააღმდეგ გამართავენ.

## პარიზის სუპერთასისთვის მზადყოფნაა

*ძიუდოში თბილისის მსოფლიო თასის დასრულების შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი საკუთარი სამწყსოთი აშკარად კმაყოფილი ჩანდა. განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ძიუდოისტებზე ამახვილებდა ყურადღებას. თბილისურუ ტურნირის შემდეგ ხაბარელმა ნაკრები პარიზის სუპერთასისთვის (7-12 თებერვალი) შეკრიბა. კერძოდ, 6 თებერვალს, ნაკრები პირველ და მეორე შემადგენლობით გაემგზავრება საფრაგთის დედაქალაქში.*

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა პარიზის მსოფლიო სუპერთასზე წასაყვანი შემადგენლობა დაასახელა. სეზონის მეორე ტურნირზე ნაკრების თავკაცობამ 12-კაციანი შემადგენლობა გაახმოვანა. ეგაა, შესაძლოა, ფრანგულ ტატამზე ყველა ძიუდოისტს არ მიეცეს საკუთარი შესაძლებლობის წარმოჩინების საშუალება. საქმე ისაა, რომ ხაბარელი ტურნირზე არანაკლებ მნიშვნელობას, სუპერთასის შემდეგ დაგეგმილ ტრადიციულ ერთობლივ შეკრებას ანიჭებს.

"თბილისის მსოფლიოს თასის შემდეგ რამდენიმე ნაკრებმა თბილისში დარჩენა და ჩვენთან ერთობლივი ვარჯიში ისურვა. პარიზისთვის ისევ ინდივიდუალურ მოსამზადებელ რეჟიმს დავუბრუნდებით, – ვითარებაში გვარკვევს შოთა ხაბარელი. - უახლოესი ტურნირი 7-8 თებერვალს ჩასატარებელი პარიზის სუპერთასია. იქ 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ამირან პაპინაშვილს და ლევან ჩუბინიძეს ვაჭიდავებთ, ამ წონის ლიდერი ნესტორ ხერგიანი კი კვლავ 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზებს. ნესტორს ამ ეტაპზე ზედმეტი წონის კლებისგან ვათავისუფლებთ. ასევე დროებითია ზაზა კედელაშვილის წონის ცვლილებაც - თბილისის მსგავსად, პარიზშიც 73 კილოგრამში იასპარეზებს. ამავე წონაში გამოვა თენგიზ პაპოშვილიც. 81 კილოგრამში გიორგი ბაინდურაშვილი და ლევან წიკლაური მოირგებენ კიმონოს. 90-ში მხოლოდ ვარლამ ლიპარტელიანი დაიცავს ნაკრების ღირსებას. 100-ში ნოდარ მეტრეველი და ირაკლი ცირეკიძე შევიყვანეთ განაცხადში, მაგრამ შესაძლოა, ცირეკიძემ ტურნირში მონაწილეობა არ მიიღოს და მხოლოდ ერთობლივ ვარჯიშებში ჩაერთოს. აი, მძიმე წონაში კი თბილისის მსოფლიო თასის ფინალისტები - ადამ ოქრუაშვილი და ლაშა გუჯეჯიანი იასპარეზებენ".

### სალუქვაძე "რუბინში" კიდევ სამ წელს ითამაშებს

ყაზანის "რუბინმა" სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა საქართველოს ნაკრების მცველს ლაშა სალუქვაძეს. საგულისხმოა, რომ ეს ჩვენებურის მესამე კონტრაქტია ამ გუნდთან. უახლოეს ხანში "რუბინში" გამოჩნდება ანრი ზაგუში, აფხაზი ფეხბურთელი, რომელიც მანამდე ბელორუსიის "ბატეში" გამოდიოდა. ზაგუში მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაშობს. "რუბინმა" ის შეიძინა არგენტინელი ანსალდის დუბლიორის რანგში, რადგანაც არგენტინელს წინა სეზონისას ამ პოზიციაზე არ ყოლია კონკურენტი. "რუბინი" ამჟამად ესპანეთში გადის საწვრთნელ შეკრებას. ბოლო საკონტროლო მატჩი ყაზანელებმს ზაპოროჟიეს "მეტალურგთან" ითამაშეს და დათმეს შეხვედრა 0:1. სასტარტო შემადგენლობაში პირველი ტაიმი სრულად ითამაშა კვირკველიამ, სალუქვაძე თამაშში მეორე ტაიმის დასაწყისდანვე ჩაერთო. მომდევნო მატჩს "რუბინი" 30 იანვარს ითამაშებს ესპანურ "მარბელასთან".

### მჭედლიძე მინდორს დაუბრუნდა

საკმაოდ ხანგრძლივი უქმობის შემდეგ, რაც ტრავმით იყო გამოწვეული, იტალიური "პალერმოს" ქართველი ფორვარდი ლევან მჭედლიძე მინდორზე გამოჩნდა. სერია A-ს 20-ე ტურში სიცილიელებმა "რომასთან" გასვლითი მატჩი 1:2 დათმეს, მჭედლიძემ კი მე-60 წუთზე ნოჩერინო შეცვალა.

მასპინძელთაგან გოლები ტოტიმა და ბრიგიმ გაიტანეს, "პალერმოს" მხრიდან პრესტიჟის ბურთი კი კავანიმ შეაგდო.

მჭედლიძის კლუბი 32 ქულით მე-8 აედგილზე იმყოფება.

ტრავმირებული კახა კალაძის არყოფნაში "მილანმა" "ჯენოასთან" 1:1 ითამაშა, რის შემდეგაც 40 ქულით მე-3 საფეხურზე დარჩა.

გერმანიის თასის მერვედფინალში ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუემ" ვისბადენის "ვეენს" უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა.

"ვილდპარკშტადიონზე" გამართულ შეხვედრას 14 ათასამდე ქომაგი დაესწრო, ქართველ ფორვარდს კი მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

ინგლისის პრემიერლიგის 23-ე ტურში ზურაბ ხიზანიშვილის "ბლექბერნმა" "ბოლტონთან" მატჩი 2:2 დაასრულა.

საქართველოს ნაკრების მცველი მასპინძელთა განაცხადში არ ყოფილა.

ბლექბერნელები 21 ქულით მე-17 საფეხურზე იმყოფებიან.

## საქართველოს ფუტსალის ნაკრები მხოლოდ აზერბაიჯანელებს ჩამორჩა

აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში დასრულებულ ტრადიციული მინი-ტურნირზე ფუტსალში, საქართველოს ნაკრებმა მასპინძელთა გუნდის შემდეგ, მე-2 ადგილის დაკავება შეძლო.

ქართველებმა ტურნირის სტარტზე სწორედ აზერბაიჯანთან წააგეს, შემდეგ მოლდოვას სძლიეს, დასკვნით ტურში კი აუტსაიდერ – რუსეთის კლუბ “კასპიის” დაუზავდნენ (2:2) 4 ქულა მოაგროვეს.

აზერბაიჯანის ფუტსალის ნაკრებმა სამივე მატჩში იმარჯვა და თავი 9 ქულას მოუყარა, მოლდოვას 3 ქულა აღმოაჩნდა, ხოლო “კასპიის” – 1.

ტურნირის პრზიორები ვეტერანმა ქართველმა ფეხბურთელმა ალექსანდრე ჩივაძემ და ცნობილმა სპორტულმა კომენტატორმა ვლადიმირ მასლაჩენკომ დააჯილდოვეს.

## ზამთარაძე რახიმოვის სტილმა დააინტერესა

თბილისის "ლოკომოტივის" მწვრთნელი ზაზა ზამთარაძე თურქეთში იმყოფება მოსკოვის "ლოკომოტივთან" ერთად. დავით მუჯირის რეკომენდაციით ახალგაზრდა ქართველ სპეციალისტს აქვს საშუალება დააკვირდეს რუსი რკინიგზელების საწვრთნელი პროცესის მიმდინარეობას. "დათო მუჯირის მადლობელი ვარ, რომ მომეცა ასეთი შანსი - აცხადებს ზამთარაძე, - რაშიდ რახიმოვის მუშაობის სტილი საკმაოდ საინტერესოა. პროფესიონალური სრულყოფისას ვფიქრობ დამეხმარება მოსკოველებთან ერთად გატარებული დღეები. ფეხბურთი ტრავმების გამო ნაადრევად დავასრულე, ვფიქრობ ვერ გამოვავლინე ჩემი შესაძლებლობები. სამაგიეროდ მწვრთნელის რანგში მსურს ავინაზღაურო დანაკლისი. მაქვს მწვრთელის "ა" კატეგორიის ლიცენზია. ვფიქრობ სერიოზულად, რომ მოვიპოვო “პრო” კატეგორიის ლიცენზია, თუმცა, ამის გაკეთება მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთაა შესაძლებელი.

## თარხნიშვილი კარიერას ასრულებს

ტირასპოლის "შერიფის" კაპიტანმა 37 წლის ვაჟა თარხნიშვილმა, მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ, შესაძლოა, საფეხბურთო კარიერა დაასრულოს.

თარხნიშვილი "შერიფში" 1999 წლის 1 თებერვალს გადავიდა და გარდა იმისა, რომ ათი წლის განმავლობაში გუნდის კაპიტანია, იგი ტირასპოლელთა ყველაზე ტიტულოვანი მოთამაშეცაა. ამპლუით ცენტრალურმა მცველმა, გუნდთან ერთად მოლდოვის ჩემპიონატის ოქროს მედალი 8-ჯერ მოიგო, ხოლო ქვეყნის თასს 5-ჯერ დაეუფლა.

2002 წელს, იგი მოლდოვას საუკეთესო ფეხბურთელად და მცველად დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ ნომერ პირველი უკანახაზელის ტიტული, მან 2006 და 2007 წლებშიც მოიპოვა. თარხნიშვილის კაპიტნობით, "შერიფი" ორჯერ "თანამეგობრობის თასის" გამარჯვებული გახდა.

# წარმატებული ანტალიური სპარინგები

მიხეილ აბაიშვილი

იანვრის ბოლო წარმატებული გამოდგა თურქეთის საკურორტო ქალაქ ანტალიაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი ქართული გუნდებისთვის. ამხანაგურ საკონტროლო შეხვედრებში ოთხივე ქართულმა კლუბმა დადებითი შედეგით დაასრულა მატჩები. საკურორტო მიმოხილვას დავიწყებ საქართველოს თასის მოქმედი მფლობელით, საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონით", რომელმაც გუშინ უკრაინის ჩემპიონატში ლიდერთა ჯგუფში მყოფი კრივოი როგის "კრივბასის" დამარცხება მოახერხა. ზესტაფონელთა თავკაცმა ამ მატჩში გამოცდილი ფეხბურთელების გარდა, ახალგაზრდებსაც მისცა თავის გამოჩენის შანსი, "კრივ ბასი" კი უძლიერესი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი, რაც კიდევ უფრო ზრდის ამ გამარჯვების ფასს.

შეხვედრა უკრაინელების მცირე უპირატესობით დაიწყო და დებიუტშივე კრივბასელებმა სწრაფი გოლის გატანა მოახერხეს. მე-10 წუთზე ფლანგური ჩაწოდების შემდეგ რომან კარანკევიჩმა თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. სასტარტო მღელვარების შემდეგ უპირატესობას ქართველი ფეხბურთელები დაეუფლნენ, რასაც ოციოდ წუთში საპასუხო გოლი მოჰყვა: ზესტაფონელთა ახალწვეულმა, ლევან მელქაძემ დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან ძლიერად დაარტყა, უკრაინელთა კიპერმა, ანდრეი კოლიჩკომ ბურთი ხელში ვერ დაიმორჩილა და დამატებაზე ბესიკ ჩიმაკაძემ ანგარიში გაქვითა.

ტაიმის დასრულებამდე "ზესტაფონმა" კიდევ ორჯერ შეძლო გოლის გატანა: ჯერ გრიგალაშვილის 40-მეტრიანი პასით ჭელიძე მეკარესთან პირისპირ დარჩა, რომელმაც ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი კარის ბადეში. შემდეგ კი ზესტაფონელთა სათადარიგო შემადგენლობის ფეხბურთელებმაც გამოიჩინეს თავი: თორნიკე გორგიაშვილის და გიორგი კვესეიშვილის ორსვლიანი კომბინაცია უკრაინელთა კარის მესამედ აღებით დასრულდა.

შეხვედრის მეორე ნახევარში გია გეგუჩაძემ მეორე შემადგენლობის კიდევ 5 ფეხბურთელი ჩართო თამაშში, რამაც მეტოქეს ამოსუნთქვის და თამაშის გათანაბრების საშუალება მისცა. თუმცა, ეს ზესტაფონელთა კარში გატანილ მხოლოდ ერთ გოლში აისახა. საბოლოოდ იმერლებმა 3:2 მოიგეს.

ანტალიური შეკრების დასკვნით ორ თამაშს "ზესტაფონი" პირველ თებერვალს გამართავს. ამ დღეს გია გეგუჩაძე თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობას კიევის "არსენალს" დაუპირისპირებს, ხოლო "ზესტაფონი 2" ალმა ათის "მეგასპორტს" გაეჯიბრება.

ანალოგიური წარმატებით ვერ ითამაშა თბილისის "დინამომ", თუმცა მარცხი არც საქართველოს ჩემპიონს უგემია. გამართლების შემთხვევაში კი მოგებაც შეეძლო. გუშინწინდელ სპარინგში "დინამოს" მეტოქეობა გაუწია რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა, გასულ სეზონში მეოთხე ადგილზე გასულმა პერმის "ამკარმა".

მატჩი უშეღავათო ბრძოლაში წარიმართა და მაინცდამაინც უხვი საგოლე მომენტებით ვერ გამოირჩა. გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი პირველი ტაიმის მე-15 წუთზე "დინამოს" მიეცა: მერებაშვილი სოლორეიდის შედეგად რამდენიმე მეტოქეს გასცდა და მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ მისი დარტყმული პერმელთა გოლკიპერმა კუთხურზე მოიგერია. სტანდარტი დიღმელაშვილმა შეასრულა, რომლის ჩაწოდების და გურამ კაშიას თავური დარტყმის შემდეგ ბურთი სულ მცირე მანძილით ასცდა "ამკარის" კარს. მატჩში მონაწილეობა არ მიუღია "დინამოში" სინჯებზე მყოფ არგენტინელ მცველ ჩარასს, რომელმაც ვარჯიშზე კუნთი დაიჭიმა.

შეხვედრას დაესწრო საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ექტორ რაულ კუპერი, რომელიც ირლანდიასთან მოახლოებული საკვალიფიკაციო მატჩისთვის ნაკრების შემადგენლობის დადგენის სტადიაშია.

"მატჩით კმაყოფილი ვარ. ძალიან კარგი თამაში გამოვიდა. ბიჭებმა ორჯერადი ვარჯიშებით გამოწვეული გადაღლის ფონზე მოედნის ყველა მონაკვეთზე თავდაუზოგავად იბრძოლეს და რუსეთის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გასულ გუნდს არაფერი დაუთმეს. დაცვითმა ხაზმა პრაქტიკულად უშეცდომოდ ითამაშა. "დინამომ" მკაცრად დაიცვა სათამაშო დისციპლინა. მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ "დინამომ" გოლის გატანა ვერ შეძლო", - ასეთი კომენტარი გააკეთა ნამატჩევს "დინამოს" გერმანელმა მწვრთნელმა ცობელმა.

ასევე თურქეთში იმყოფება საფეხბურთო კლუბი "გაგრა", რომელმაც გუშინ ბოლო საკონტროლო თამაში გამართა. ამჯერად გაგრელთა მეტოქე იყო ყაზახური საკლუბო ფეხბურთის წარმომადგენელი, "კაისარი". მატჩი ქართული გუნდის უპირატესობით წარიმართა და მისივე გამარჯვებით, ანგარიშით 2:1 დასრულდა. ეს ორივე გოლი გაგრელთა უკრაინელი ლეგიონერის, ვლადიმერ კოზლენკოს ანგარიშზეა.

ქართული საკლუბო პრესტიჟი არც საქართველოს ჩემპიონატის ლიდერმა, "ვიტ ჯორჯიამ" დასცა. ვეტერინარებმა სპარინგმატჩი რუმინეთის უმაღლესი ლიგის წარმომადგენელ "სპორტულთან" ჩაატარეს და მინიმალური ანგარიშით, 1:0 დაამარცხეს მეტოქე. შეხვედრის ბედი "ვიტ ჯორჯიას" და საქართველოს ნაკრების მცველმა, ლექსო კვახაძემ გადაწყვიტა. მან კუთხურის გათამაშების შემდეგ თავური დარტყმით გაიტანა გოლი.

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს**

**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**
**შესყიდვის ობიექტი - საკონტროლო-სალარო აპარატები**

**1.** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს საერთაშორისო ტენდერს **3500 (სამი ათას ხუთასი)** ერთეული საკონტროლო-სალარო აპარატის შესყიდვაზე.

**2.** ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ რეზიდენტ და არარეზიდენტ, ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

**3.** საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან **80 (ოთხმოცი)** კალენდარული დღე.

**4.** ტენდერში გამოყენებული იქნება პრეტენდეტთა მიერ სატენდერო წინადადებების წარდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი.

**5.** პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ორ დახურულ კონვერტში არაუგვიანეს **2009 წლის 24 თებერვალს 09:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე**, **მე-19 პუნქტში** მითითებულ მისამართზე.

**6.** პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ კონვერტებზე თანმიმდევრულად უნდა იყოს აღნიშნული მათში არსებული შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი.

**7.** პირველი კონვერტით, რომელშიც თავსდება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები და ტექნიკური წინადადებები, წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია (**მე-7 პუნქტით** მოთხოვნილი დოკუმენტები არ ექვემდებარება შეფასებას):

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) საკონტროლო-სალარო აპარატის სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წერილი გაცემული შესაბამისი ორგანოდან.

**8.** მეორე კონვერტში თავსდება მხოლოდ ის დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ ექვემდებარება შეფასებას (შეფასებას არ ექვემდებარება მხოლოდ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია). მე-2 კონვერტით წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) პრეტენდენტის მიერ შევსებული სატენდერო წინადადების და ფასების ცხრილის ფორმა (პრეტენდენტმა უნდა შეავსოს შემსყიდველის მიერ გაცემულ სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული სატენდერო წინადადების და ფასების ცხრილის ფორმა);

ბ) საქონლის მიწოდების გრაფიკი - კალენდარული დღეების რაოდენობის მიხედვით;

გ) მოთხოვნილი ავანსის ოდენობა (პრეტენდენტის მიერ ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, ავანსის ოდენობა, რომელიც გამოსახული უნდა იყოს პროცენტებში, არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სახელშეკრულებო ღირებულების **25%**-ს. თუ პრეტენდენტის მიერ არ იქნება მოთხოვნილი საავანსო ანგარიშსწორება, ის ცალსახად გამოსახავს თავის მოთხოვნას 0-ით);

დ) საქონლის საგარანტიო ვადა კალენდარული დღეების მითითებით;

ე) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის **1%-იანი** საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).

**9.** შერჩევის დროს თავდაპირველად მოხდება პირველი კონვერტით წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის განხილვა. თუ პირველი კონვერტით წარმოდგენილი დოკუმენტები და ინფორმაცია აკმაყოფილებს განცხადების **მე-7 პუნქტის** მოთხოვნებს, შემდეგ მოხდება მე-2 კონვერტის გახსნა და შეფასება, წინააღმდეგ შემთხვევაში მე-2 კონვერტი საერთოდ არ გაიხსნება, დაუბრუნდება პრეტენდენტს და შესაბამისად, მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

**10.** ტენდერის შედეგად გამოვლინდება გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების **5%-ის** ოდენობით.

**11.** შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება **მე-7** და **მე-8** პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი? მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

**12.** სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაექვემდებარება შეფასებას, თუ: ა) პირველი კონვერტით წარმოდგენილი დოკუმენტები და ინფორმაცია არ აკმაყოფილებს სატენდერო განცხადების **მე-7** პუნქტის მოთხოვნებს; ბ) თუ მე-2 კონვერტით წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და ინფორმაცია არ აკმაყოფილებს განცხადების **მე-8** პუნქტის მოთხოვნებს; გ) შესყიდვებში მონაწილე მსურველი პირი **მე-5** პუნქტით დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების **მე-7** და **მე-8** პუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასა და ინფორმაციას; დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**13.** თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების **მე-7 პუნქტის** მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბ-კონტრაქტორისათვის.

**14.** ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ (**მე-18 პუნქტში** აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) **2009 წლის 30 იანვარის 09:00 სთ-დან 2009 წლის 23 თებერვლის 18:00 სთ-მდე**, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16, მე-8 სართული, ოთახი N8-9 სატენდერო კომისიის აპარატი.

**15.** ტენდერში მონაწილეობის მსურველ რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

**16.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2009 წლის 24 თებერვალს 15:00 სთ-ზე.**

**17.** ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

**18.** სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი **200 (ორასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში ანგ. N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000 გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საკონტროლო-სალარო აპარატები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში **მე-19** პუნქტში მითითებულ მისამართზე.

**19.** ტენდერში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში სამუშაო დღეებში:

ქ. თბილისი, გორგასლის N16, მე-8 სართული, ოთახი N8-9;
ტელ. - ფაქსი: (+995 32) 261-337, 261-335;
საკონტაქტო პირი: ალექსანდრე თევდორაძე და სოფიკო ბერიშვილი.
ელ ფოსტა: a.tevdoradze@mof.ge s.berishvili@mof.ge

*შენიშვნა:*

*არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ პრეტენდენტის რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური სტრუქტურებიდან, ამასთან ორიგინალ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.*

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**დაფინანსების წყარო — სახელმწიფო ბიუჯეტი**

**შესყიდვის ობიექტი — საკურიერო და საფოსტო მომსახურება**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასალის ქ. №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს საკურიერო და საფოსტო მომსახურების შესყიდვაზე.

**შესყიდვის ობიექტი:**
**ლოტი №1 – საკურიერო მომსახურება.**
**ლოტი №2 – საფოსტო მომსახურება.**
**ლოტი №3 – საერთაშორისო საფოსტო მომსახურება.**

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. მომსახურება უნდა განხორციელდეს საკურიერო და საფოსტო მომსახურების შემთხვევაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და საერთაშორისო საფოსტო მომსახურების შემთხვევაში მის ფარგლებს გარეთ, ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტში 2009 წლის 24 თებერვლის 14:00 საათამდე, მე-15 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**
ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**ფიზიკური პირებისათვის:**
**იურიდიული პირებისათვის:**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ (მოქმედების ვადა არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა).
3. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა);
4. ცნობა სასამართლოდან მასზედ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (მოქმედების ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა).
5. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი გარანტიის (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას;**

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
3. ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი გარანტიის (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას;**

**როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისთვის** სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს:

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (იურიდიული მისამართი, ტელ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი)
5. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან), რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას;

**ყველა პრედენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:**

1. ხელმოწერილი სატენდერო წინადადება ერთი დალუქული კონვერტით რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), და რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში
3. გამარჯვების შემთხვევაში მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრედენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს;

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ირაკლი ხიმშია. საკონტაქტო ტელ: 895 63 08 63 ან 822 92 36 08, 822 92 38 90, ქ. თბილისი, დადიანის ქ. №13.

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისამართი- ქ. გორი სტალინის გამზირი N16, ს.კოდი 218065910, აცხადებს ტენდერს **ქ. გორში ქუჩების და სკვერების განათების და დეკორატიული განათების ექსპლოატაციის მომსახურების შესასყიდად** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვა დაყოფილია 2 ლოტად.

a) **ლოტი - I** ქუჩებისა და სკვერების განათების ექსპლოატაცია.

b) **Lლოტი - II** დეკორატიული განათებების ექსპლოატაცია

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

**ლოტი- I** სულ განათებული წერტილების რაოდენობა -2250, მათ შორის: ა) დნტ 250—1053 ცალი, ბ) დნტ 150 - 259 ცალი, გ) დრლ 250 - 115 ცალი, დ) დრლ 125 - 10 ცალი, ე) დნტ 400 - 31 ცალი ,ვ) დნტ 70 - 44 ცალი, ზ) ეკო 65 -738 ცალი,

მართვის ავტომატიზირებული სისტემები- 42 კომპლექტი.

**Lლოტი-II** შენობების დეკორატიული განათების ობიექტების რაოდენობა—761

**3.** მომსახურეობის გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 1 იანვრამდე ყოველდღიურად.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება, (დედანი და 1 ასლი) მოთავსებული დახურულ პაკეტებში (შეღწევადობის გარეშე), 2009 წლის 20 თებერვალს 10 საათიდან- 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. გორი სტალინის გამზ. N16, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე, მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში (ოთახი N205).

**4.** საკვალიფიკაციო მომაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისათვის**:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია დავალიანება;

ე) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექცია).

ვ) ინფორმაციას მომსახურების გასაწევად საჭირო მატერიალურ-ტქნიკური ბაზის შესახებ

**ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანდ ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან და სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ გააჩნია დავალიანება;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექცია).

ე) ინფორმაციას მომსახურების გასაწევად საჭირო მატერიალურ-ტქნიკური ბაზის შესახებ

**5.** ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 30 იანვრის 11 საათიდან 2009 წლის 19 თებერვლის 17 საათამდე, სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენისას შემდეგ მისამართზე: ქ. გორი სტალინის გამზ. N16, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე, მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატში (ოთახი N205).

**6.** სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარი გადარიცხული უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში სახელმწიფო ხაზინა , ს/კოდი - 218035016; ბ/ კოდი 220101222, ანგარიშის N 200122900, სახაზინო კოდი 300433174, სატენდერო მოსაკრებელი

**7**. პრედენტენტმა უნდა წაროადგინოს ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

**8**. ხელშეკრულების უზრუნელყოფის გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

**9.** პაკეტები გაიხსნება 2009 წლის 17 თებერვალს 15 საათზე, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

**10** დაფინანსების წყარო -ადგილობრივი ბიუჯეტი

**11** დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატის წევრებს: მურაზ შიოშვილი, ალექსი ვეშაპური ტელ 8 (270) 7-26-31; 895 95 98 91. 895 95 98 01 მისამართზე: ქ. გორი სტალინის გამზირი N16, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე (ოთახი N205).

**12**. შერჩევის დროს პრედენტენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება, გარდა მექანიკური შეცდომებისა და იმ შემთხვევისა როდესაც საჭირო ხდება საკვალიფიკაციო მონაცემის ხელახალი დადასტურება.

13. სატენდერო მოსაკრებელის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შესაძლებელია

სატენდერო კომისია



# საქმე N31686
# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
# საქართველოს სახელით

**სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

**06 იანვარი 2009 წელი ქ. თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი
განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

**განმცხადებელი -** კუნკუშ პაშიანი
**წარმომადგენელი -** ლალი ჩირიკაშვილი
**მოწინააღმდეგე მხარე -** ანაიტ მეჟდოიანი
**მოთხოვნა -** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

განიხილა საჯარო შეტყობინების მეშვეობით ანაიტ მეჟდოიანისათვის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინების ჩაბარების საკითხი.

**აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 14 ივლისს კუნკუშ პაშიანმა (წარმომადგენელი ლალი ჩირიკაშვილი) განცხადებით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და აღნიშნა, რომ ანაიტ მეჟდოიანმა სარჩელით მიმართა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს ბინაზე, მდებარე ქ. თბილისში, გლდანის მასივი, მე-5 მ/რ., კორპ. N26ბ, ბინა N74, თანამესაკუთრედ ცნობის, ბინის წილის გაყოფისა და ბინაში შესახლების შესახებ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს 2000 წლის 28 თებერვლის განჩინებით ყადაღა დაედო კუნკუშ პაშიანის სახელზე რიცხულ ბინას მდებარე ქ. თბილისში, გლდანის მასივი, მე-5 მ/რ., კორპ. N26ბ, ბინა N74. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით ანაიტ მეჟდოიანს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 12 აპრილის განჩინებით დამტკიცდა მორიგება მხარეთა შორის და საქმის წარმოება შეწყდა. მორიგების აქტის საფუძველზე მოსარჩელე ანიტ მეჟდოიანს გადაეცა 500 აშშ დოლარი და მას მოპასუხ კუნკუშ პაშიანის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია. დღეისათვის მხარეებს შორის არანაირი დავა არ არსებობს, შესაბამისად აღარ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებელმა მოითხოვა გაუქმდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და მოეხსნას ყადაღა ბინას მდებარე ქ. თბილისში, გლდანის მასივი, მე-5 მ/რ., კორპ. N26ბ, ბინა N74.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით კუნკუშ პაშიანის განცხადება დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 28 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო ქუნქუშ პაშიანის სახელზე რიცხულ ბინას მდებარე, ქ. თბილისში, გლდანის მასივი, მე-5 მ/რ., კორპ. N26ბ, ბინა N74.

**განჩინებაში განცხადების დაკმაყოფილების საფუძვლად მითითებულია შემდეგი:**

დადგენილია, რომ 2000 წლის 31 ოქტომბერს ანაიტ მეჟდოიანმა სარჩელით მიმართა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე კუნკუშ პაშიანის მიმართ ბინაზე, მდებარე ქ. თბილისში, გლდანის მასივი, მე-5 მ/რ., კორპ. N26ბ, ბინა N74, თანამესაკუთრედ ცნობის, ბინის წილის გაყოფისა და ბინაში შესახლების თაობაზე (იხ. სამოქალაქო საქმე N2/1663-2000, ს.ფ. 5).

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 13 ნოემბრის განჩინებით ანაიტ მეჟდოიანის სარჩელი მიღებული იქნა სასამართლოს წარმოებაში (იხ. სამოქალაქო საქმე N2/1663-2000წ ს.ფ. 1).

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 28 თებერვლის განჩინებით ყადაღა დაედო კუნკუშ პაშიანის სახელზე რიცხულ ბინას მდებარე ქ. თბილისში, გლდანის მასივი, მე-5 მ/რ., კორპ. N26ბ, ბინა N74 (იხ. სამოქალაქო საქმე N2/447-2000წ, ს.ფ. 10)

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით ანაიტ მეჟდოიანს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო (იხ. სამოქალაქო საქმე N2/1663-2000, ს.ფ. 25-28).

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ანაიტ მეჟდოიანმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება (იხ. სამოქალაქო საქმე N2/1663-2000, ს.ფ. 31).

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2000 წლის 12 აპრილის განჩინებით დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება და საქმის წარმოება შეწყდა (იხ. სამოქალაქო საქმე N2/1663-2000, ს.ფ. 53-54).

ამდენად, მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება (განჩინება) გამოტანილი იქნა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის მიერ 2000 წლის 12 აპრილს.

კონკრეტულ შემთხვევაში წარმოდგენილ განცხადებას ერთვის 2000 წლის 17 აპრილის ხელწერილი ანაიტ მეჟდოიანის ხელმოწერით, რომლითაც ანაიტ მეჟდოიანი ადასტურებს, რომ 2001 წლის 12 აპრილის მორიგების თანახმად, კუნკუშ პაშიანმა გადასცა 500 აშშ დოლარი და მის მიმართ არავითარი პრეტენზია აღარ გააჩნია (იხ. სამოქალაქო საქმე N2/1663-2000, ს.ფ. 12).

სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოყენებული დროებითი ღონისძიების სახეს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად მისი მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება და მისი აღსრულების ხელშეწყობა.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ანაიტ მეჟდოიანის სარჩელის გამო აღძრულ დავაზე საქმის წარმოება დასრულებულია, შესაბამისად, აღარ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობა, განცხადება ყადაღის მოხსნის თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

**სამოტივაციო ნაწილი:**

სასამართლოს მიაჩნია, რომ ანაიტ მეჟდოიანს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინების თაობაზე უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინების მეშვეობით, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. **ანაიტ მეჟდოიანს ეცნობოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2008 წლის 20 ოქტომბერს მიღებული, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, განჩინების თაობაზე.**
2. **ანაიტ მეჟდოიანს განემარტოს, რომ განჩინება მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.**
3. **ანაიტ მეჟდოიანს განემარტოს, რომ ის უფლებამოსილია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინება გაასაჩივროს საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6) მისი ასლის გადაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.**
4. **განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში „24 საათი“.**
5. **განჩინება შესასრულებლად გადაეგზავნოს გაზეთ 24 საათსა“ და საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს პუბლიკაციისათვის აუცილებელი ხარჯების გაღება, მასვე დაევალოს გაზეთის ერთი ეგზემპლარის წარმოდგენა სასამართლოში.**
6. **საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაცია გაზეთ 24 საათში“ უნდა განხორციელდეს 2009 წლის 10 თებერვლამდე.**
7. **განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.**

**მოსამართლე თ. სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი**

**პაციენტების საყურადღებოდ !**

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ **ულტრასონოგრაფიის** (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს **ექოსკოპიურ** ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება **ექოსკოპიური** გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42;**

**თვალის მიკროქირურგიის**
**ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს**
**კლინიკა**
**"ოფთალმიჯი"**

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოძრავი საოპერაციო

**ბლოკით**

უკანასკნელი თაობის ასფერული მულტიფოკალური
ბროლი Acrysof-ReSTOR
საუკეთესო მხედველობა
სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე
ახლო მანძილზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

# განცხადება საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს საერთაშორისო ტენდერს უნიფორმის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, **მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი, ტენდერის დასახელება** და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას №8 მე-3 სართული, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. **სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ა/წ 30 იანვრიდან 19 თებერვლის 18:00 საათამდე.**

1. **შესყიდვის ობიექტი:**

| № | დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქუდი წინაფრიანი (უბნის ინსპ) | ც | 300 | ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №5 |
| | ქუდი თბილი (უბნის ინსპ) | ც | 1 200 | |
| | ქუდი კეპიანი (დეტექტივების) | ც | 1 300 | |
| 2 | შარვალი ზაფხულის (უბნის ინსპ.) | ც | 4500 | |
| | შარვალი ზამთრის (უბნის ინსპ.) | ც | 7100 | |
| | შარვალი რუხი (იზოლატორი) | ც | 700 | |
| | შარვალი მუქი ლურჯი (სამორიგეო) | ც | 150 | |
| 3 | პერანგი გრძელი მკლავით ღია დამცავი რუხი, ხაკი (უბნის ინსპ) | ც | 16000 | |
| | პერანგი მოკლე მკლავით ღია დამცავი რუხი, ხაკი (უბნის ინსპ) | ც | 18000 | |
| | პერანგი გრძელი მკლავით, რუხი (იზოლატორი) | ც | 700 | |
| | პერანგი გრძელი მკლავით ღია დამცავი რუხი, ხაკი, უპაგონო (სამორიგეო) | ც | 150 | |
| 4 | მაისური თეთრი | ც | 20400 | |
| | მაისური მუქი ლურჯი (იზოლატორი) | ც | 700 | |
| | მაისური ღია დამცავი, რუხი (სამორიგეო) | ც | 150 | |
| 5 | პულოვერი ღია ლურჯი (უბნის ინსპ.) | ც | 3 400 | |
| | პულოვერი ღია ლურჯი ნაცრისფერი ტონალობით (იზოლატორი) | ც | 480 | |
| 6 | ქურთუკი დემი სეზონის (უბნის ინსპ.) | ც | 1 500 | |
| | ქურთუკი თბილი (უბნის ინსპ.) | ც | 2 300 | |
| | ქურთუკი თბილი (დეტექტივის) | ც | 700 | |
| | ქურთუკი (იზოლატორის) | ც | 100 | |
| | ქურთუკი (სამორიგეო) | ც | 60 | |
| | ჟილეტი უსახელო (დეტექტივის) | ც | 1500 | |
| 7 | საწვიმარი ლაბადა (უბნის ინსპექტორის) | ც | 500 | |
| | საწვიმარი ლაბადა შინდისფერი (დეტექტივის) | ც | 600 | |
| 8 | კოკარდა | ც | 1 500 | |
| | სამკლავე | ც | 600 | |
| | სამხრის ორნამენტი (ვაზის ფოთოლი) | ც | 2 200 | |
| 9 | ქამარი შარვლის | ც | 1 800 | |
| 10 | ჰალსტუხი | ც | 3 000 | |

2. მიწოდების ვადა - ეტაპობრივად 2009 წლის 1 ნოემბრამდე (პოზიციების მიხედვით იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ პირობებში).

3. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **20 თებერვლის 11:00 საათიდან 15:00 საათამდე** მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

5. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ განიხილება და გაუხსნელად უბრუნდებათ პრეტენდენტებს.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

9. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

10. ***ტენდერი ჩატარდება 20 თებერვალს 15:00 საათზე*** მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. №8.

11. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

12. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 1%-ის ოდენობით (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს წინადადების მოქმედების ვადას) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 2 %-ის ოდენობით.

13. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: დავით რეხვიაშვილი, ტელ. 41-11-69; 877 94-27-77, ნინო განჯელაშვილი 8 77 52-81-83.

**სატენდერო კომისია**

**1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობა, მდებარე: დაბა წყნეთი, სტალინის ქუჩა 27ა-ში აცხადებს ტენდერს დიდგორის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ექვსი სკოლამდელი აღზრდის დაზესეყუდეყისათვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი ჟაყოფილია ხუთ ლოტად:

I. პურ-ფუნთუშეული;

II. თევზი და ხორცის ნაწარმი;

III. რძის პროდუქტები;

IV. ბაკალეია

V. ხილ-ბოსტნეული

სკოლამდელი აღზრდის თითოეული დაწესებულებისათვის მისაწოდებელი პროდუქტების კონკრეტული რაოდენობა დაზუსტდება ყოველკვირეულად შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული განცხადების შესაბამისად.

3. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან (სავარაუდოდ, 23 თებერვლიდან) 2009 წლის 01 სექტემბრამდე.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე, 2009 წლის 30 იანვრიდან 2009 წლის 18 თებერვლის 18.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: დაბა წყნეთი, სტალინის ქუჩა 27ა. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს, მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (დიდგორი), ს/კ 206160606, ანგარიში №200122900, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი 300773174. გადახდის დანიშნულება - დიდგორის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო მოსაკრებელი.

6. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 19 თებერვლის 10.00-დან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: დაბა წყნეთი, სტალინის ქუჩა 27ა.

7. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება, მისთვის სასურველ ერთ ან რამდენიმე ლოტზე. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

8. ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

8.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაცის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

8.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

8.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია უკანასკნელ წლებში განხორციელებული ანალოგიურ სამუშაოთა შესრულების შესახებ.

9. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა (ღირებულების 1% ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების (ღირებულების 2% ოდენობით) გარანტირების მექანიზმი.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ საკონტაქტო ტელეფონზე: 298905, ან მობ. 899181715, საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნინო ბერიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.

დიდგორის რაიონის გამგეობის
სატენდერო კომისია

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს სამშენებლო - სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ. N16 ტელეფონი: 261-337) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე.

**დაფინანსების წყარო** - სახელმწიფო ბიუჯეტი

**შესყიდვის ობიექტი:**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალციხის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სგპ „კარწახი“-ს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

1. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. სამუშაოების დასრულება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 529 კალენდარულ დღეში.

3. ტენდერში გამოყენებულ იქნება პრეტენდენტთა მიერ სატენდერო წინადადებების წარდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი და სატენდერო წინადადებების შეფასების განსხვავებული მეთოდი.

4. პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინოს ორ დახურულ კონვერტში, არაუგვიანეს 2009 წლის 26 თებერვლის 09:00 სთ-დან 15:00 საათამდე მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

5. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ კონვერტებზე თანმიმდევრულად უნდა იყოს აღნიშნული მათში არსებული შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი.

6. პირველი კონვერტით, რომელშიც თავსდება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები და ტექნიკური წინადადებები, წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია (მე-6 პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ ექვემდებარება შეფასებას):

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) განხორციელებულ სამუშაოებზე, დამკვეთის მიერ შედგენილი 2-დან 5-მდე სარეკომენდაციო წერილი;

ვ) 2007 ან 2008 წელს საგადასახადო ორგანოში წარდგენილი მოგების დეკლარაციის ასლი, რომლის თანახმადაც ერთობლივი შემოსავალი ერთ-ერთი წლის დეკლარაციის მიხედვით, არ უნდა იყოს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარზე ნაკლები;

ზ) ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების თაობაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი დამკვეთების რეკვიზიტების მითითებით), რომელთა ჯამური ღირებულება არ უნდა იყოს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარზე ნაკლები;

თ) განსახორციელებელი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების საგარანტიო ვადები და პირობები.

7. მეორე კონვერტში თავსდება მხოლოდ ის დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ ექვემდებარება შეფასებას (შეფასებას არ ექვემდებარება მხოლოდ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია). მე-2 კონვერტით წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) პრეტენდენტის მიერ შევსებული სატენდერო წინადადების ფორმა (პრეტენდენტმა უნდა შეავსოს შემსყიდველის მიერ გაცემულ სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული სატენდერო წინადადების ფორმა);

ბ) ცალკე წარმოდგენილი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, კალენდარული დღეების რაოდენობის მიხედვით;

გ) ცალკე წარმოდგენილი სატენდერო წინადადების სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება, წარმოდგენილი ლარებში;

დ) მოთხოვნილი ავანსის ოდენობა (პრეტენდენტის მიერ ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, ავანსის ოდენობა, რომელიც გამოსახული უნდა იყოს პროცენტებში, არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სახელშეკრულებო ღირებულების 25%-ს. თუ პრეტენდენტის მიერ არ იქნება მოთხოვნილი საავანსო ანგარიშსწორება, ის ცალსახად გამოსახავს თავის მოთხოვნას 0-ით);

ე) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).

8. შერჩევის დროს თავდაპირველად მოხდება პირველი კონვერტით წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის განხილვა. თუ პირველი კონვერტით წარმოდგენილი დოკუმენტები და ინფორმაცია აკმაყოფილებს განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნებს, შემდეგ მოხდება მე-2 კონვერტის გახსნა და შეფასება, წინააღმდეგ შემთხვევაში მე-2 კონვერტი საერთოდ არ გაიხსნება, დაუბრუნდება პრეტენდენტს და შესაბამისად, მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

9. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-6 და მე-7 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი? მე-3 და მე -5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

11. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაექვემდებარება შეფასებას, თუ: ა) პირველი კონვერტით წარმოდგენილი დოკუმენტები და ინფორმაცია არ აკმაყოფილებს სატენდერო განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნებს; ბ) თუ მე-2 კონვერტით წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და ინფორმაცია არ აკმაყოფილებს განცხადების მე-7 პუნქტის მოთხოვნებს; გ) შესყიდვებში მონაწილე მსურველი პირი მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასა და ინფორმაციას; დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბ-კონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბ-კონტრაქტორისათვის.

13. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-17 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 30 იანვრიდან 2009 წლის 25 თებერვლის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ N16, მე-8 სართული ოთახი N8-9, სატენდერო კომისიის აპარატი.

14.ტენდერში მონაწილეობის მსურველ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

15. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 26 თებერვალს 15:00 საათზე.

16. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

17. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში**

**ანგ. N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000**

**გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

18. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16, მე-8 სართული, ოთახი N8-9; ტელ. ფაქსი: (+99532) 261-337; 261-335. საკონტაქტო პირები: ალექსანდრე თევდორაძე, სოფიკო ბერიშვილი. ელ-ფოსტა: **a.tevdoradze@mof.ge , s.berishvili@mof.ge.**

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის**
**პედიატრიული სამსახური**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის,**
**პროფესორ ქეთევან ბარაბაძის**
**ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

**დავით ტატიშვილის**
**სამედიცინო ცენტრის**
**პედიატრიული სამსახური მედიცინის**
**მეცნიერებათა დოქტორის,**
**პროფესორ ქეთევან**
**ბარაბაძის ხელმძღვანელობით**
**გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20 (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს
## დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი
## შესყიდვის ობიექტი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის შენობების და მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავება

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის შენობების და მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავების** შესყიდვაზე 25 ლოტად.

**შესყიდვის ობიექტი:**

| ლოტი № | ობიექტი | მისამართი |
|---|---|---|
| 1 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა და მიმდებარე ტერიტორია | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16 |
| 2 | შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი, **მსხვილგადამხდელთა ინსპექცია** | ქ. თბილისი, დადიანის ქ. №30 |
| 3 | შემოსავლების სამსახურის თბილისის **რეგიონალური ცენტრი** (საგადასახადო ინსპექცია) | ქ. თბილისი, ბაღდადის ქ. №8 |
| 4 | შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **გლდანი-ნაძალადევის განყოფილება** | ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1 |
| 5 | შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **ვაკე-საბურთალოს განყოფილება** | ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68ა |
| 6 | შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **დიდუბე-ჩუღურეთის სერვის ცენტრი** | ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №140 |
| 7 | შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **ისანი-სამგორის, ძველი თბილისის, და დიდგორის განყოფილება** | ქ. თბილისი, გულუას ქ.№4 |
| 8 | ბათუმის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) | ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ №5ა |
| 9 | ბათუმის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **სგპ „სარფი"** | სოფელი სარფი |
| 10 | ბათუმის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **ქობულეთის განყოფილება** | ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ №136 |
| 11 | ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **ფოთის სერვის ცენტრი** | ქ. ფოთი, კოკაიას ხეივანი №1 |
| 12 | ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **ზესტაფონის სერვის ცენტრი** | ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ. №5 |
| 13 | ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **სამტრედიის განყოფილება** | ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6 |
| 14 | ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **ამბროლაურის განყოფილება** | ქ. ამბროლაური, კოსტავას №33 |
| 15 | გორის საგადასახადო ინსპექცია | ქ. გორი, სამეფოს ქ. №50 |
| 16 | გორის საგადასახადო ინსპექცია **(ხაშურის სერვის ცენტრი)** | ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №7 |
| 17 | ახალციხის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **ბორჯომის სერვის ცენტრი** | ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1 |
| 18 | ახალციხის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **ახალქალაქის განყოფილება** | ქ. ახალქალაქი, თავისუფლების ქ. №93 |
| 19 | რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) ადმინისტრაციული შენობა | ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. №36 |
| 20 | რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **სგპ „სადახლო"** | მარნეულის რ-ნი, სოფ. სადახლო (სგპ „სადახლო" რკინიგზა ) |
| 21 | თელავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) | ქ. თელავი, ერეკლე მეორის ქ. №1 |
| 22 | თელავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **წნორის განყოფილება** | სიღნაღის რაიონი, სოფ. წნორი, დ. აღმაშენებლის ქ №19 |
| 23 | თელავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **საგარეჯოს განყოფილება** | ქ. საგარეჯო, ჯაფარიძის ქ. №2 |
| 24 | თელავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) **სგპ „ლაგოდეხი"** | ლაგოდეხის რაიონი, სოფელი მაწიმი |
| 25 | ბათუმის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) სტაციონარული საინსპექციო სისტემა (რენტგენოსკანერის ანგარი) | ხელვაჩაურის რ-ნი, სოფელი კახაბერი, ტერმინალ ადლიის მიმდებარე ტერიტორია |

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტში **2009 წლის 24 თებერვლის 9:00 საათიდან 17:00 საათამდე** მე-17 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას :

**5.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა). ცნობა საგადასახადო ორგანოდან რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ბ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**5.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა პირის ქმედუნარიანობის შესახებ (შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირთათვის:**

ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი, გვარი;
ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;
გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე დადებული არ არის ყადაღა.
ე) ინფორმაცია სუბკონტრაქტორთა შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
ვ) ინფორმაცია ანალოგიური გამოცდილების შესახებ (განხორციელებული მომსახურების ნამონათვალი დამკვეთის რეკვიზიტების მითითებით);
ზ) გაწეულ მომსახურებაზე, დამკვეთის მიერ შედგენილი ორი ან მეტი სარეკომენდაციო წერილი.

6. **სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:**

| № | შეფასების კრიტერიუმი | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|---|
| 1 | სატენდერო წინადადების ღირებულება | 0,40 |
| 2 | პრეტენდენტის ტექნიკური შესაძლებლობები | 0,40 |
| 3 | ანგარიშსწორების პირობები | 0,20 |
| სულ: | | 1,00 |

7. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-6 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

8. მიცემული შესყიდვის ფარგლებში და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში ქვეკონტრაქტორის მონაწილეობის შემთხვევაში ქვეკონტრაქტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პრეტენდენტის მიმართ წინამდებარე განცხადებით წაყენებული ყველა მოთხოვნა და წარმოადგინოს ყველა შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემი და ინფორმაცია.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ (მე-16 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 30 იანვრის 9:00 საათიდან 2009 წლის 23 თებერვლის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი, გორგასლის №16, სატენდერო კომისიის აპარატი.

10. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 24 თებერვალს 17:00 საათზე.

11. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი, ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

12. სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

13. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

14. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

15. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლი მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

16. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი **200 ლარის** ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000
გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის შენობების და მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავება,
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

17. ტენდერში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პრეტენდენტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში (ქვემოთ მითითებულ მისამართზე) სამუშაო დღეებში:

ქ. თბილისი, გორგასლის №16, მე-8 სართული, ოთახი 8-9;
ტელ. - ფაქსი: (+995 32) 261 337; 261-335
საკონტაქტო პირები: **ალექსანდრე თევდორაძე, სოფიკო ბერიშვილი,**
ელ ფოსტა: a.tevdoradze@mof.ge. ; s.berishvili@mof.ge